

ჰაირი ჰაირიოლუ

(ვახტანგ მალაყმაძე)




როზაბა გუჯავანიანი
გიორგი ირაშაძე
მირიან ხოსიტაშვილი

როგეთა გუჟეჟიანი
გიორგი ირემაძე
მირიან ხოსიტაშვილი

ჰაირი ჰაირიოღლუ (ვახტანგ მაღაყმაძე)

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
სტამბოლის ქართული ხელოვნების სახლი

თბილისი 2019



1936-2003 թթ.

როზეტა გუჯეჯიანი
გიორგი ირემაძე
მირიან ხოსიტაშვილი

ჰაირი ჰაირიოღლუ (ვახტანგ მალაყმაძე)

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
სტამბოლის ქართული ხელოვნების სახლი

თბილისი 2019

UDC (უკ) 316(479.221)

მ-20

წიგნი ეძღვნება 1936-2003 წლებში თურქეთში მოღვაწე ქართველ მეცნიერს – ისტორიკოსსა და ეთნოგრაფს, მთარგმნელს, პოეტსა და პუბლიცისტს ჰაირი ჰაირიოღლუს (ვახტანგ მალაყმადეს). წიგნი ორ ნაწილად იყოფა: პირველ ნაწილში აღწერილია ჰაირი ჰაირიოღლუს ცხოვრების გზა, მისი დამსახურება ქართული კულტურის წინაშე და ის გარემო, რომელშიც ჰაირი დაიბადა, გაიზარდა და მოღვაწეობდა; აგრეთვე, მისი ურთიერთობა ახმეთ მელაშვილთან, საქართველოსთან და ქართულ ევროპულ ემიგრაციასთან. მეორე ნაწილში კი წარმოდგენილია ჰაირის რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი და თარგმანები როგორც თურქულიდან ქართულ, ასევე ქართულიდან თურქულ ენაზე.

რედაქტორი: † აკადემიკოსი გურამ ლორთქიფანიძე

რეცენზენტები:

პროფესორი ქეთევან ლორთქიფანიძე

პროფესორი როინ მალაყმადე

პროფესორი თამაზ ფუტკარაძე

პროფესორი ქეთევან ხუციშვილი

კონსულტანტები: მუსტაფა იაკუთი (გურამ ხიმშიაშვილი), იბერია ოზკანი (მელაშვილი), ჰაჯერ ოზკანი (ეკა ირემადე-მელაშვილი), ქლია ჩლაიძე, საბაჰეთინ კესკინი, მეჰმეთ შევალი (მერაბ ფუტკარაძე), ჯემალ არიქი, რუსუდან კობახიძე, ერგუნ ათაბაი (გურამ ქოქოლაძე), ოსმან ნური მერჯანი (ოთარ იმედაშვილი), ალეკო ბურჯანაძე, არსენა ჯეილანი (მალაყმადე), სირრი ოზთურქი.

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

რეზო თხილიშვილი

ლევან ლაცაბიძე

© საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

© სტამბოლის ქართული ხელოვნების სახლი

ISBN 978-9941-9640-1-5

**Rozeta Gujejiani
Giorgi Iremadze
Mirian Khositashvili**

Hayri Hayrioglu (Vakhtang Malakmadze)

Georgian Parliament National Library
Istanbul Georgian Art House

Tbilisi 2019

The book is devoted to Georgian scholar, historian and ethnographer, translator and

publicist Hayri Hayrioglu (Vakhtang Malakmadze), lived in Turkey in 1936-2003. The book is divided into two parts; first one portrays the life of Hayri Hayrioglu, his deeds and intrinsic worth in development of Georgian culture. In the same part there is described the environment where he was born, grew up and acted, his relations to Akhmet Melashvili, Georgia and Georgian-European emigration. The second part of the book consist some original pieces and translations from Turkish to Georgian and Georgian to Turkish by Hayri Hayrioglu.

Editor: † Academician Guram Lortkipanidze

Reviewers:

Professor Ketevan Lortkipanidze

Professor Roin Malakmadze

Professor Tamaz Putkaradze

Professor Ketevan Khutsishvili

Consultants: Mustafa Yakut (Guram Khimshiashvili), Iberia Ozcan (Melashvili), Hajer Ozcan (Eka Iremadze-Melashvili), †Lia Chlaidze, Sabahattin Keskin, Mehmet Seval (Merab Putkaradze), Rusudan Kobakhidze, Ergun Atabay (Guram Kokoladze), Osman Nuri Mercan (Otar Imedashvili), Aleko Burjanadze, Arseno Ceylan (Malakmadze), Sirri Ozturck.

**Rozeta GUCECIANI
Giorgi İREMADZE
Mirian KHOSİTAŞVİLİ**

Hayri HAYRİOĞLU (Vahtang MALAKMADZE)

Gürcistan Parlamentosu Milli Kütüphanesi
İstanbul Gürcü Sanat Evi
TIFLIS 2019

Bu kitap, 1936-2003 tarihleri arasında Türkiye’de yaşayan Grc bilim insanı: tarihi ve etnograf, evirmen, Őair ve yazar Hayri Hayriođlu (Vahtang Malakmadze)’na ithaf edilmiŐtir. Kitap iki blm halindedir. Birinci blmde Hayri Hayriođlu’nun hayat felsefesine, Grc kltrne olan hizmetlerine ve Hayri’nin dođduđu, bydđ, alıŐmalarda bulunduđu evreler ile Ahmet MelaŐvili, Grcistan ve Avrupa’daki gmen Grclerle olan iliŐkilerine yer verilmiŐtir. İkinci blmde ise Hayri’nin birkaç bilimsel eseri ile Trkeden Grcceye ve Grcceden Trkeye yapmıŐ olduđu evirilere yer verilmiŐtir.

Redaktr : Akademisyen Guram Lortkipanidze

Gzden Geirenler:

Profesr Ketevan Lortkipanidze
Profesr Roin Malakmadze
Profesr Tamaz Putkaradze
Profesr Ketevan HutsiŐvili

DanıŐmanlar: Mustafa Yakut (Guram HimŐiaŐvili), İberya zkan (MelaŐvili), Hacer zkan (Eka İremadze-MelaŐvili), Lia laidze, Sabahattin Keskin, Mehmet Seval (Merab Putkaradze), Rusudan Kobahidze, Ergn Atabay (Guram Kokoladze), Osman Nuri Mercan (Otar İmedaŐvili), Aleko Burcanadze, Arsena Ceylan (Malakmadze), Sırrı ztrk.

ჰაირი ჰაირიოლლუ (ვახტანგ მალაყმაძე)

1936-2003

ჰაირი ჰაირიოლლუ (ქართული სახელითა და გვარით – ვახტანგ მალაყმაძე) 1936-2003 წლებში ცხოვრობდა თურქეთის რესპუბლიკაში. ის იყო მრავალმხრივი მოღვაწე: მეცნიერი (ეთნოგრაფი და ისტორიკოსი), მთარგმნელი, პოეტი, პუბლიცისტი.

ჰაირი ჰაირიოლლუს დიდი წვლილი მიუძღვის თურქეთის ქართველთა ეთნიკური კულტურის შესწავლის, გადარჩენისა და განვითარების საქმეში.

ჰაირი ჰაირიოლლუ გახლდათ ახმეთ მელაშვილის ახლო მეგობარი და თანამებრძოლი, კრებულ „საქართველოს“-ა და ჟურნალ „ჩვენებურის“ ერთ-ერთი დამაარსებელი და ავტორი.

ახმეთ მელაშვილის მხარდამხარ ჰაირი ჰაირიოლლუმ ბიძგი მისცა თურქეთის ქართველთა ეთნიკური თვითშეგნების გამოღვიძებას, ქართველთათვის მათი ისტორიისა და კულტურის მიწოდებას.

ჰაირი ჰაირიოლლუს მჭიდრო კავშირი ჰქონდა ევროპის ქართულ ემიგრაციასთან, საქართველოს ქართველებთან, მათ შორის, კათოლიკოს-პატრიარქთან, მეცნიერებთან და საზოგადო მოღვაწეებთან.

ჰაირი ჰაირიოლლუს თარგმანებითა და სამეცნიერო პუბლიკაციებით საფუძველი ჩაეყარა თურქეთში ლაზთა კულტურისა და წარმომავლობის ობიექტური მეცნიერული კვლევის ისტორიას.

ჰაირი ჰაირიოლლუ წლების განმავლობაში მონაწილეობდა თურქეთში მიმდინარე სამეცნიერო დისკურსში და აკადემიურად ასაბუთებდა ქართველთა ავტოქტონობას საქართველოს ისტორიულ საზღვრებში და მალა მცნიერულ დონეზე აკრიტიკებდა ტაო-კლარჯეთის ქართველთა ყივჩაღური წარმოშობის თეორიას.

ჰაირი ჰაირიოლლუს ცხოვრების გზა რთული და ტრაგიკული იყო. მან ღირსეულად იცხოვრა და დატოვა მდიდარი სამეცნიერო და ლიტერატურული მემკვიდრეობა.

წინამდებარე მონოგრაფია ეძღვნება ჰაირი ჰაირიოლლუს (ვახტანგ მალაყმაძის) ცხოვრებას, მოღვაწეობას, მისი სამეცნიერო და ლიტერატურული მემკვიდრეობის მიმოხილვას.

წიგნში ასევე წარმოდგენილია ჰაირი ჰაირიოლლუს (ვახტანგ მალაყმაძის) ნაშრომები და თარგმანები.

HAYRI HAYRIOGLU (VAKHTANG MALAKMADZE)

1936-2003

Hayri Hayrioglu (by the Georgian name Vakhtang Malakmadze) in 1936-2003 lived in the Republic of Turkey. He was a person with the multiple interests: scholar (ethnographer and historian), translator, poet, and publicist. Hayri Hayrioglu put a great deal in research, preservation and development of Georgian ethnic culture in Turkey. He was a close friend and collaborator of Akhmet Melashvili, one of the founder and authors of collected works “Sakartvelo” and magazine “Chvnebuli”.

Hayri Hayrioglu together with Akhmet Melashvili inspired the ethnic consciousness of Georgians lived in Turkey; provided them with the information on the Georgian history and culture.

Hayri Hayrioglu has very close contacts to the Georgian emigration in Europe and Georgians in Georgia, among them with the Catholicos-Patriarch of Georgia, scholars and statesmen.

The translations of Hayri Hayrioglu gave foundation to the history of objective research of Laz culture and origins. He was participating in the scientific discussion in Turkey throughout the years, based on the documents he was proving the autochthonism of Georgians in the historical boundaries of Georgia and was criticizing the theory of Kipchak origins of Teo-Klarjeti Georgians.

The life of Hayri Hayrioglu was hard and tragic, and at the same time full of dignity.

The publication is devoted to life and deeds of Hayri Hayrioglu (Vakhtang Malakmadze) and his rich scientific and literary heritage. The book contains also his works and translations.

HAYRI HAYRIOĞLU (VAHTANG MALAKMADZE)

1936-2003

Hayri Hayrioğlu (Gürcü adı ve soyadı – Vahtang Malakmadze), 1936-2003 tarihleri arasında Türkiye Cumhuriyeti'nde yaşadı. O, çok yönlü bir insandı. Bilim insanı (etnograf ve tarihçi), çevirmen, şair ve yazar idi.

Hayri Hayrioğlu'nun, Türkiye Gürcülerinin etnik kültürlerinin incelenmesi, kurtarılması ve geliştirilmesi çalışmalarındaki payı çok büyüktür.

Hayri Hayrioğlu Ahmet Melaşvili'nin çok yakın bir dostu ve ırkdaşı, "Sakartvelo" ve "Çveneburi" dergilerinin kurucularından ve yazarlarından biriydi.

Hayri Hayrioğlu, Türkiye Gürcülerinin etnik bilinçlerinin uyanması, kendi tarihleri ve kültürleri hakkında bilgilenmesi yönünde Ahmet Melaşvili'yle omuz omuza çalışmalar yapmıştır. Hayri Hayrioğlu'nun, Avrupa'daki Gürcü göçmenlerle, Patrik, bilim insanları ve tanınmış isimlerden oluşan Gürcistan Gürcüleriyle de aktif ilişkileri vardı.

Vahtang Malakmadze'nin çevirileri ve bilimsel makaleleri, Türkiye'deki Laz kültürü ve kökeninin objektif bilimsel olarak araştırılması tarihinin temelini oluşturmuştur.

Hayri Hayrioğlu yıllar boyunca Türkiye'de süregelen bilimsel söylemlerde yer alıyor, Gürcistan'ın tarihi sınırları içindeki Gürcülerin yerliliğini akademik olarak belgeliyor ve Tao-Klarceti Gürcülerinin Kıpçaklar soyundan geldiği yönündeki teorileri bilimsel verilerle eleştiriyordu.

Hayri Hayrioğlu'nun hayat yolu zorlu ve trajik idi. Kendisi layıkıyla yaşadı ve zengin bilimsel ve edebi eserler bıraktı.

Bu monografi, Hayri Hayrioğlu (Vahtang Malakmadze)'nun yaşamına, çalışmalarına, bilimsel ve edebi eserlerinin incelenmesine ithaf edilmiştir.

Kitapta da Hayri Hayrioğlu (Vahtang Malakmadze)'nun çalışmalarına ve çevirilerine yer verilmiştir.

წინასიტყვაობა

ჰაირი ჰაირიოღლღუ (ვახტანგ მალაყმადე) 1936-2003 წლებში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა თურქეთის რესპუბლიკაში.

ჰაირი ჰაირიოღლღუ (ვახტანგ მალაყმადე) მრავალმხრივი მოღვაწე იყო. მან დიდი წვლილი შეიტანა თურქეთელ ქართველთა ეთნიკური იდენტობის შენარჩუნებისა და განვითარების საქმეში.

ჰაირი ჰაირიოღლღუ (ვახტანგ მალაყმადე) საზოგადოებრივი მოღვაწეობის პარალელურად სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასაც ეწეოდა, თარგმნიდა, წერდა ლექსებს და ამ მხრივაც მისი ღვაწლი ფასდაუდებელია.

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ვახტანგ მალაყმადე საბჭოთა საქართველომაც გაიცნო. ამ დროიდან მას კულტურულ-სამეცნიერო საქმიანობაში მხარში ედგა „უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოება“ და მასთან დაკავშირებული ქართველ მეცნიერთა ჯგუფი, რომელთა დახმარებითაც ვახტანგ მალაყმადე პირველად ეწვია სამშობლოს 1977-78 წლებში.

ჰაირი ჰაირიოღლღუს (ვახტანგ მალაყმადის) მჭიდრო ურთიერთობა საქართველოს მეცნიერებთან გრძელდებოდა საქართველოს გათავისუფლების შემდგომ პერიოდშიც. მსოფლიოში მიმოფანტულ ქართველთა შეკრების თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო „ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესი“, რომელიც 1994 წელს ჩატარდა. კონგრესის მუშაობაში ვახტანგ მალაყმადეც მონაწილეობდა. მისი გამოსვლის ნაწყვეტები შემონახულია გენო ცაავას დოკუმენტურ ფილმში: „ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესი 1994“. წიგნის რეჟისორის კეთილი ნებით ერთვის ვახტანგ მალაყმადის გამოსვლა, ჩაწერილი კონგრესის მიმდინარეობის დროს.

1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან ერთგვარად შენელდა საქართველოს საზოგადოების კომუნიკაცია თურქეთში მოღვაწე ქართველთა ძველ პლეადასთან. თურქეთში კულტურულ ასპარეზზე გამოვიდა ახმეთ მელაშვილისა და ჰაირი ჰაირიოღლღუს (ვახტანგ მალაყმადის) შემდგომი თაობა. იმ წლებში საქართველოში ერთგვარად ჩრდილში მოექცა ჰაირი ჰაირიოღლღუს (ვახტანგ მალაყმადის) სახელი, 2000-იანი წლების მეორე ნახევრიდან კი მისი ღვაწლის შესახებ ცოდნას, სამწუხაროდ, მხოლოდ მისი მეგობრები და „უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების“ საქმიანობაში ჩართული მეცნიერები და ჟურნალისტები ფლობდნენ.

ჩემი დაინტერესება ჰაირი ჰაირიოღლღუს (ვახტანგ მალაყმადის) ცხოვრებითა და მოღვაწეობით იწყება 2010 წლიდან, როდესაც მის შესახებ მონითხრო თურქეთელმა ქართველმა გიორგი ირემადემ (შემსეთთინ იიემ). გიორგიმ მოკლედ გამაცნო ჰაირის რთული და მძიმე ბიოგრაფია და გან-

საკუთრებული სიამაყით გაიხსენა, რომ ქართული წერა-კითხვა მას ინეგოლიდან სტამბოლში სტუმრად ჩამოსულმა ჰაირიმ ასწავლა. დიდი ემოციით ვუსმენდი გიორგის და ვფიქრობდი, რომ ყველას უნდა სცოდნოდა ქართველობისათვის დამაშვრალი და ნატანჯი კაცის სახელი. ჩემი განცდის შემხედვარე გიორგიმ მთხოვა ამ საკითხის შესწავლა და წინ წამოწევა. რასაკვირველია, დავთანხმდი.

დავიწყე ინფორმაციის მოძიება. ქართულ ენაზე მივაკვლიე შემდეგ წყაროებს: პროფესორ შუშანა ფუტკარადის მონოგრაფიაში გამოქვეყნებულ ინფორმაციასა და ჰაირისაგან ჩაწერილ ტექსტებს¹; პროფესორ ლია ჩლაიძის მოგონებას ვახტანგ მალაყმადის შესახებ²; ჟურნალისტ ოთარ ფუტკარადის რადიოჩანაწერს, შესრულებულს ვახტანგ მალაყმადის ბათუმში სტუმრობის დროს (1988)³. ქართულად არსებულ სხვა რამ წყაროს მე ვერ მივაკვლიე.

ამის შემდეგ გიორგიმ დაგეგმა და ფინანსურად უზრუნველყო ჩემი პირველი სამეცნიერო ექსპედიცია ინეგოლში ჰაირი ჰაირიოღლუს (ვახტანგ მალაყმადის) ცხოვრების შესასწავლად. ექსპედიცია შედგა 2010 წლის ივლისში ინეგოლში (ბურსის რეგიონში). გიორგიმ შემიქმნა შესანიშნავი სამუშაო პირობები და შემახვედრა ჰაირის ოჯახსა და მეგობრების ნაწილს. ამ დროს გავიცანი ჰაირის შვილები, ნათესავები, მეგობრები, ჩავწერე ჰაირის ცხოვრების ამსახველი ინტერვიუები. შემდეგი ეტაპი იყო 2011 წლის ივლისის ექსპედიცია ინეგოლში, რომელიც კვლავ გიორგი ირემადის მხარდაჭერით განხორციელდა. ამ დროს ჩაწერილ იქნა რამდენიმე ვრცელი ინტერვიუ ჰაირი ჰაირიოღლუს ნათესავებსა და მეგობრებთან. იმავე დღეებში ჰაირის ვაჟმა – გურჯანმა – დაგვათვალისწინა ჰაირის პირადი არქივის ნაწილი. შემდეგ ინეგოლიდან სტამბოლში გადავინაცვლეთ და შევხვდით ჰაირის მეგობრებს იბერია ოზკანსა (მელაშვილს) და მუსტაფა იაკუთს (გურამ ხიმშიაშვილს), რომელთაც ფრიად საყურადღებო მასალა მოგვაწოდეს ჰაირის სამწერლო და საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ. იმავე დღეებში ბატონმა მუსტაფა იაკუთმა გამაცნო ჰაირი ჰაირიოღლუს წიგნების გამომცემელი, ბატონი სირრი ოზთურქი (გამომცემლობა „სორუნ იანილარ“). შეხვედრას ესწრებოდა ლაზური კულტურის ქომაგი ალი იჰსან აქსამაზიც, რომელიც დიდ პატივს სცემს ჰაირის ღვაწლს ლაზთა ტრადიციული კულტურის შესწავლის საქმეში. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ გიორგიმ შემახვედრა ჰაირის ახლო მეგობარი, ფოლკლორისტი და თურქოლოგი, პროფესორი ლია ჩლაიძე. პროფესორ ლია ჩლაიძის დახმარებით მივიღეთ შედარებით ვრცელი ინფორმაცია „უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა მეგობრობი-

¹ შუშანა ფუტკარადე. „ჩვენებურების ქართული“. ბათუმი, 1993.

² ლია ჩლაიძე. „თურქეთელი ქართველები“. კრებული „საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე“. თბ., 2006.

³ ოთარ ფუტკარადე <https://www.facebook.com/notes/239195259589386/>

სა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებასთან“ ჰაირის მჭიდრო მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ.

2011 წლის განმავლობაში გიორგიმ და მე შევკრიბეთ ჰაირის მიერ გამოქვეყნებული სტატიები, თარგმანები, პუბლიცისტური წერილები და დავიწყეთ მათი თემატური დალაგება, შესწავლა, ანალიზი.

ჩვენი გეგმები გავაცანით ქართველ ისტორიკოსებსა და ეთნოლოგებს. ამ მხრივ განსაკუთრებული მხარდაჭერა გამოხატეს აკადემიკოსებმა მარიამ ლორთქიფანიძემ და გურამ ლორთქიფანიძემ, რომლებიც პირადად იცნობდნენ ჰაირის და მეგობრობდნენ მასთან.

ჰაირი ჰაირიოლლუს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ იმავე 2011 წელს მოვამზადე და სამეცნიერო კონფერენციებზე წარვადგინე სამი მოხსენება, რომლებშიც აღვწერე ჰაირი ჰაირიოლლუს მოღვაწეობის შესწავლის პირველადი შედეგები. ერთი კონფერენცია შედგა 21-22 მაისს საქართველოს უნივერსიტეტში, სადაც წავიკითხე მოხსენება „თანამედროვე ეთნოკულტურული პროცესები მარმარილოს ზღვის რეგიონის ეთნიკურ ქართველთა შორის (თურქეთის რესპუბლიკა)“ და მოკლედ მოვიხსენიე ვახტანგ მალაყმადის დამსახურება¹. მეორე კონფერენცია, რომელზეც სხვა საკითხებთან ერთად ვისაუბრე ვახტანგ მალაყმადის შესახებაც, ჩატარდა 25-26 ნოემბერს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრში. კონფერენციის სახელწოდება იყო: „ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები“, რომლის ფარგლებში წავიკითხე მოხსენება: „ეთნოკულტურული პროცესები ბურსის რეგიონის (თურქეთი) ეთნიკურ ქართველთა შორის“². მოხსენებას ესწრებოდა აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე. მან დაბეჯითებით მთხოვა კვლევის გაგრძელება, თემის წინ წამოწევა და ფართო საზოგადოებისათვის ვახტანგ მალაყმადის სახელის გაცნობა. მესამე კონფერენცია, რომელზეც ბევრად ვრცელი ინფორმაცია მივაწოდე სამეცნიერო საზოგადოებას ვახტანგ მალაყმადის დამსახურების შესახებ, შედგა 1-2 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტში. აქ წავიკითხე მოხსენება: „თურქეთელი ქართველი მეცნიერი

¹ რ. გუჯეჯიანი, „თანამედროვე ეთნოკულტურული პროცესები მარმარილოს ზღვის რეგიონის ეთნიკურ ქართველთა შორის (თურქეთის რესპუბლიკა)“. – საქართველოს უნივერსიტეტის მესამე ყოველწლიური კონფერენცია ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. 21-22 მაისი, 2011. საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბ., „მერიდიანი“. 2011. გვ., 135-147.

² რ. გუჯეჯიანი, „ეთნოკულტურული პროცესები ბურსის რეგიონის (თურქეთის რესპუბლიკა) ეთნიკურ ქართველთა შორის“. – ყ. ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები. საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. ტ. I. თბ., 2012. გვ., 111-120.

და მოღვაწე ვახტანგ მალაყმაძე (ჰაირი ჰაირიოღლუ)“. კონფერენციას ესწრებოდნენ ქართული საისტორიო მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლები, რომლებმაც ინტერესი გამოავლინეს ვახტანგ მალაყმაძის ბიოგრაფიისა და ღვაწლის მიმართ. მოხსენება ამავე წელს სტატიის სახით გამოქვეყნდა¹ და მას დადებითი გამოხმაურება მოჰყვა ქართველი სამეცნიერო საზოგადოების მხრიდან, რამაც კიდევ მეტად დამარწმუნა კვლევის გაგრძელების აუცილებლობაში.

2012 წელს რუსთაველის ეროვნული ფონდის მიერ გამოცხადებულ საკონფერენციო გრანტების კონკურსში გაიმარჯვა ჩემი თანაავტორობით დაწერილმა პროექტმა და დაფინანსდა ახმეთ ოზქან მელაშვილის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „საქართველო და თურქეთი: კულტურულ ურთიერთობათა ისტორია, დღევანდელი და პერსპექტივები“. თანადამფინანსებელი და ორგანიზატორი იყო საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი. კონფერენცია ჩატარდა 21-24 ივნისს და ერთი სექცია მიეძღვნა ვახტანგ მალაყმაძის ხსოვნას. იქაც წავიკითხე მოხსენება ვახტანგ მალაყმაძის ეროვნული ღვაწლის შესახებ.

ამავე პერიოდში ჩემი სტატია თურქულად თარგმნა ჰაჯერ ოზკანმა (ეკა ირემადე-მელაშვილმა). სტატია მოგვიანებით გამოქვეყნდა ორენოვან (თურქულ-ქართულ) ინტერნეტ-გვერდზე „გურჯუ.ორგ“ (დამფუძნებელი ე. შენოლი).

2012 წლის დასაწყისში „ინეგოლის კავკასიური ფოლკლორისა და კულტურის საზოგადოებაში“ წავიკითხე მოხსენება ჰაირი ჰაირიოღლუს (ვახტანგ მალაყმაძის) შესახებ, რითაც საკუთარი ფესვებით დაინტერესებულ ადგილობრივ ახალგაზრდა თაობას მიეწოდა ინფორმაცია მათ ქალაქში მცხოვრები მოღვაწის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ამის შემდეგ ინეგოლელმა ახალგაზრდა ქართველებმა დაიწყეს ძიება ჰაირიოღლუს ცხოვრებისა და მოღვაწეობის დეტალებისა. ისინი მიდიოდნენ მოღვაწის საფლავზეც და მის ღვაწლზე ღიად საუბრობდნენ. ამ კუთხით განსაკუთრებულ მადლობას ვუძღვნით საზოგადოების თავმჯდომარეს, ბატონ ომერ ფარუქ დემირთაშს.

2013 წელს ინეგოლელ ქართველ მეცენატთა გულმოდგინებით კეთილმოეწყო ჰაირი ჰაირიოღლუსა და მისი შვილის საფლავები. საფლავების ფილებზე ამოიკვეთა ქართული ტექსტიც, ჰაირისა და მისი ტრაგიკულად დაღუპული ვაჟის ქართული გვარსახელები: ვახტანგ მალაყმაძე, შოთა მალაყმაძე.

ჩვენთვის, როგორც ვახტანგ მალაყმაძის მოღვაწეობის პატივისმცემელი ადამიანებისათვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საქართველოს

¹ რ. გუჯეჯიანი. „ვახტანგ მალაყმაძე (ჰაირი ჰაირიოღლუ)“ – ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე თურქეთში (1936-2003 წწ.). – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, 4, თბ., „მერიდიანი“, 2011. გვ., 364-375.

ელჩის, ბატონ ირაკლი კოპლატაძისა და დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის, ბატონ გელა დუმბაძის მიერ გადადგმული ნაბიჯი: მათ ოფიციალური ვიზიტის დროს (2014 წლის 21-27 სექტემბერი) პატივი მიაგეს ვახტანგ მალაყმაძის (ჰაირი ჰაირიოღლუს) საფლავს და ის გვირგვინებით შეამკეს: „დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გელა დუმბაძე, თურქეთის რესპუბლიკაში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, ქალაქ ბურსაში მცხოვრებ ქართველებს შეხვდა. შეხვედრას ესწრებოდნენ: საქართველოს ელჩი თურქეთის რესპუბლიკაში ირაკლი კოპლატაძე, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე მუხრან გულაღაშვილი და აპარატის პროგრამების დეპარტამენტის უფროსი თემურ ტარტარაშვილი. ქალაქ ბურსაში შეხვედრის შემდეგ სახელმწიფო მინისტრი ქალაქ ინეგოლში გაემგზავრა, სადაც შეხვედრა გაიმართა ინეგოლის მერთან ალინურ აქთაშთან. ამის შემდეგ გელა დუმბაძემ ცნობილი საზოგადო მოღვაწეების – აჰმეთ ოზქანის (მელაშვილი) და ჰაირი ჰაირიოღლუს (ვახტანგ მალაყმაძე) საფლავები მოინახულა და გვირგვინით შეამკო. სახელმწიფო მინისტრი ქალაქ ინეგოლში მცხოვრებ ქართველებსაც შეხვდა. შეხვედრაზე განხილულ იქნა თურქეთში ქართული დიასპორისათვის მნიშვნელოვანი საკითხები“¹ – საქართველოს სახელმწიფო მოხელეების მხრიდან გამოვლენილ ამ ნაბიჯს დიდი გამოხმაურება მოჰყვა ინეგოლელ ქართველთა შორის.



საქართველოს ელჩი, ბატონი ირაკლი კოპლატაძე და დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი, ბატონი გელა დუმბაძე ჰაირის საფლავთან, ჰაირის ვაჟ გურჯანთან ერთად.

¹ <https://www.facebook.com/GeoDiaspora/photos/a.735804069800789/735804326467430/?type=3&theater>

ამ წლებში, ვიყავი რა ჰაირი ჰაირიოლლუს (ვახტანგ მალაყმადის) ოჯახის ნდობით აღჭურვილი პირი, შეძლებისდაგვარად ვაწესრიგებდი მის პირად არქივს: ნაბეჭდი ტექტები აღვწერე და დავალაგე თემატურად. ამ საქმეში დამეხმარნენ ინეგოლელი ახალგაზრდები: მუსტაფა ბაიჰანი (თავდგირიძე), გამზე დუმანი-ბაიჰანი და იმდროინდელი საქართველოს ახალგაზრდა ელჩი თურქეთის რესპუბლიკაში თეონა ვარშალომიძე.


2012-2013 წლებში საპატრიარქოს სატელევიზიო არხმა „ერთსულოვნება“-მ რამდენიმეჯერ გააშუქა ჰაირი ჰაირიოლლუს (ვახტანგ მალაყმადის) მოღვაწეობის ესა თუ ის საკითხი და აღნიშნა მისი დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები, რისთვისაც მადლობელნი ვართ არხის ხელმძღვანელობისა და ჟურნალისტებისა. ეს ფრიად წინგადადგმული ნაბიჯი იყო ჰაირი ჰაირიოლლუს (ვახტანგ მალაყმადის) სახელის პოპულარიზაციისათვის საქართველოსა და თურქეთის ქართველთა შორის¹.

2013 წლიდან ჰაირის მოღვაწეობისადმი ჩვენს ინტერესსა და კვლევას შემოუერთდა ეთნოლოგი მირიან ხოსიტაშვილი.

2016 წლის 30 აპრილს ინეგოლის რაიონის ორი ქართული სოფლის („ჰაირიეს ქართული კულტურისა და ტურიზმის ასოციაციისა“ და „მურათბეის/ჩაქვის ქართული კულტურისა და ტურიზმის საზოგადოების“) ერთობლივი ძალისხმევით ჰაირიეს საკონფერენციო სალონში გაიმართა დედაენის დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-პოპულარული კონფერენცია, რომელზეც წავიკითხე ვრცელი მოხსენება ჰაირი ჰაირიოლლუს ღვაწლის შესახებ.

საველე-საარქივო კვლევათა უმეტესობა ფინანსურად კვლავ გიორგი ირემამძემ უზრუნველყო, გარდა 2017 წლის ექსპედიციისა, რომელიც დაფინანსდა ერთობლივად – პრეზიდენტის ფონდის, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციისა და სტამბოლის ქართული ხელოვნების სახლის (გიორგი ირემამძე, იბერია მელაშვილი) მხარდაჭერით. ეს ექსპედიცია იყო ნაწილი პროექტისა, რომლის სახელწოდებაა „საქართველოსთვის დღემდე უცნობი დოკუმენტური მასალა და ისტორიები თურქეთელ ქართველთა ცხოვრებიდან“. ჩვენი მიზანი იყო თურქეთელ ქართველთა ეთნიკური იდენტობის გადარჩენისათვის მოღვაწე ადამიანთა ბიოგრაფიების (ახმეთ ოზკან-მელაშვილი, ჰაირი ჰაირიოლლუს/ვახტანგ მალაყმადე) აღდგენა, მათი არქივების გაციფრება, მათ მიერ გამოცემული წიგნებისა და ჟურნალების მოძიება და დიგიტალიზაცია, აგრეთვე ეთნოგრაფიული რეალიების ამსახველი ფოტო, აუდიო და ვიდეო მასალების მოძიება, სისტემატიზაცია და დიგიტალიზაცია, თურქეთელ ქართველთა ყოფისა და კულტურის ამსახველი ზეპირი ისტორიების ჩაწერა. პროექტის ხანგრძლივობა მოიცავდა ოთხ თვეს.

¹ <https://www.youtube.com/watch?v=ci0TPsL-uUg>



საქართველოს მხრიდან გამოვლენილი ყურადღებით შთაგონებულ-მა გურჯან ჰაიროღლუმ (ვაჟა მალაყმაძემ), ჰაირის ვაჟმა, ამ ექსპედიციის დროს (2017 წელი) ჰაირის არქივი და ბიბლიოთეკა უსახსოვრა საქართველოს სახელმწიფოს, კერძოდ, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას. არქივის ჩამოტანა უზრუნველყო გიორგი ირემამემ¹. არქივი განთავსდა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ორიენტალისტიკის დარბაზში. დღეისათვის არქივის ნაწილი უკვე გაციფრებულია და განთავსებულია ციფრულ განყოფილება „ივერიელში“², საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ვებგვერდზე რუბრიკაში „ქართველები უცხოეთში“. ატვირთულია ჰაირი ჰაიროღლუს (ვახტანგ მალაყმაძის) ბიოგრაფიაც³.

2017 წლის 19 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ორიენტალისტიკის დარბაზს, რომელშიც დაცულია ჰაირის არქივი და ბიბლიოთეკა, ეწოდა ვახტანგ მალაყმაძის (ჰაირი ჰაიროღლუს) სახელი და შედგა ჰაირი ჰაიროღლუს არქივისა და ჩვენი ექსპედიციის შედეგების წარდგენა.



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ვახტანგ მალაყმაძის (ჰაირი ჰაიროღლუს) სახელობის ორიენტალისტიკის დარბაზი.

¹ <https://www.youtube.com/watch?v=Nf5-B8DxLIE>

² http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/230230?fbclid=IwAR3mI0_jjWJXE8rGJH951hh8HYEtKMpXs6uyNIzhbSohpTETbixtqOB27o

³ <http://www.nplg.gov.ge/emigrants/ka/00000577/>

ღონისძიება გახსნა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა, ბატონმა გიორგი კეკელიძემ¹. ღონისძიებას ესწრებოდნენ პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ბატონი გიორგი აბაშიშვილი და საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საორგანიზაციო მართვისა და კოორდინირების დეპარტამენტის ხელმძღვანელი გიორგი ჟურული, არქივის შემომწირველი გურჯან ჰაირიოღლი (ვაჟა მალაყმაძე), საქართველოს სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები, რომელთა შორის იყვნენ ვახტანგ მალაყმაძის მეგობრებიც: წათე ბაწაში, ჯუმბერ კოპალიანი და სხვები, აგრეთვე, სტუმრები თურქეთიდან, ახმეთისა და ჰაირის თანამებრძოლები და უმცროსი მეგობრები: ერგუნ ათაბაი (გურამ ქოქოლაძე) და მისი მეუღლე ელმას ათაბაი, მეჰმეთ შევალი (მერაბ ფუტკარაძე), აბდულლაჰ თათაროღლი. ღონისძიების მომზადებაში გვეხმარებოდნენ სტუდენტები ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტიდან და სოხუმის უნივერსიტეტიდან. დარბაზის უმრავლესობა თვალცრემლიანი უსმენდა გამომსვლელთა ემოციურ სიტყვებს. ბატონმა გურჯანმა ბიბლიოთეკას უსახსოვრა მამამისის ღირსების ორდენი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ 2001 წელს უბოძა ჰაირი ჰაირიოღლუს. ღონისძიების დასასრულს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გიორგი აბაშიშვილმა დააყენა საკითხი გურჯან ჰაირიოღლუსათვის ღირსების ორდენის მინიჭების შესახებ. ამ გადაწყვეტილებამ ისეთი სიხარული მოჰგვარა დამსწრე საზოგადოებას, რომ მცირე ხნით სხდომაც კი შეწყდა. ეს იყო დაუვიწყარი წუთები².

2018 წლის 26 მაისს თბილისში, პრეზიდენტის სასახლეში დიასპორის წარმომადგენელთა საზეიმო მიღების დროს, გურჯან ჰაირიოღლუს (მალაყმაძეს) გადაეცა ღირსების ორდენი.

¹ <http://www.city.kvira.ge/2017/10/18/ეროვნული-ბიბლიოთეკა-ორ/>

² <https://www.president.gov.ge/ka-GE/administraciis-siakhleebi-aq/giorgi-abashishvili-turqetshimogvace-qartveli-mec.aspx>



გურჯან ჰაიროდღლუს
დაჯილდოება
ღირსების ორდენით
2018 წლის 26 მაისს
თბილისში, პრეზიდენტის
სასახლეში დიასპორის
წარმომადგენელთა
საზეიმო მიღების
დროს.

საქართველოს პრეზიდენტის, მისი აღმატებულება ბატონ გიორგი მარგველაშვილის უაღრესად მართებული გადაწყვეტილების შედეგებს საქართველო კვლავაც დაინახავს, რადგან თურქეთის ქართველებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტებისაგან გამოხატულ ყურადღებას, ყოველი ასეთი მხარდაჭერა მოტივაციაა მათი შემდგომი საქმიანობისათვის.

ამ ეტაპზე აუცილებლად გვესახება ჰაირი ჰაირიოლლუს სახელის უკვდავსაყოფად შემდეგი ნაბიჯების გადადგმა: სასურველია, რომ ამ მოღვაწის სახელი მიენიჭოს თბილისისა და ბათუმის ქუჩებს და დაწესდეს მისი სახელობის პრემია ან სტიპენდია, რომელიც ყოველწლიურად მიენიჭება ქართული დიასპორული კულტურების თვალსაჩინო მკვლევარს.

წინამდებარე მონოგრაფია წარმოადგენს ჰაირი ჰაირიოლლუს ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი ასპექტების შესწავლის პირველ ცდას. წყაროებად გამოყენებული გვაქვს ჰაირი ჰაირიოლლუს (ვახტანგ მალაყმადის) არქივი და მისი გამოქვეყნებული სტატიები, თარგმანები, პუბლიცისტური წერილები, აგრეთვე, სტამბოლის ქართული ხელოვნების სახლში დაცული ახმეთ მელაშვილის საარქივო მასალა, ნაწყვეტები და ამონარიდები მის შესახებ დაბეჭდილი რამდენიმე მოგონებიდან (ლია ჩლაიძის, გურამ ხიმშიაშვილისა და ოთარ ფუტკარაძის), წიგნი „საქართველო“ (გამომცემელი და რედაქტორი ახმეთ ოზკან-მელაშვილი), კრებული „ჩვენებური“, ქართული ემიგრანტული გამოცემები („თავისუფლების ტრიბუნა“, „გუმაგი“).

წიგნის დიდ ნაწილს ქმნის საველე-ეთნოგრაფიული კვლევით მოპოვებული მასალა: ჰაირის ოჯახის წევრების (შვილების, ძმის), მეგობრების, თანამებრძოლების, გამომცემლის მონათხრობი ჰაირის პირადი თვისებებისა და ცხოვრებისეული სირთულეების შესახებ.

წიგნის მომზადების დროს ჰაირი ჰაირიოლლუს (ვახტანგ მალაყმადის) რამდენიმე მნიშვნელოვანი პუბლიკაციის ქართული თარგმანი მოამზადა დოქტორანტმა ნატო დვალმა; თურქული და ინგლისური ტექსტების რედაქტირება მოახდინეს ჰაჯერ ოზქანმა (ეკა ირემადე-მელაშვილმა) და ქეთევან ხუციშვილმა, ტექნიკური დახმარება გაგვიწია გიორგი ჩუბინიძემ.

წიგნი გამოცემულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და სტამბოლის ქართული ხელოვნების სახლის მხარდაჭერით.

როზეტა გუჯეჯიანი



თავი I

ჰაირი ჰაირიოლუს (ვახტანგ მალაყმაძის) მშობლიური სოფელი ჰაირიე (ხაირიე, მიჭინელი/მაჭახელი)

§ I სოფლის ადგილმდებარეობა და მოკლე ისტორია

ქართული სოფელი ჰაირიე მდებარეობს თურქეთის რესპუბლიკის მარმარილოს ზღვის მხარეში. ადმინისტრაციულად იგი მიეკუთვნება ინეგოლის (ისტორიული ანგელოკომო) რაიონს, რომელიც თავის მხრივ მოქცეულია ბურსის რეგიონში.



სოფელ ჰაირიეს შესასვლელი

სოფელი ჰაირიე უკვდავყოფილია მისი სასიქადულო შვილების დამსახურებით. ამ სოფელთან ორი დიდი ქართველის – ახმეტ მელაშვილისა და ჰაირი ჰაირიოღლუს (ვახტანგ მალაყმადის) ცხოვრება და მოღვაწეობა გადაჯაჭვული. ახმეტ მელაშვილი სიძე იყო სოფლისა, ჰაირი კი გახლდათ ჰაირიეში დაბადებული და გაზრდილი.

სოფლის სახელს მკვიდრი ქართველები ორგვარად წარმოთქვამენ: **ხეირიე** და **მიჭიხელი/მაჭახელი** (ეს უკანასკნელი თანდათან მივიწყებას ეძლევა). სოფლის ოფიციალური სახელია **ჰაირიე – HAYRIYE**.

სოფლის მოსახლეობა დღემდე ეთნიკურად მთლიანად ქართველია. სოფელი ქალაქ ინეგოლიდან 17 კილომეტრში მდებარეობს. მასთან ახლოსაა ქართული სოფელი ყაზელი (გაზელი), სადაც ძირითადად ზემო აჭარიდან გადმოსახლებულთა შთამომავლების ცხოვრობენ და ჩაქველთა სოფელი მურათბეი. სოფელი ჰაირიე მთავორიან ადგილზე შეფენილი, გაშლილია ფართოდ, ახლოს აქვს ტყე, სახნავ-სათიბი მიწდებები, წყაროები, ჩამოუდის მდინარე.

ქართული სოფელი შუაგულ ოსმალეთის იმპერიაში, რამდენიმე სხვა ქართულ კომპაქტურ დასახლებასთან ერთად, წარმოიქმნა XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან. 1877-78 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომისშემდგომი ბერლინის კონგრესის საზავო პირობების თანახმად, რუსეთის იმპერიას შეუერთდა ისტორიული საქართველოს აქამდე ოსმალეთის მიერ მითვისებული მხარეები და ამ მხარეებიდან (აჭარა, მაჭახელი, ნიგალის ხეობა, არტანუჯი, იმერხევი, შავშეთი, ფოცხოვი, არტაანი, კოლა) დაიწყო მუსლიმ ქართველთა ნაწილის ემიგრაცია ოსმალეთის იმპერიაში, ცნობილი „მუჰაჯირობის“ სახელით.

ჰაირი ჰაირიოღლუს (ვახტანგ მალაყმადის) მიერ პროფესორ შუმანა ფულტკარადისათვის მიწოდებული ინფორმაციით, საქართველოდან ოსმალეთისკენ მიმავალი გზა მძიმე და ხანგრძლივი ყოფილა. მუჰაჯირებს დიდი ტანჯვა-წვალება გამოუვლიათ. მაჭახელიდან წამოსულებს, გადმოცემით, ერთი წელი გემზე გაუტარებიათ, შემდეგ სტამბოლში ჩაულწევით და ხელისუფლებისათვის თავიანთი გასაჭირი უცნობებიათ. სულთანს ქართველებისათვის სამოსახლოდ ბურსის ვილაიეთი შეუთავაზებია: „გამოსულან აქა, მუულიან აქავრობა, ველ ადგილებზე კოლოები ყოფილან, იმიტომ იქ არ დასახლებულან. დასახლებულან ჩიქუნეთის მგზავს ადგილებზე. აქ ამოსულან, მოწონებიან, – აქ ვიცხოვრებთო. შემდეგ ესენი წასულან ისტანბულ. მოჩეჩებული ხალხი, ოჯაღები გამუყუყუნიან აქა, სულ სამოცი ოჯაღი. ამ ოჯაღებ შორის არიან ჩიქუნარები, ჩხუტუნარები, მილისელნი, კირნათელნი. ხალხი უბნებით დასახლებულან. კირკიტადიები დასახლებულან კირკიტეთში, ხინკილადიები – ხინკილეთში. ქოქოლადიებიც

ამ უბანში არიან. ვაკიელები ბევრი გუარები არიან. აქა ერთი გუარის კილია ჯინჭარა. სოფელი ასი წლის რომე გახდა, იყო ხუთას ოზდაათი ოჯალი. ხე-ირიედან სხუაგან წასულელებიც ბევრი არიან. ისინიც ჩათლილია ამაში¹.

გადმოცემით, პირველმოსახლეთა წინამძღოლი ყოფილა მეტად გულადი და მამაცი კაცი, სახელად ხეირო (სხვა გადმოცემით, ხეიროს ვაჟი), ვისგანაც შემდგომ წამოსულა სოფლის სახელი „ხეირი“. ასე შექმნილა ქართველთა სოფელი ბურსის ვილაიეთის ინეგოლის რაიონში. გავიდა ათწლეულები და დღევანდელ მთხრობელთა ხანდაზმული ნაწილიც იმეორებს ამ ამბავს, ზეპირი ისტორია გადადის თაობიდან თაობაში.

როგორც ზემოთ ითქვა, სოფლის პარალელურ სახელად ძველი თაობის წარმომადგენლები ჯერ კიდევ იყენებენ მეორე სახელსაც – „მიჭიხელი/მაჭახელი“, მცხოვრებთა წარმომავლობის ადგილიდან გამომდინარე (იგულისხმება ისტორიული „მაჭახელი“, რომლის ქვემო ნაწილი მდებარეობს დღევანდელ ხელვაჩაურის რაიონში, ხოლო ზემო მხარე 1921 წლიდან მოქცეულია თურქეთის რესპუბლიკის ართვინის რეგიონის ბორჩხის რაიონში).

§ II. ჰაირიეს შესახებ არსებული წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

ჰაირიეს ხანგრძლივი ისტორია აქვს და საკმაოდ მრავალფეროვანია მასთან დაკავშირებული საისტორიო წყაროები თუ სამეცნიერო ლიტერატურა.


სოფელ ჰაირიეს დიდი ადგილი უჭირავს თურქეთელ ქართველთა ისტორიაში და საქართველოს ქართველთა ისტორიულ მეხსიერებაში, რადგანაც თურქეთელ ქართველთა შესახებ პირველი დოკუმენტური ინფორმაცია სწორედ აქედან მოაწოდა გურამ პატარაიამ (1928-1983 წწ.) საბჭოთა პერიოდის საქართველოს დოკუმენტური ფილმის („ტაო-კლარჯეთი“) მეშვეობით.

გურამ პატარაიასა და მისი გადამღები ჯგუფის უშუალო მასპინძელი ჰაირიეში ახმეთ მელაშვილი იყო². ამ ფილმით გურამ პატარაიამ, დიდმა რეჟისორმა და მამულიშვილმა, სოფელი ჰაირიე საქართველოს ქართველ-


¹ შუშანა ფუტკარაძე. „ჩვენებულების ქართული“. წიგნი გამოსცა ასლან აბაშიძის ფონდმა. აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა, ბათუმი, 1993, გვ. 340.

² საყურადღებოა, რომ იბერია მელაშვილის აზრით, შესაძლოა ჰაირიეში უფრო ადრეც იმყოფებოდა დოკუმენტალისტი საქართველოდან, რადგანაც გურამ პატარაიას ფილმში ორი სხვადასხვა პერიოდის კადრებია ამოცნობილი: ერთი უფრო ძველი და მეორე - გურამ პატარაიას დროინდელი. ძველ კადრებში ახმეთი უფრო ახალგაზრდა ჩანს. ჩვენი კვლევის მიხედვით, ეს შესაძლოა ყოფილიყო გიორგი მდივანის (1905-1981 წწ.) მიერ გადაღებული კადრები. თუმცა პრობლემა შემდგომ კვლევას მოითხოვს და ამ ეტაპზე მხოლოდ ვარაუდს გამოვთქვამთ.


თა ისტორიული მეხსიერების ნაწილად აქცია. მისი დამსახურებით გავეცანით ჰაირიელთა ყოფა-ცხოვრებასა და ეთნომუსიკალური კულტურას. ფილმს დღესაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ როგორც ქართული დოკუმენტალისტიკის, კინოხელოვნების შესანიშნავ ნიმუშს, არამედ როგორც უძვირფასეს ეთნოგრაფიულ წყაროს და ისტორიის რეკონსტრუქციის განმაპირობებელ ფაქტორს.



გურამ კატარაია (1928-1983 წწ.)



პიტერ გოლდი



პოლ მაგნარელა

XX საუკუნის II ნახევრიდან ჰაირიეს ადგილობრივი მუსიკალური ფოლკლორი ჩაიწერა და კაცობრიობას შემოუნახა ქართული კულტურის დიდმა მეგობარმა, ამერიკელმა ეთნომუსიკოლოგმა პიტერ გოლდმა (1968 წ.)¹. პიტერ გოლდის ეთნოანთროპოლოგიური მემკვიდრეობის შესახებ იხ. ქეთევან ხუციშვილისა და როზეტა გუჯეჯიანის ნაშრომები².

70-იან წლებში სოფლის ყოფა და კულტურა აღწერა, შეისწავლა და ინგლისურენოვან სამყაროს გააცნო თვალსაჩინო ამერიკელმა ანთროპოლოგმა პოლ მაგნარელამ³.

ახმეთ მელაშვილის ცხოვრებისა და იმდროინდელი სოციო-კულტურული პრობლემების შესწავლის საქმეში უდიდესი მნიშვნელობის მქონეა გიორგი კალანდიას მონოგრაფია, პუბლიკაციები და ფილმები⁴.

ჰაირიელთა საოჯახო ყოფას ეძღვნება ნინო ოქროსცვარიძის მონოგრაფია⁵.

ინეგოლელ ქართველთა ტრადიციული კულტურის შესახებ დოკუმენტური ფილმი გადაიღო სოსო სტურუამ („ნაღვერდალი“, 2007). ჟურნალისტმა თამარ ცქიტიშვილმა ფესტივალ „ჩვენებური“-ს მიმდინარეობის დროს მოამზადა არაერთი სიუჟეტი ჰაირიედან⁶ და სხვ.

რამ განაპირობა დოკუმენტალისტთა და მეცნიერთა ასეთი დიდი ინტერესი თურქეთის ერთი პატარა სოფლით? ან როგორ მიაკვლიეს მათ ამ სოფელს? ვფიქრობთ, პასუხები ცალსახაა: ჰაირიეს უკავშირდება ახმეთ მელაშვილის ცხოვრება ქორწინების შემდეგ (1955 წლიდან), რადგან ჰაირიელი გახლავთ ბატონი ახმეთის მეუღლე ქალბატონი იუქსელ ოზკანი (ქალიშვილობის გვარით ერგუნი/ჯინჭარაძე). ამასთანავე, ამ სოფლის მკვიდრი იყო ვახტანგ მალაყმაძე (მისი ოფიციალური გვარიც – ჰაირიოლლუ – ჰაირის შვილი – წინაპრის – ხეიროს და ამ წინაპრის სახლის ტოპონიმად ქცეული ფორმიდან მომდინარეობს). სწორედ მათი დამსახურებით გაიცნეს ეს სოფელი საქართველომ და მსოფლიოს თვალსაჩინო მეცნიერებმა.

¹ იხ. *მუსიკალური ჩანაწერები: Peter Gold, Georgian folk music from Turkey.*

² ქეთევან ხუციშვილი. „პიტერ გოლდი: ბიოგრაფიული ცნობები და სამეცნიერო მოღვაწეობა“. – ანთროპოლოგიური კვლევანი. საქართველოს ანთროპოლოგთა ასოციაცია, III, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2017. გვ., 34-44. როზეტა გუჯეჯიანი. „სოფელი ხეირი“ (ყოფა და კულტურა XX საუკუნის 60-იანი წლებიდან დღემდე). – ანთროპოლოგიური კვლევანი. საქართველოს ანთროპოლოგთა ასოციაცია, III, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2017. გვ., 45-68.

³ Magnarella, Paul J. *The Peasant Venture: Tradition, Migration and Change among Georgian Peasants in Turkey.* Schenkman Publishing Company: Cambridge, MA, 1979.

⁴ გიორგი კალანდია. „აჰმეთ მელაშვილი, ჩვენებურთა ბელადი“. თბ., „სეზანი“, 2010; „სამი ქართული ამბავი“. თბ., 2017; ფილმი „აჰმედ მელაშვილი“, ორი ნაწილი, 2012.

⁵ ნინო ოქროსცვარიძე. „ოჯახი და საოჯახო ყოფა თურქეთელ ქართველებში“ (ინეგოლის რაიონის სოფელ ჰაირიეს მოსახლეობის მაგალითზე). თბ., შპს „სამი“, საგამომცემლო ჯგუფი „თვალსაზრისი“, 2012.

⁶ <https://www.youtube.com/watch?v=T92jCjoxBM&fbclid=IwAR0SMurJKywzHI2xzCllkX91MANHs0HPw630U9frGnlzoDBJWVxYEoaR1kg>

§ III. ჰაირიელი ქართველების ტრადიციული კულტურის ძირითადი მახასიათებლები¹

ჰაირიე მთაგორიანი სოფელია და მისი დასახლების ტრადიციული სტრუქტურა პირველმოსახლე ქართველ საგვარეულოთა განსახლების არეალის მიხედვითაა შექმნილი.



სოფელი ჰაირიე

¹წიგნის დასხვაგარკვეული ნაწილებიც უკვე გამოქვეყნებულია სამეცნიერო ლიტერატურაში. იხ. რ. გუჯეჯიანი. „სოფელი ხეირიე (HAYRIYE)“ (ყოფა და კულტურა XX საუკუნის 60-იანი წლებიდან დღემდე). - კრებული: ანთროპოლოგიური კვლევანი. საქართველოს ანთროპოლოგთა ასოციაცია, III, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2017. გვ., 45-68.

ჰაირიელებს ახსოვთ პირველმოსახლეთა გვარები: „თურქეთში მაჭახლიდან სამოცი ოჯახი მოსულან: გორაძე, ხინკილაძე, კირკიტაძე, აბაშიძე, მალაყმაძე, ქოქოლაძე, ლექურაშვილი, სიკალიძე, გურგენიძე, დოლიძე, ... მიმინაძე, გოგინიძე, ჯინჭარაძე“¹. გარდა ამ გვარებისა, ხეირიელები არიან ბასილაძეები, ბოლქვაძეები, გოჩიტაძეები, გოგიტიძეები და სხვ.

პირველმოსახლე ჰაირიელთა რამდენიმე ოჯახი წარმოშობით კირნათელი ყოფილა, მაგრამ მათზე ამბობენ, რომ კირნათელთა ოჯახებიც დედით მაჭახლელნი ყოფილან და ამიტომ გამოჰყოლიან მაჭახლელებს მუჰაჯირობაშიც.

ეთნოგრაფიული მასალა ავლენს სოფლის გეოგრაფიული პირობების დიდ მსგავსებას ისტორიულ სამშობლოსთან, რაც სრულიად ბუნებრივია – მუჰაჯირებმა საცხოვრებლად მშობლიური გარემოს მსგავსი ადგილი შეარჩიეს.

სოფლის ტრადიციული ყოფა და კულტურა მომდინარეობს მაჭახლური ტრადიციული ყოფიდან. XX საუკუნის ბოლომდე სოფელი მთლიანად ქართულად მეტყველებდა: საუბრობდნენ მაჭახლურ დიალექტზე. ჩვენს დროში კი, სამწუხაროდ, ახალგაზრდათა ნაწილმა უკვე აღარ იცის დედაენა.

ჰაირიე კულტურის ბევრი მახასიათებლით გამორჩეულია და ერთ-ერთი საამაყო მომენტი, რომელიც ადგილობრივთა კულტურული მეხსიერების ნაწილია, არის სოფლის პირველობა სკოლის დაარსების საქმეში. ჰაირიელებს ჯერ კიდევ 1920-ინი წლების მეორე ნახევარში აუშენებიათ სკოლა მთელი სოფლის მონაწილეობით. სწრაფვა განათლებისაკენ და ტრადიციული ქართული სოციალური სოლიდარობის შრომითი ურთიერთდახმარების ფორმა – ნადი – ახლაც ეთნიკური კულტურის ცოცხალი ელემენტებია ჰაირიელ ქართველთა შორის.

გამრჯე მაჭახლელებმა ახალ საცხოვრისში სწრაფადვე შექმნეს ქართული განსახლებისა და დასახლების მქონე ტიპიური სოფელი. ბუნებრივია, რომ აქ დამკვიდრება და სოფლის მოშენება ბევრ სირთულესთან იყო დაკავშირებული: ეკოლოგიური და სოციალური ადაპტაციის პრობლემებთან ერთად სოფელი, გადმოცემით, ერთიანი ძალით უმკლავდებოდა ახლო-მახლო მოთარეშე სხვადასხვა ჯგუფებს, თავდამსხმელებს, ყაჩაღებს.

სამწუხაროდ, საოჯახო ალბომებს ნაკლულად შემორჩა მეოცე საუკუნის დასაწყისის ფოტომასალა, მაგრამ მოგვეპოვება 40-იანი წლების სურათები, რომლებშიც ასახულია ტრადიციული მაჭახლური ტიპის საცხოვრებელი სახლები და დამხმარე სამეურნეო ნაგებობები. იმ დროს სახლები ძირითადად ერთსართულიანი, უფრო გვიან კი ორსართულიანიც ყოფილა. ორსართულიანი სახლების ქვედა სართული გამოიყენებოდა სამეურ-

¹ შ. ფუტკარაძე. იქვე, გვ., 346.

ნეო სათავსად, ზედა კი საცხოვრებლად. სახლები გადახურული იყო კრამიტით.

ხეირიელთა კარ-მიდამო წნული ღობით იყო შემოზღუდული. შიგნით მოქცეული იყო სამეურნეო ნაგებობები: ახორი, ნალია, ხულა, ეზოს წინ იდგა ავაზანი (წყლის სათავსი). ცნობილია, რომ სახლის გარშემო შემოღობილი კარ-მიდამო აუცილებელი ნიშანია ზოგადად ქართული სოფლები-სათვის და ასეა ეს ხეირიეშიც, რაც მკაფიოდ ავლენს ქართველთა და მათ მეზობელ იორუქთა ან აბაზთა/აფხაზთა შორის არსებულ ყოფით კულტურათა სხვაობას ჩვენს დროშიც კი.

ჰაირიეში ჰქონიათ საირიგაციო სისტემა, სოფელში – წყარო, სოფლის მახლობლად კი ტყე. სოფელი ამიტომ ხე-ტყის ნაკლებობას არ განიცდიდა. გადაადგილების საშუალება ძველად ურემი ყოფილა.

ჰაირიელმა ქართველებმა შექმნეს მემინდვრეობისა და მესაქონლეობის მძლავრი ბაზა. ადგილობრივ კლიმატსა და გეოგრაფიულ ლანდშაფტს კარგად მიუსადაგეს ტრადიციული ქართული სამიწათმოქმედო გამოცდილება: თესავდნენ ხორბალს, ქერს, ჭვავს, მუხუდოს, ცერცვს, ბარდას, სიმინდს, ლობიოს, კარტოფილს.

ძველად ხარით ხნავდნენ. სახვნელს ერქვა „ჯილდა“ და მის სახნისს „ჯილდას რკინა“. სხვა ნაწილები: „ორი ყირი, ტარი, ენეგი, ყილიჯი, უღელი, ტაბიკები, შიანაი და გარეთაი ტაბიკი, თოკვი“.

სოფელში აქვთ ბოსტნები, სადაც მოჰყავთ „შავი ფხალი, კვახი, კიტრი, ყარფუზი, ქინძი, ნიორი, ხახვი, პრასი, მაკიდო, ბოლოკი, ჭარხალი, სტაფილო“.

მალევე გაუშენებიათ ვაზი, ძირითადად, მალღარი და სხვადასხვა ხეხილი: ვაშლი, მსხალი, ბალი, ბია (კომში), ქლიავი და სხვ.

ჰაირიელებმა განავითარეს მსხვილფეხა მესაქონლეობა, ჰყავდათ ცხვარი, თხა. მისდევენ მეფრინველეობას. მესაქონლეობის ბაზები გასული საუკუნის მიწურულამდე ჯერ კიდევ მთაში ჰქონდათ გამართული, მსგავსად აჭარული, მაჭახლური მთა-ბარული მესაქონლეობისა.

მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ტრადიციული ქართული ფორმების აღორძინებამ განაპირობა ტრადიციული კვებითი კულტურის სიცოცხლისუნარიანობა და მდგრადობა. ჰაირიეში დღემდე ამზადებენ ქართულ საკვებს: აცხობენ მჭადს, პურს, აქვთ მდიდარი ცოდნა შეჭამანდების მომზადებისა, რომელთა შორის განსაკუთრებით ფასობს ფხალლობიო, ამოლესილი ლობიო, მალახტო, კერჩხო ლობია, ცერცვულაი. ტყემლისაგან ხარშავენ საწებელ „ყორაო“-ს. აქვთ მრავალფეროვანი რძის ნაწარმი: ყველი, დო, მაწონი.

სარიტუალო დანიშნულების, ქორწილში მისართმევი საჩუქარი ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ იყო მრგვალ ტაბლაზე/სინზე დაწყობილი სამი ნიგვზისგულიანი პური, რომელსაც აქ ხაჭაპური ჰქვია. ხაჭაპურებზე

დევეს შემწვარი ან მოხარშული ქათამი. ზოგიერთი მთხრობელის სიტყვით, უფრო ძველად ყოველივე ეს წამოგებული ყოფილა სარზე.

სოფელში 80-იან წლებამდე განვითარებული ყოფილა მეაბრეშუმეობა, რასაც ხეირიელები „ყაჭის მოშენებას“ უწოდებენ.

იმ ოჯახებში, რომლებსაც ცხვარი ჰყავდათ, მატყლისგან ამზადებდნენ შალის ძაფს. თითქმის ყველა ოჯახში ჰქონიათ საფეიქრო დაზგები, რომელზეც ქალები ქსოვდნენ ტანსაცმელს, საწოლისა და სუფრის გადასაფარებლებს, ბალიშისპირებს და სხვ. სცოდნიათ ნართის სხვადასხვაფრად შეღებვა ბუნებრივი საღებავებით. შალის მოსათელად სპეციალური მოწყობილობა „სათელავი“ ჰქონიათ. მოთელვაში სოფლის ქალები ერთმანეთს ეხმარებოდნენ.

სოფლის ტრადიციული დღეობები ყოფილა ახალი წელი (ძველი სტილით), ისლამური კულტურით განპირობებული „ყურბან ბაირამი“ და „რამაზან ბაირამი“, აგრეთვე, ძველი ქართული ხალხური დღეობა „შუამთობა“, სინკრეტული დღეობა „ხიდრიელა/ხიზრიელა“ და სხვ.

აი, ასეთ გარემოში დაიბადა და გაიზარდა ჰაირი ჰაირიოღლუ (ვახტანგ მაღაყმაძე).

§ IV. სოფელ ჰაირიეს ტრანსფორმაცია XX საუკუნის II ნახევრიდან და თურქეთელ ქართველთა ეთნიკური და კულტურული გამოღვიძების პროცესი

ჰაირიეს ცხოვრებაში დაწყებული დიდი ცვლილებები დაკავშირებულია ახმეთ მელაშვილის დამკვიდრებასთან ამ სოფელში.

ახმეთ მელაშვილი დაქორწინებამდეც იცნობდა სოფელ ჰაირიეს, რადგან იქაური იყო მისი მეგობარი ნური ერგუნი (ჯინჭარაძე). ჯინჭარაძეთა ოჯახს გარკვეული წვლილი მიუძღვის ადგილობრივ ქართველთა ეთნიკური იდენტობის გაღვივებისა და განვითარების საქმეში. ნური ერგუნი ახმეთის მომავალი მეუღლის, ქალბატონ იუქსელის ბიძა იყო და სწორედ ამ მეგობრობის შედეგად გაიცნეს ახმეთმა და იუქსელმა ერთმანეთი.

დაქორწინების შემდეგ ახმეთ მელაშვილი ჰაირიეში დასახლდა. აქ ისინი ცხოვრობდნენ 1959 წლამდე, მაგრამ შემდგომაც მუდამ მჭიდრო კავშირი ჰქონდათ სოფელთან, ახმეთის სიცოცხლეშიც (1980 წლამდე) და ახლაც. ამჟამად სოფელთან კონტაქტს აგრძელებენ ქალბატონი იუქსელი, მისი შვილები: იბერია და თამარ მელაშვილები, რძალი ევა ირემაძე, სიძე რაგიფ ათაი და შვილიშვილები.

ჰაირიელ ჯინჭარაძეთა ოჯახი ქართული კულტურის ცნობილი ქომავალი იყო ამ მხარეში. სწორედ მათ გააცნეს ახმეთს სოფლის ყველა პრობლემა და განვითარების შესაძლებლობები.



*დოქტორი ნური ერგუნი და მისი მეუღლე ქადერი.
იუქსელ, ახმეთ, იბერია და თამარ მელაშვილები.*

იმ წლებში ახმეთი და ჰაირი ჯერ ერთმანეთს არ იცნობდნენ, რადგან ჰაირი სკოლის დამთავრების შემდეგ მსახურობდა თურქეთის სხვადასხვა რეგიონში და ინეგოლიდან შორს იმყოფებოდა.

ახმეთმა და ვახტანგმა საქართველოც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოძებნეს, მაგრამ 50-იანი წლების ბოლოდან უკვე დამეგობრდნენ, ერთი იდეის გარშემო შეიკრნენ. საბოლოოდ კი ქართული იდენტობის გადარჩენის იდეას შესწირა სიცოცხლე ახმეთმა, ხოლო ჰაირის ვაჟიშვილი მოუკლეს და წაართვეს ბედნიერების განცდა.

ახმეთ მელაშვილი მეგობრობდა ევროპაში მოღვაწე ემიგრანტ ქართველებთან, რომელთა დახმარებითაც ეცნობოდა საქართველოს ისტორიასა და კულტურას. განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ლევან ზურაბიშვილთან.

XX საუკუნის 50-იანი წლებიდან ჰაირი მჭიდროდ დაუკავშირდა საბჭოთა საქართველოსაც. კავშირი ხორციელდებოდა პროფესორ ოთარ გიგინეიშვილისა და მისი ჯგუფის, თვალსაჩინო ქართველ მეცნიერთა და მწერალთა მეშვეობით. ორგანიზაციას ეწოდებოდა „უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოება“. ამ ორგანიზაციის პრეზიდიუმს 1968-1990 წლებში პროფესორი ოთარ გიგინეიშვილი თავმჯდომარეობდა.

ბუნებრივია, რომ გურამ პატარაიას, პიტერ გოლდისა და პოლ მაგნარელას ვიზიტები ჰაირიეში, იქ გადაღებებისა და კვლევების ნებართვის მიღება ხელისუფლებისაგან რთული იქნებოდა. იმ წლებში ხომ საკმაოდ მძიმე პოლიტიკური ვითარება იყო თურქეთის რესპუბლიკაში. სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები აისახებოდა ჰაირიელთა ყოფაზეც. ამდენი კეთილი საქმის მოთავე ახმეთ მელაშვილი მუდმივად განიცდიდა კონტროლს ხელისუფლების მხრიდან. ახმეთის ხასიათის თავისებურებები კარგად ჩანს ფრიდონ ხალვაშის ლექსებსა და პროზაში; ამავე საკითხის შესახებ გარკვეული ინფორმაცია მოიპოვება მამია ვარშანიძისა და ალექსანდრე ჩხაიძის დოკუმენტურ პროზაშიც¹.

XX საუკუნის 50-60-იანი წლების ინეგოლის რაიონის ისტორია საინტერესო მოვლენებითაა გამორჩეული. ახმეთ მელაშვილისა და მისი მეგობრების, ჰაირი ჰაირიოღლუსა და სხვა ადგილობრივ ქართველთა შრომითა და თავგანწირვით ჰაირიეში, შემდეგ ინეგოლში და დიდ ქალაქ ბურსაში იწყება ქართველთა ეთნიკური ნიშნით თვითგამოღვიძების პროცესი.

¹ მამია ვარშანიძე. „ნატვრა სულისა“. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი, 1989; ალექსანდრე ჩხაიძე. „ჩვენებურები“ (დოკუმენტური მოთხრობა თურქეთში მცხოვრებ თანამემამულეებზე და კიდევ სხვა ამბებზე“. გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი, 1991; ფრიდონ ხალვაში. „შეიძლება თუ არა მუსლიმანი იყოს ქართველი?“ გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი, 1994; ფრიდონ ხალვაში, ომრი, ს.ს. გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი, 2010.

1961 წელს ახმეთ მელაშვილმა დააარსა „სოფელ ჰაირიეს ტურიზმი-სა და განვითარების ასოციაცია“ და დააფუძნა კოოპერატივი, რომელიც ერთ-ერთი პირველი კოოპერატივი ყოფილა მთელ თურქეთში. კოოპერატივის შექმნა მიზნად ისახავდა ჰაირიელ ქართველთა სოციალური ყოფის გაუმჯობესებას და კულტურის განვითარებას. შენობა კულტურის ცენტრისათვის დააპროექტა ახმეთმა, – ის ხომ პროფესიით არქიტექტორი იყო. მშენებლობა ქართველთა მიერ გაღებული შემოწირულობებით ხორციელდებოდა. სახლის მშენებლობა დასრულდა ახმეთის მკვლევლობის შემდეგ. ამჟამად ეს სახლი, როგორც ქართული კულტურის კერა, მოქმედია და მის საქმიანობას ადგილობრივი ქართველები წარმართავენ. და მან ბოლო წლებში ახალი სიცოცხლე შეიძინა.

ახმეთი ჰაირიეს კოოპერატივის მეშვეობით ინეგოლელ ქართველებს სამუშაოდ გერმანიაში გზავნიდა, რითაც ეკონომიურად ძლიერი თაობის შემოკრებასა და მათთან ერთად სამომავლო გეგმების განხორციელებას ცდილობდა.

1962 წელს ახმეთმა სოფელ ხეირიეში დააარსა ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. ეს ანსამბლი მრავალი წლის განმავლობაში მოქმედებდა.



ჰაირიეს ანსამბლის წარმატებული გამოსვლა ბურსაში

ახმეთ მელაშვილი ცდილობდა თურქეთში მცხოვრებ სხვა კავკასიელ ეთნიკურ ჯგუფთა კულტურის გადარჩენასაც. ინეგოლის რაიონში არსებობს აბაზური, ჩერქეზული კომპაქტური დასახლებები. მათი წინაპრებიც თავის დროზე მუჰაჯირებად არიან წასულნი ოსმალეთში. ახმეთი და შემდეგ უკვე ჰაირი სწავლობდნენ კავკასიური წარმომავლობის მოსახლეობის ყოფას, კულტურას და ეხმარებოდნენ მათ სხვადასხვა პრობლემების მოგვარებაში. ეს კეთილი ურთიერთობები გრძელდება ჩვენს დროშიც და სტამბოლის ქართული ხელოვნების სახლის (დამფუძნებლები: იბერია მელაშვილი, გიორგი ირემაძე) მუდმივი სტუმრები, ქართველებთან ერთად, არიან თურქეთში მცხოვრები ჩერქეზები, ოსები, აზერბაიჯანელები და აბაზებიც კი. იბერია მელაშვილის ქართული ანსამბლების რეპერტუარში ქართულთან ერთად აბაზური, ჩერქეზული, ოსური, აზერბაიჯანული სიმღერებიცაა შეტანილი.

1968 წელი საკრალური თარიღია თურქეთელ ქართველთა ისტორიაში. დიდი სამზადისისა და უამრავი სირთულის დამღვევის შემდეგ ამ წელს გამოიცა წიგნი „საქართველო“ (თურქულად „გურჯისტანი“)¹. წიგნი თურქულენოვანია, რედაქტორი და გამომცემელია ახმეთ მელაშვილი. წიგნში საქართველოსა და ქართული კულტურის შესახებ სხვადასხვა ავტორის მიერ დაწერილი ან თარგმნილი მასალაა თავმოყრილი და მოთხრობილია საქართველოს ისტორიის, ქართული კულტურის, ლიტერატურის, ხელოვნებისა და ფოლკლორის შესახებ. წიგნის მომზადებაში უდიდესი წვლილი, ცხადია, მიუძღვის ახმეთ მელაშვილს და მასთან ერთად მის უახლოეს მეგობარს, ჰაირი ჰაირიოღლუს, აგრეთვე, ქამილ ოღუნს (თავადიძეს)². წიგნის გამოცემაში ახმეთს ფინანსურად სხვა თურქეთელი ქართველებიც ეხმარებოდნენ. სამეცნიერო დახმარება კი ახმეთს, როგორც ჩანს, აღმოუჩინეს მეცნიერებმა საბჭოთა საქართველოდან და ევროპის ქართულმა ემიგრაციამ. ახმეთ მელაშვილმა, ფაქტობრივად, გასწირა საკუთარი თავი, როდესაც ითავა ამ წიგნის მომზადება, შედგენა, გამოცემა და ხელმძღვანელობა. წიგნს დიდი გამოხმაურება მოჰყვა თურქეთის ქართველობაში და, ბუნებრივია, რომ ხელისუფლების ყურადღებაც მიიქცია, თუმცა ახმეთ მელაშვილს გარკვეული სირთულეების დამღვევის შემდეგ წიგნის გავრცელების ნებაც მიეცა.

„საქართველოს“ გამოცემა ეპოქალური მოვლენა იყო თურქეთის ქართველებისათვის. და ეს წიგნი დღემდე რჩება უმნიშვნელოვანეს ისტორიულ ფაქტად.

¹ AHMET ÖZKAN (MELAŞVİLİ), YÜKSEK MÜHENDİS MİMAR, G Ü R C Ü S T A N. TARİH EDEBİYAT SANAT FOLKLOR, 1968. İSTANBUL.

² ჩვენებური, კულტურული კრებული, ნომ. 1(8), 1993 წელი. გვ., 5.



ჰაირის არქივში დაცულია ევროპიდან მასთან და ახმეთთან გამოგზავნილი ქართული ემიგრაციული გამოცემები: „ცნობის ფურცელი“, „თავისუფლების ტრიბუნა“, „გუშაგი“ და სხვ. საგულისხმოა, რომ ქართულ-ევროპულ ემიგრაციასა და თურქეთელ მოღვაწე ქართველებს ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ. ახმეთთან და ჰაირისთან დიდი მეგობრობა აკავშირებდათ ბატონ ლევან ზურაბიშვილს და გიორგი წერეთელს. მაგალითად, 1970 წლის მარტის „ცნობის ფურცელი“ (პასუხისმგებელი რედაქტორი და გამომცემელი, სათვისტომოს თავმჯდომარე ლევან ზურაბიშვილი) ეხმაურება „საქართველოს“ გამომცემას და აქვეყნებს მცირე ანოტაციას წიგნის შესახებ: „გურჯისტან“ – ახმედ ოშკან მელაშვილის წიგნი საქართველოს აცნობს მის თურქ და თურქეთის ქართველ მახმადიანებს. ისტორია, გეოგრაფია, ლიტერატურა, ზნე-ჩვეულება; მრავალი სურათებით და რუკებით; პროფ. დიუმეზილის ბოლოსიტყვაობით/. სტამბოლი: 1968. მეტად საჭირო და გულით ნაშრომი, 250 გვერდიანი წიგნი ღირსია ერთად თურქების და ქართველების მადლობისა“¹.

1971 წლის ივნისის „ცნობის ფურცელში“ წარმოდგენილია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან 53 წლისთავის აღსანიშნავი საზეიმო დღესასწაულის ანგარიში და ინფორმაცია, რომ ტელეგრამა და მისალმება მიუღიათ თურქეთიდანაც „მაჰმადიან ქართველებისაგან“, რაც განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსად მიუჩნევათ ღონისძიების ორგანიზატორებს².

¹ „ცნობის ფურცელი“. საფრანგეთში მყოფ ქართველ ლტოლვილთა სათვისტომო. მარტი, 1970, გვ., 14.

² „ცნობის ფურცელი“. საფრანგეთში მყოფ ქართველ ლტოლვილთა სათვისტომო. ივნისი, 1971, გვ., 8.



ლევან ზურაბიშვილი (1906-1975 წწ.)

თანდათანობით, დიდი შრომისა და გარჯის შედეგად მომზადდა ნიადაგი მორიგი წიგნის გამოცემისთვის. ეს იყო ჟურნალი „ჩვენებური – კავკასიოლოგიური კრებული“, რომელიც მოამზადეს ახმეთმა, შანვერ აქინმა, ჰაირი ჰაირიოდლუმ და სხვა მამულიშვილებმა და რომელიც 1977 წელს გამოსცეს შვედეთში, სტოკჰოლმში, ბატონ შანვერ აქინის დიდი ღვაწლით. წინა წელს ახმეთი შვედეთში იმყოფებოდა (1976 წელი). ჟურნალი პირველიდან მეხუთე ნომრის ჩათვლით გამოიცემოდა სტოკჰოლმში, გამომცემელი: ბატონი შანვერ აქინი (შალვა თევზაძე). ჟურნალი თურქულენოვანია. მასში საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ლიტერატურის ამსახველი მასალაა დაბეჭდილი. აი, როგორ იგონებს „საქართველოსა“ და „ჩვენებურის“ გამოცემის საქმეში ჰაირის წვლილს ბატონი შანვერ აქინი: „ჩემს ძმობილს ჰაირის, 1968 წლიდან ვიცნობ. მას დიდი წვლილი მიუძღვის აწ გარდაცვლილი ახმეთ მელაშვილის წიგნ „საქართველოს“ გამოცემაში როგორც მატერიალურად, ისე მორალურად. ასევე გვეხმარებოდა და მხარს გვიჭერდა მე და ახმეთ მელაშვილს 1970-80 წლებში „ჩვენებურის“ გამოცემაში“¹.

ახმეთის სიცოცხლეში გამოვიდა კრებულის შვიდი ნომერი: პირველი, გაერთიანებული მეორე და მესამე ნომრები (1977 წ., სტოკჰოლმი) და გაერთიანებული მეოთხე და მეხუთე ნომრები (1978 წ., სტოკჰოლმი), ხოლო


¹ „ჩვენებური“. კულტურული კრებული. ნომ. 49, 2003, წერილი, გვ., 30.

გაერთიანებული მეექვსე და მეშვიდე ნომრები უკვე სტამბოლში დაიბეჭდა (1979 წ., სტამბოლი).

ჟურნალის გამოცემა უდიდესი მოვლენა იყო თურქეთის ქართველთა სოციო-კულტურულ ცხოვრებაში, რომელმაც უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიკავა თურქეთის ქართველთა ეთნიკური თვითშეგნების გაღვივების საქმეში. კრებულში ქართული ტექსტებიც იყო ჩართული და მათი მეშვეობით მსურველს შეეძლო ქართული ანბანის შესწავლა.

ჟურნალის ყველა ნომერში დაბეჭდილია ჰაირი ჰაირიოღლუს სტატია ან თარგმანი. ამ დროს ის ხელს აწერს როგორც ჰაირიოღლუს, ასევე „ხი-ნკილადის“ გვართაც. სრული ბიბლიოგრაფია მოცემულია შემდეგ თავში.

თურქეთის სოფლებსა და ქალაქებში ჩატარებული ეთნოგრაფიული კვლევის დროს არაერთ ეთნიკურ ქართველს შეეხვედრივართ, რომელთაც ქართული ანბანი სწორედ „ჩვენებურიდან“ ისწავლეს და მიიღეს ცოდნა საქართველოსა და ქართული კულტურის შესახებ.



კრებული „ჩვენებურის“ პირველი გამოცემის ნომრები

სოფლის კულტურული იერის განვითარებისა და ხეირიელთა ეთნიკური თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ამ მხარეში ქართველი დოკუმენტალისტების სტუმრობას, შემდეგ კი ცნობილი ამერიკელი ეთნოანთროპოლოგების დაინტერესებას ადგილობრივ ქართველთა ყოფითა და კულტურით. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოლ მაგნარელას დამსახურება. ამერიკელმა ანთროპოლოგმა პოლ მაგნარელამ ინეგოლის რაიონის ქართველებს ახმეთ მელაშვილის მეშვეობით მიაგნო. პოლ მაგნარელა 1969-70 წლებში სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობდა და იკვლევდა თურქეთის ერთ-ერთ დიდ დასახლებულ პუნქტს – სუსურლუკს, რომელიც მდებარეობს ბალიკესირის რაიონ-

ში. მეცნიერი ატარებდა საველე-ეთნოგრაფიულ კვლევას ამ მხარეში. მას აინტერესებდა სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფთა თანაარსებობისა და მიგრაციის საკითხები. საკვლევად შერჩეულ მხარეში ცხოვრობდნენ მანავეები, თურქმენები, „მუჰაჯირი“ თურქები ბალკანეთიდან, „მუჰაჯირთა“ შთამომავლები კავკასიიდან: ქართველები და ჩერქეზები. მეცნიერმა გადაწყვიტა ქართველთა გაცნობაც. ამ საქმეში ყველაზე კარგ ექსპერტად მას ახმეთ ოზკანი (მელაშვილი) დაუსახელეს. ახმეთი იმ დროს ბურსაში ქართულ ღონისძიებას ატარებდა, რომელსაც დაესწრო პოლ მაგნარელაც. მეცნიერმა იხილა ტრადიციულ ქართულ სამოსში გამოწყობილ ქართველთა ხალხური ცეკვები. აქვე მას ქართველთა შესახებ საგულისხმო ინფორმაცია მიაწოდა ახმეთმა, რომელიც შემდგომშიც უწევდა კონსულტაციას ქართული კულტურით დაინტერესებულ პოლ მაგნარელას. ბურსაშივე ახმეთმა ამერიკელი მეცნიერი სოფელ ხეირიეში მიიწვია. პოლ მაგნარელა სოფელში ქართველთა ქორწილს დაესწრო. ბატონი ახმეთის თხოვნითა და საკუთარი სურვილითაც პოლ მაგნარელამ გადაწყვიტა შეეკრიბა ეთნოგრაფიული მასალა ხეირიელ ქართველთა შესახებ¹. იგი შემდგომშიც რამდენჯერმე ესტუმრა ხეირიეს და გამოიკვლია ადგილობრივთა ტრადიციული კულტურული მახასიათებლები: ეკონომიკური ვითარება, ისტორიული რაკურსი, სოციალური ყოფის თავისებურებები. კვლევის შედეგები აისახა პოლ მაგნარელას შესანიშნავ მონოგრაფიაში (მაგნარელა 1979). 1997 წელს პოლ მაგნარელას მონოგრაფია ითარგმნა თურქულადაც².

„ჩვენებურის“ პირველი გამოცემის ბოლო ნომერში არის მოკლე ინფორმაცია სოფელ ჰაირიეს ყოფა-ცხოვრებიდან. ინფორმაცია დასათაურებულია ასე: **„ინეგოლის სოფელ ჰაირიეში კულტურის ცენტრის მშენებლობა“**. წერილი გვამცნობს, რომ „ინეგოლის სოფელ ჰაირიეში პირველად კულტურის ცენტრის მშენებლობას საფუძველი ჩაეყარა 1979 წლის 9 ნოემბერს, კვირა დღეს, დაკონსერვებული წარმოების შენობაში, რომლიც მოიცავდა კოოპერატიულ მაღაზიას, ახალგაზრდების შეკრების ადგილს, ბიბლიოთეკას, ექიმის ოთახს, სამკურნალო ცენტრს, საოჯახო სასტუმროს და 300 ადამიანზე გათვლილ სხვადასხვა განყოფილებიან საგანმანათლებლო ცენტრს. ეს შენობა ახალგაზრდებს უნდა გამოეყენებინათ საკითხავად, ჭადრაკის სათამაშოდ, ხალხური სიმღერისა და ცეკვის შესასწავლად, კონცერტების, სანახაობებისა და სხვა მსგავსი ღონისძიებე-

¹ Magnarella, Paul J. *The Peasant Venture: Tradition, Migration and Change among Georgian Peasants in Turkey*. Schenkman Publishing Company: Cambridge, MA, 1979.

² Bir Koyun Seruveni: *Turkiye'deki Gurculer Arasinda Gelenek, Goc, Degisim. Sinatle, ISTANBUL, 1997. მთარგმნელი: ნურეთთინ ელჰუსეინი. რედაქტორი: ფაჰრეთთინ ჩილოღლუ.*

ბისათვის. ქალებს კი ეს შენობა შეეძლოთ გამოეყენებინათ ზამთრის შესა-
ნახების (კონსერვები) დასამზადებლად. სოფლის მოსახლეობას და ასევე
მეზობელ სოფლებს ამ ცენტრით შეეძლოთ ესარგებლათ დანიშნულები-
სამებრ ექიმთან ვიზიტის დროს, სამკურნალოდ, სხვადასხვა კურსებისა
და ფოლკლორის შესასწავლად. ზამთრის გამო მშენებლობა გადაიდო და
ყველა სამშენებლო მასალის მომარაგების შემდეგ დაიწყებოდა სამშენებ-
ლო სამუშაოები. მშენებლობის სეზონის დადგომისთანავე დაიწყებოდა
მშენებლობა და უმოკლეს დროში უნდა დამთავრებულიყო. ამრიგად,
1961 წელს დაარსებულ სოფელ ჰაირიეს ტურიზმისა და განვითარების
ასოციაციას დაემატებოდა კიდევ ერთი ახალი ცენტრი. ამ ასოციაციას და-
არსების დღიდან მოყოლებული დღემდე შემდეგი ღონისძიებები ჰქონდა
ჩატარებული:

- ასოციაციის მიერ ჩამოყალიბებულმა ქართული ხალხური ცეკვე-
ბის ანსამბლმა ქალაქ ბურსის ფესტივალზე პირველი ადგილი მოიპოვა.
- სოფელ ჰაირიეში ჩამოყალიბებული კოოპერატივის განვითარების
ორგანიზაციის შუამავლობით გერმანიაში გაიგზავნა 150 მუშა.
- ამერიკის ინდიანას უნივერსიტეტის მიერ ჩაწერილ იქნა სოფლის
სიმღერები, რომლებიც შემდგომ მსოფლიოსა და მუსიკალურ წრეებს გა-
აცნეს, როგორც სოფელ ჰაირიეს ფოლკლორი.
- სოფელში აშენდა ხიდი და სხვ.

კულტურის სახლის მშენებლობა დაფინანსებული იქნა სოფელ ჰა-
ირიედან გერმანიაში სამუშაოდ წასული მუშების შემოწირულობით. შე-
მოწირულობების გაფართოებითა და სახელმწიფოს დახმარებით დასრუ-
ლდა კულტურის ცენტრის მშენებლობა¹.

ეთნიკური ფესვების ძიებისა და კულტურის განვითარებისათვის
სოფელ ჰაირიეში დაწყებულმა მოძრაობამ გავრცელება ჰპოვა მთელ ინე-
გოლის რაიონში. ბუნებრივია, ეთნიკური თვითგამოღვიძების პროცესი
ურთულეს პრობლემებთან იყო დაკავშირებული. იმდროინდელ თურ-
ქეთში, განსხვავებით დღევანდელი ვითარებისგან, სრულიად შეუძლე-
ბელი იყო ეთნიკური ტერმინის გამოტანა ამა თუ იმ ცენტრის სახელად.
ამიტომაც 1977 წელს ქალაქ ინეგოლის შუაგულში შექმნილ ქართულ სა-
ზოგადოებას ოფიციალურად ეწოდა „ინეგოლის კავკასიური ფოლკლო-
რისა და კულტურის საზოგადოება“. საზოგადოება დღემდე მოქმედია და
თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე არაერთი კულტურულ-საგან-
მანათლებლო იდეის განმახორციელებელია.

¹ ÇVENE BURI Kafkasioloji Dergisi/“ჩვენებური“. კავკასიოლოგიური კრებული. #6-7, სტამბოლი, 1979. გვ., 56-57. თურქულიდან თარგმნა ნატო დვალმა.



ინეგოლის კავკასიური ფოკლორისა და კულტურის საზოგადოება და მისი ლოგო

საგულისხმოა, რომ ამ საზოგადოების გახსნას ბიძგი მისცა სოფელ ჰაირიეს კულტურულმა წინსვლამაც. ამ ამბავს ასე იგონებს ჰაირიეს მეზობელი სოფლის ყაზელის (გაზელის) მკვიდრი, ბატონი ფევზი მემში (დავითაძე), რომელიც ერთ-ერთი მონაწილეა ინეგოლის ქართული „საზოგადოების“ შექმნისა: „1977 წელს დერნეგი რომ ვქენით, ჩვენი ცეკვა გვინდოდა. ჩვენი ხეირიე, მაჭახლელების სოფელი მაშინ სამასი ხანე იყო. ჩვენი ყზელი იქიდან ზემოთ 4 კილომეტრშია, ჩვენ გზა იქიდან გვქონდა. ის მდიდრული სოფელი იყო. ჯუმურიეთი ახლად რომ გაეწყო, იმათ იქ სკოლა გუუკეთებინ. ჩვენში გაკეთდა 40 წლის მერე 58-ში. ისინი სულ განათლებული ხალხი იყო. ეგენი ბევრი მოსაამე ხალხი იყვნენ, იქ ძველებური ჰქონდათ სულ ყველაფერი. იქ გააწყვეს მეცეკვე ხალხის ჯგუფი. ბურსას სულ იმამდელი ფესტივალი რომ იყო, იქ გავიდნენ ხეირიელები,

ისაამეს, დიდი სახელი ნახეს. მერე კინოში გამოვიდნენ. ეს ჩვენც მოგვწონდა და ვთქვით, ჩვენც გავაწყობთო, ფულიც არ გვქონდა ბევრი. ჩვენებური ხალხი სადაცაა, იქ ვისამებდით, ფულს მოვკრებდით, რომ დერნეგი გავაკეთოთო. ასე გავაწყეთ ამფრად-იმფრად. სულ კაი არ იყო. ახლაც გვინდა, რომ უკეთესი იყოს, უკეთესად გავაწყობთ¹.

1980 წელს ახმეთ მელაშვილი მოკლეს და ამის შემდეგ ხანგრძლივი დროით შეწყდა „ჩვენებურის“ (კრებულის) გამოცემა. კრებულის გამოცემა განახლდა 1993 წელს. სახელში შეტანილ იქნა მცირედი ცვლილება. მას დაერქვა: „ჩვენებური – კულტურული კრებული“, როგორც ერქვა სულ პირველ ნომერს, გამოსულს 1977 წელს. განახლებულმა გამოცემამ იარსება 2006 წლამდე (ბოლო იყო 58 და 59 ნომრები). განახლებული კრებულის ბევრ ნომერში დაბეჭდილია ჰაირის მრავალი წერილი.

ასეთ სოციალურ-კულტურულ გარემოში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ჰაირი ჰაირიოლლუ (ვახტანგ მალაყმაძე). მისი ბიოგრაფია რთულია და ტრაგიკული. მან ბევრად მეტ ხანს იცოცხლა უძვირფასეს მეგობარ – ახმეთ მელაშვილთან შედარებით, მაგრამ მისი სიცოცხლეც ხშირად საფრთხის ქვეშ იყო და მისი ოჯახი მუდმივ წნეხს განიცდიდა არაკეთილმოსურნე ჯგუფებისგან.

¹ ინტერვიუ ჩაწერილია ინეგოლში 2015 წელს.

თავი II

ჰაირი ჰაირიოღლუს (ვახტანგ მალაყმადის) ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი ასპექტები

ჰაირი დაიბადა 1936 წლის 8 მაისს ინეგოლის რაიონის სოფელ ხეირიში/მიჭიხელი/მაჭახელი. მამას ერქვა აჰმედი, დედას – აიშე (1917-1988 წწ.). ამ დროს მათი ოჯახის ოფიციალური გვარი იყო აქბაი (**Akбай**), ხოლო ისტორიული ქართული გვარით ისინი მიეკუთვნებოდნენ მალაყმადეთა საგვარეულოს. XX საუკუნის 50-იანი წლებიდან ჰაირიმ გვარი შეიცვალა და იწოდა „ჰაირიოღლუ“-დ, რადგანაც საგვარეულო გადმოცემით, მისი ოჯახი იყო პირდაპირი შთამომავალი სოფლის პირველმოსახლე ქართველთა წინამძღოლისა, რომელსაც სახელად ერქვა ხეირო¹.

ჰაირის სამი ძმა და ერთი და ჰყავდა: სერვეთი, სამი, ალი, სულთანნი/გულთანნი, რომელთაგან ბატონი სამი ახლაც ცოცხალია და ინეგოლში ცხოვრობს. მათი ძველი სახლი მდებარეობდა ჰაირიეს ერთ-ერთ უბანში, რომელსაც ეწოდება ჯამბაზოღლები.



ჰაირის ოჯახის ძველი სახლი და ნასახლარი

ჰაირიმ სოფელ ჰაირიეში დაამთავრა დაწყებითი სკოლა (I-V კლასები). დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ქალაქ

¹ ვახტანგის მეგობარი, პროფესორი ლია ჩლაიძე ყოველი მოგონებისას მხოლოდ მოფერებით „ხეირო“-თი მოიხსენიებდა ჰაირის. თავიდან ჰაირი თავის პუბლიკაციებსა და თარგმანებს აქვეყნებდა „ხინკილადის“ გვარით, ხოლო მოგვიანებით - „მალაყმადის“ გვარით, რაც იყო კიდევ მისი ისტორიული გვარი.

ბურსაში: ჯერ დამთავრა სამშენებლო ტექნიკის კურსები, ხოლო შემდეგ – ბურსის ვაჟთა სახელოსნო ინსტიტუტი.

1960 წელს ჰაირი სასწავლებლად შევიდა სტამბოლის ილდიზის პოლიციის სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ უწყვეტად მსახურობდა პოლიციაში; მუშაობდა საკმაოდ მაღალ თანამდებობებზეც სამოქალაქო თავდაცვის სფეროში. სამოქალაქო თავდაცვის სფეროში სამსახური, ბუნებრივია, დიდ დროსა და ძალისხმევას მოითხოვდა. მას, როგორც ფიზიკურად ძლიერ და უშიშარ კაცს, სამუშაოდ უშვებდნენ სხვადასხვა ვილაიეთებში, კრიმინოგენულად რთულ რაიონებში, ქალაქებში, რომლებშიც განსაკუთრებით მძიმე სოციალური ფონი არსებობდა, მაგალითად, დიარბექირის მხარეში.



ახალგაზრდა ჰაირი ჰაირიოღლუ

ჰაირი ჰაირიოღლუს დამაბული სამსახურებრივი შრომითი რიტმი გრძელდებოდა 1982 წლამდე. ამ დროიდან იგი პენსიაზე გავიდა და დასახლდა ქალაქ ინეგოლში.

1954 წელს ჰაირი დაქორწინდა ქალბატონ ზაჰიდე აშქინზე, რომელიც ეთნიკურად ქართველი იყო, სოფელ ჰაირიედან, სავარაუდო ისტორიული გვარით – კირკიტაძე. მათ ქორწინებიდან შვიდი წლის შემდეგ შეეძინათ

პირველი ქალიშვილი ნესრინი (ნესტანი); მომდევნო ქალიშვილი, სახელად ბერინი, დაბადებიდან რამდენიმე დღეში გარდაცვლილა; მომდევნოა გურჯანი (ვაჟა), ხოლო უმცროსი შვილი გურქანი (შოთა) 1987 წლის 18 იანვარს მოკლულ იქნა სახლთან ახლოს.



ჰაირი აირიოდლუ მეულელესთან და შვილებთან ერთად

ჰაირის ცხოვრების გზას ამჟამად აგრძელებს მისი ორი შვილი, ხუთი შვილიშვილი და ერთი შვილთაშვილი. ვაჟის ხაზით შვილიშვილებსაც ქართული სახელები ჰქვიათ. სახელები მათ ვახტანგმა შეუწერია: არჩილი, თამარი, ლაშა. ნესტანის შვილებს ჰქვიათ: თუნჯაი და თურგაი. ყველანი ინეგოლის რაიონში ცხოვრობენ.

ჰაირის სიცოცხლეც არაერთხელ მდგარა საფრთხის წინაშე. მას რამდენიმეჯერ დასხმიან თავს უცნობი პირები მოკვლის მიზნით. საზოგადოებისათვის სამი ასეთი შემთხვევაა ცნობილი, მაგრამ ჰაირის ძმისა და მეგობრების მოგონებით, თავდასხმათა რიცხვი ბევრად მეტი ყოფილა. ბოლო თავდასხმის დროს ჰაირი მეტად მძიმედ დაუჭრიათ და ხანგრძლი-

ვი დროით საავადმყოფოში მკურნალობდა. ეს ამბავი ფართოდ აისახა ინეგოლის გაზეთებში. თავდამსხმელთა ვინაობა უცნობი რჩებოდა გამოძიებისთვის. ჰაირის გადარჩენა მხოლოდ მისმა სერიოზულმა ფიზიკურმა მომზადებამ და თავდაცვისუნარიანობამ განაპირობა.

ჰაირი, სამოქალაქო თავდაცვის სფეროში მუშაობის დროსაც კი სამეცნიერო, მთარგმნელობით და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა, ხოლო პენსიაზე გასვლის შემდეგ ძირითადად ინეგოლში ცხოვრობდა და თავდაუზოგავად იღვწოდა ქართული კულტურის გადარჩენისა და მეცნიერული შესწავლის მიმართულებით.

მისი უმცროსი მეგობარი, ბატონი ფევაი მემიში (დავითაძე) ასე იგონებს ჰაირის ღვაწლს: „ჰაირი აბი რაც რომ პოლიციადან ემექლი გახდა, იქიდან 30 წელიწადია ვიცნობდი. სულ კარგად ვიცნობდი. სულ საქართველო და ქართველი ხალხი უყვარდა, სულ იმფრად საქმობდა, რა გუუკეთო კარგი ქართველებსო, რით დავემველოო, რომ უმფრორე უყვარდეთ ქართველობაო“¹.

ახმეთ მელაშვილის ღვაწლი, წიგნი „საქართველო“ და ჰაირის მიერ თარგმნილი „საქართველოს ისტორია“ ეთნიკური სიამაყის განმაპირობებელი ფაქტები იყო ინეგოლელ ქართველთათვის. მემედ-ემინ ქაიას (მაკარაძის) მოგონებიდან: „ერთ გენერალს მივეცი ჰაირის წიგნი, წაუკითხავს იმას. რამფერ დიდი ხალხი ყოფილხართ ქართველებიო, მეეც მინდა ქართველობაო. შენ ვერ გახთები, შენ ქართველის სისხლი არა გაქვს, ვუთხარი გენერალს. გავიდე ბევრი წელი და ჰაირიმ მომცა თავისი წიგნი – „საქართველოს ისტორია“. დიდი კაცი იყო, ჭკუიანი“.



XX საუკუნის 50-იან წლების მიწურულამდე ახალგაზრდა ჰაირის ბევრი არაფერი სცოდნია საქართველოს, მდიდარი ქართული კულტურისა და დამწერლობის შესახებ. ბუნებრივია, რომ სსრკ-სა (რომლის ნაწილიც იყო იმ დროს საბჭოთა საქართველო) და ნატოს წევრ ქვეყნებს (მისი ნაწილი იყო თურქეთის რესპუბლიკა) შორის არსებული ცივი ომის პირობებში საქართველოს შესახებ ინფორმაცია ვერ აღწევდა ინეგოლის პატარა სოფლამდე.

ჰაირის შვილის, გურჯანის მოგონებით, 16-17 წლის ასაკში ჰაირის გასჩენია სურვილი ხეირიეში შემონახული ფოლკლორული მასალის ქაღალდზე გადატანისა და კორექტირებისა. მას უცდია ქართული ფოლკლორის დაფიქსირება ლათინური გრაფიკით, მაგრამ მალევე გაუცნობიერებია, რომ ლათინური ანბანი სრულად ვერ გამოხატავდა ქართული მეტყველების თავისებურებებს, ვერ დაწერდა ჭ-ს, ყ-ს, ჯ-ს, წ-ს და სხვ. ამის გამო უკმარისობის გრძნობა დაუფლებია და ყმაწვილი კაცი დღენიადაგ ქართული ბგერების თურქული ტრანსკრიპციის შესატყვისობის მოფიქრებას ლამობდა თურმე.

18 წლის ასაკიდან ჰაირის დაუწყია ინეგოლის რაიონის ბიბლიოთეკებსა და არქივებში დაცული ქართული დამწერლობის, ქართველებისა და ქა-

¹ ინტერვიუ ჩაწერილია ინეგოლში. რ. გუჯეჯიანის არქივი.

რთული კულტურის შესახებ არსებული მასალების მოძიება, თუმცა ბევრი ვერაფერი უპოვია. ჰაირის ახალგაზრდობის წლები თურქეთის სახელმწიფოს ისტორიის ერთ-ერთ მეტად რთულ პერიოდს დაემთხვა. იმ დროს ადვილი არ იყო საარქივო მასალებთან წვდომა. ინფორმაცია ყოფილა მხოლოდ მუჰაჯირთა განსახლების თაობაზე, ხოლო თუ რა ბედი ეწია საქართველოს, არსებობდა თუ არა იგი კვლავ, სადმე იყვნენ თუ არა სხვა ქართველებიც, ამის შესახებ ჰაირის ვერაფერი შეუტყვია. კვლევა-ძიების პირველი მნიშვნელოვანი შედეგი იყო ჰაირის მიერ მოპოვებული ინფორმაცია სოფელ ჰაირიეს პირველმოსახლე ქართველთა და მათ შთამომავალთა შესახებ. მან დაამუშავა არქივში მოძიებული ინფორმაცია და აღადგინა ჰაირიელთა მუჰაჯირობის ისტორია და პირველჩამოსახლებულთა ცხოვრების სურათი. მან დავიწყების ფარდა ახადა ქართველთა ინეგოლში ჩასახლების ამბავს, გამოავლინა წინაპართა – მუჰაჯირთა უკვე ადგილობრივი მესამე-მეოთხე თაობათა სწავლულ და სახელმწიფო მოხელე ქართველთა ბიოგრაფიები, მოიძია მათი საფლავები და შეამკობინა ძეგლებით, რომლებზეც ამოტვიფრულია ამ მოღვაწეთა წვლილი და დამსახურება. ჰაირის ამ სერიოზული შრომისა და ჯაფის კვალი თვალსაჩინოა დღესაც სოფელ ხეირიეს სასაფლაოზე. აღსანიშნავია, რომ დამსახურებულ პირთა შორის უმრავლესობა იმ ლეგენდარული ხეიროს უმუშალო შთამომავალთაგანია.



ჰაირის მიერ შექმნილი ჰაიროდღულების საგვარეულო ხე და მის მიერ მოძიებული ისტორიის საფუძველზე აღმართული მემორიალური დაფა ჰაირიეს სასაფლაოზე.

ჰაირის მხარში ედგა ბიძაშვილი მეჰმეთ ფაიქ ერთანი. ის განათლებული კაცი იყო და ერთხანს ჰაირიეს გამგებლადაც (მუხტარი) მუშაობდა. გურჯან ჰაირიოლლუს მოგონებით, ბატონი მეჰმეთ ფაიქ ერთანი მუდამ ეხმარებოდა მამამისს ქართულ საქმეში.

ჰაირიმ ქართული ენა და ამ ენაზე მეტყველება, ბუნებრივია, ოჯახში, სოფელ ჰაირიეში/ხერიეში ისწავლა. იმ დროს მთელი ინეგოლის რაიონის ქართულ სოფლებში ქართული ყველამ იცოდა. ჰაირიეში, როგორც უკვე ითქვა, მაჭახლელები ცხოვრობენ. ისინი ქართული ენის მაჭახლური კილოთი მეტყველებდნენ. ამ კილოზე აიდგა ენა ჰაირიმ.

ჰაირის ძმა, ბატონი საამი აქბაი იგონებს, რომ ჰაირი, ჯერ კიდევ ბავშვი, ყველასგან გამოირჩეოდა და თანატოლებისგან განსხვავებით, გული თამაშისკენ კი არა, მოხუცების მოსმენისკენ მიუწევდა: დიდი გულისყურით უსმენდა თანასოფელელთა საუბარს ძველ ამბებზე, მოხუცების მოგონებებს, მუჰაჯირობის ისტორიებს. მოხუცებისგან სწავლობდა ქართულ ხალხურ ლექსებსა და სიმღერებს. მოგვიანებით, უკვე წამოზრდილი, აქტიურად ერთვებოდა სოფლის თავყრილობებში, მეჯლისებში, თათბირებსა და ქორწილებში. ყველგან ქართული ლექსისა და სიმღერების ახმიანებას ცდილობდა.

საამი აქბაის მოგონებიდან: „*მე შუაი ვარ. აიშე ჰქვიოდა ნენეს, ბაბას აჰმედი. ძმებს: ხერი, სერვეთ, საამი და გულთანაი, პაწაი ძმაი ალი. მე დავრჩი მარტოი ხუთ ძმიდან, ერთი მე დავრჩი. სოფელში ბაღნობა გამოვდა. ნენეც ხერიელია, ისიც მაჭახლელი. მაშინ სოაიადობა არ იყო და ყაჰრამან ერქვა იმის გვარს. ჯამბზოლლის მაჰალე იყო ჩვენი, ძველი სახლი იყო იქა, დეინგრა. ახლა ძალვან ახლოი ნათესავები სოფელში არ დარჩენენ.*

სახლიდან საქმობისთვის ბალიქესირ წავიდა. დიდი მანქანაები ასაქმა. მემრემ პოლის სკოლა დაამთავრა. ერთი წელიწადი კიდევ ოქულში იყო. პოლისე გამოვიდა. აიდინში გაუშვეს. მე ისტანბულში ვიყავ მაშინ და დამიზახა, აქ, ჩემთან მოიო. მიყურეს კარგად, ჩემი ენგემ ძალვან კაი ქალი იყო, არ მასაქმეს. მომიარეს. ვიარე იქ. მერე კუშადასშიც იყო. იქიდან ასკერობამ მომივიდა და იქ წავედი. ასკერში წავედი. იმანაც იმფერდან სხვა იალებზე გაუშვეს. ჩემი ასქერში ყოფნაში ბაბოი მომიკვდა. მექთებში წველი, იქ ვივითხე, მეორმანჯი გავხდი, მეტყველი გავხდი. 30 წელი ვისაქმე. იმგედან ემექლი გავხდი. ჩანაქქალეს ვიყავ. ოთხი წელიწადი იქ დავრჩი, მერე აქ ინეგოლში მოვედი. თუფექჩიყონალიდან დავსახლდი. ხუთი შვილი მყავს, ორი გოგოა, სამი ბიჭი არიან. ერთი გაღმა ზის, ახლოშია. ენ ჩემი დიდი ბიჭი აქ არი.

ამ სახლში ხერო მოვიდა. ემექლი რომ გახადა, მემრენ გააკეთებინა ეს სახლი. მე ავალებინე. ქვედაი ყათი, იქითა, ჩვენი ხისიმი იყო. ერთი ძია

ზეით ზის, ჩვენი სამი ძმა მოვიყარეთ ერთად. თელი მომიკვდენ, მაგრამ ვგნები მყავს. ასე ვართ.

ხეირი აბი დიდი კაცი იყო, ძალვან დიდი კაცი იყო. მე პატარა ბაღანა ვიყავ. სახლში ბევრი ქითაბები ჰქონდა. ძალვან უყვარდა ჩვენებური დაწავლება, უყვარდა ქითაბები. ძალვან უნდოდა ის, რასაც იქმოდა, უნდოდა, რომ მეც დამეწავლა. მეც ბევრი ვერ ვისწავლე, პაწაი ვიცი. ძალვან ვერ ვისწავლე.

ჩემი ძია მეტი არ უყვარდნენ, იქ მიდის-მოდისო. რატომ მიდის-მოდისო? ახლა რომ გზამ გეიხსნა, ახლა მათ იქაური გახდნენ. ჩემი ძიაი მაშენ მივდოდა, როცა საშიში იყო. ახლა ადვილია¹.

ახმეთ მელაშვილი უყვარდა. სხვა იმის ამხანაგები აღარ დარჩნენ ახლა აქ.

შვილი მოუკლეს. იმას მემრან ძალვან ის ქნა, გუუჭირდა, ავად გახთა. ბაღნები თამაშობდნენ აქ ზეით, მაშინა აქ სახლები მეტი არ იყო. ორი ბაღანა წეკინდებულან, ამანაც გავაშველოო, შეერია შუაზე, ჩადგა, გავარიგოო, ერთმა ვინცხამ წამოვდა ქვედა ყათზე იჯდა, დანა გუუწევია, ჩემმა ეგანმა, დევიკავოო, არ მოკლას ბაღანაო და მას მოხვდა. ძალვან ძნელი იყო. აქზე ახლოს მოკვდა. ძალვან მსუქანი იყო იმ დროს ჩემი ძმა. ას და მეტი კილო იყო. ბაღანაი რომ მოუკლეს, გახდა.

გურჯისტანიდან რომ ჩამოვიდა, ძალვან აქებდა. იქ კიდევ მინდა წასვლაო, იქ კაი არიანო, ლამაზად არიანო, ბაღნებიც ქართულად ლაპარაკობენო.

სიმღერა, ცეკვა იცოდა. სამა, ცეკვა იცოდა ძალვან, სიმღერაც ჩვენებური.

ღამე პოლისიდან მოვდოდა, დაჯდებოდა აქ, მუშაობდა, წერდა, კითხულობდა. რომ მოკვდა, მერე მივხვდით იმის ფასი.

შაქარი ქონდა, თვალებიდან პაწას ხედავდა.

ნიშანი დააბეს. გუუხარდა. ერთხელ ვნახე, ხელში აილო, იტირებდ. მეტი ვეღარ ჩავალ იქო.

ჩვენ მაჭახელ გვეტყვიან, ჩიქუნეთიდან მოვსულვართ. გაგვანებიებდა ყველაფერს აბი, მასწავლებდა, თავში აღარ დარჩა...

ჩვენ დერნეგში მიდიოდა. ვინც მოუსმენდა, ყველას ასწავლებდა ჩვენებურ ამბებს.

ჩემ ძმის ცოლი ჩვენ სოფლიდან იყო, ხეირიდან. ჰასტანეში იყო, ცოლი ძალვან ეხმარებოდა. ჰასტანეში მთლად თავზე იყო. იქ რომ მიველი, იენგე სულ იქ იყო, თავზე ადგა. იქ მოკვდა, აქ ამოვიყვანეთ, დავაწვინეთ².

¹ ინეგოლის ქართველთა ერთი ჯგუფი უფროს ძმას უწოდებს „ძიას“.

² საამი აქზაი, ჰაირის უმცროსი ძმა. ინტერვიუ ჩაწერილია 2014 წელს ინეგოლში, ჰაირის ოჯახში.



გურჯან ჰაიროღლუ და სამი აქბაი

დიდ ქართულ კულტურასთან ჰაირის ზიარება იწყება 1961 წლიდან. ამ წელს იგი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების ჟამს სტამბოლში, ფერიქოის უბანში შემთხვევით დაინახავს აბრას, რომელიც ამცნობს იქ ქართული ეკლესიის არსებობას¹.

გიორგი ირემამის მოგონებიდან: „ჰაირი აზიმ მითხრა – აბრა რომ ვნახე და წავიკითხე, გული ცუდად გიმიხთა, გამაკანკალა და იქვე, შუკაში დავჯექი, ლაპარაკი არ შემემძლო, ჰაერი არ მყოფნიდა. ჭიშკარში რომ შევედი, სიარული გამიჭირდა, კედელს მივეყუდე და ხელით მივეფერე. არ ვიცოდი, შიგნით ვინ დამხვდებოდა, ან დამხვდებოდა თუ არა ვინმე“. ეკლესიის ეზოში შესული ახალგაზრდა კაცის ვინაობით მალევე დაინტერესებულან მონასტრის მესვეურნი. აღღვებულ სტუმარს ტკბილად გასცნობია ადგილობრივი მღვდელი, დაუყვავებია ჰაირისთვის, ქართულად დალაპარაკებია: მოდი, ესეც შენი სახლია, მასპინძელი ხარ აქო. მთელი გულით ბედნიერ ჰაირის უთხოვია, ანზანი თუ გვაქვს ქართველებს, წიგნები თუ გვაქვს, მაჩვენეთო. მყისვე მიუწოდებიათ მისთვის ხელთ მოხვედრილი

¹ *იგულისხმება სტამბოლის ქართული სავანე, კათოლიკური მონასტერი.*

პირველი წიგნი. „ეს სანეტარო დღე უბედნიერესი იყო ჩემ ცხოვრებაში“, – მოუყვება ჰაირი 1980-იან წლებში გიორგის.

ამ წუთიდან ჰაირი მთელი თვით, ვიდრე ამის საშუალებას სამსახური მისცემდა, აღარ მოშორებია ეკლესიის ბიბლიოთეკას და სწავლას დაწაფებია ადგილობრივი მღვდლისგან: უსწრაფესად აუთვისებია ქართული ანბანი, სულ მცირე ხანში კი ქართულად წერაც დაუწყო, წაუკითხავს ბიბლიოთეკაში დაუნჯებული რამდენიმე ქართული წიგნი.




სტამბოლის ქართული სავანე (კათოლიკური)

ამის შემდეგ ჰაირის უკვე მოეპოვებოდა ის საარსებო წყარო, რომელიც მას შემდგომ ცოდნას მისცემდა – ეროვნული კულტურისკენ მიმავალი გზა გახსნილი იყო. სხარტი გონებითა და ანალიზის გასაოცარი უნარით გამოჩეულ ჰაირის არ გასჭირვებია ცოდნის გაღრმავება. ის სწრაფად ითვისებდა სიახლეებს და ინფორმაციას საქართველოს კულტურისა და ისტორიის შესახებ. სულ მოკლე ხანში 500-მდე წიგნი დაუმუშავებია.

მიაგნო რა უმდიდრეს საცავს, ჰაირი ჩაულრმავდა ქართველთა ისტორიისა და კულტურის საკითხებს. თავიდანვე აინტერესებდა ყველა კავკასიელი ხალხის კულტურა, ქართველთა კავშირი ძველ აღმოსავლურ

ცივილიზაციებთან. ჰაირიმ შეკრიბა მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა კავკასიის ხალხების წარსულისა და დღევანდელი მდგომარეობის შესახებ და გადაამოწმა სხვადასხვა პუბლიკაციების მეცნიერული ობიექტურობა. ამდენი კითხვისა და ანალიზის შედეგად ჰაირის დაუგროვდა დიდი ცოდნა და მზადყოფნა სამეცნიერო კვლევისთვის.

სწორედ ამ დროს შეახვედრა ღმერთმა ერთმანეთს ორი მომავალი დიდი ქართველი: ახმეთ მელაშვილი და ჰირი ჰაირიოღლუ. უკვე 60-იანი წლების დასაწყისიდან ახმეთი და ჰაირი განუყრელი მეგობრები არიან.



ახმეთ მელაშვილი, ჰაირი ჰაირიოღლუ და თამარ მელაშვილი

მათ, სხვა ადგილობრივ მოღვაწეთა, საქართველოს მეცნიერთა და ქართული ევროპული ემიგრაციის დახმარებით უკვე ერთობლივად დაიწყეს მუშაობა ქართველთა ეთნიკური იდენტობის გადარჩენის, თურქეთის ქართველთა შორის ეროვნული გრძნობის გაღვივებისა და განვითარების მიმართულებით.

ერთობლივი შრომისა და თავგანწირვის შესანიშნავი შედეგი იყო ახმეთ მელაშვილის რედაქტორობით 1968 წელს გამოცემული წიგნი „საქა-

რთველო“. ამ წიგნში შესულია ჰაირი ჰაირიოღლუს მიერ თარგმნილი იაკობ გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნა?!“¹.

ქართველ მოღვაწეთა შემდეგი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იყო ჟურნალ „ჩვენებურის“ გამოცემა. ჰაირი, ახმეთთან და შანვერ აქინთან ერთად, იყო საფუძველჩამყრელი და ერთ-ერთი ავტორი კრებულის ყველა ნომრისა. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ახმეთის სიცოცხლეში გამოვიდა კრებულის შვიდი ნომერი: პირველი (1977 წ., სტოკჰოლმი), გართიანებული მეორე და მესამე ნომრები (1977 წ., სტოკჰოლმი) და გაერთიანებული მეოთხე და მეხუთე ნომრები (1978 წ., სტოკჰოლმი), ხოლო გაერთიანებული მეექვსე და მეშვიდე ნომრები უკვე სტამბოლში დაიბეჭდა (1979 წ., სტამბოლი).

ჰაირი აქტიურად იყო ჩართული „ჩვენებურის“ აღდგენის საქმეშიც, რაც შესაძლებელი გახდა 1993 წელს (ნომ. 1(8), 1993). განახლებული „ჩვენებურის“ ამ ნომრის გამოცემის მფლობელი/ხელმძღვანელი და დირექტორია შევექეთ შირინი, სარედაქციო საბჭოში კი არიან ჰაირი ჰაირიოღლუ, რაგიფ ათაი, ჰასან ჩელიკი, ფაჰრეთთინ ჩილოღლუ, ოსმან ნური მერჯანი, იბერია ოზკანი, მუსტაფა იაკუთი და ისმაილ იაზიჯი.

სარედაქციო საბჭოს წევრად ჰაირი ფიქსირდება გაერთიანებულ მეორე და მესამე, აგრეთვე გაერთიანებულ მეოთხე და მეხუთე ნომრებში და შემდგომშიც, სხვადასხვა წლებში, სხვადასხვა ნომრებში მისი გვარი იკითხება სარედაქციო კოლეგიაში, მაგალითად, 1996 წლის 22-24-ე ნომრებში, როდესაც გამოცემის პასუხისმგებელი პირი და რედაქტორია ოსმან ნური მერჯანი, ვიდრე 36-ე ნომრამდე. ჰაირი ბრუნდება რედკოლეგიაში 42-ე ნომერშიც, აგრეთვე, 46-ე ნომერშიც. ამ წლებში ჰაირის ჯანმრთელობა უკვე შერყეულია, ბოლო ორი წელი მას თვალისჩინი თითქმის დაკარგული აქვს და, ბუნებრივია, მოწყვეტილია სარედაქციო სამუშაოებს.

განახლებული „ჩვენებურის“ ერთ-ერთი წევრის, ბატონ საბაკეთთინ კესკინის მოგონებიდან: „ჰაირი ჰაირიოღლუს ვიცნობდი, მის სოფელშიც ვიყავით. როცა რამის დაწერასა და თარგმნაზე მიდგებოდა საქმე, მას ვეხმებოდით და ის ყოველთვის უანგაროდ გვეხმარებოდა, მხარში გვედგა მანამდე; მაგრამ რაც პენსიაზე გავიდა, სულ ქართულ საქმეს აკეთებდა“².

„ჩვენებურის“ პირველი გამოცემის ყველა ნომერშია ჰაირის ამა თუ იმ სახის პუბლიკაცია. ამ პერიოდში ჰაირი წერილებსა და თარგმანებს აქვეყნებს „ხინკილამის“ გვარით. „ჩვენებურის“ პირველ (1977 წ.) ნომერში გამოქვეყნებულია ჰაირის მიერ მომზადებული წერილი: „უცხო ენების გავლენა ქართულ ენაზე“ და „ლაზური ამბები“³.

¹ BİR NİNNİNİN HİKAYESİ, „İyavnana ne yaptı- İavnanam Ra Hkna“ (1), Yazan: Yakop Gogebaşvili Çeviren: H. Hayrioğlu. წიგნში – AHMET ÖZKAN (MELAŞVİLİ), G Ü R C Ü S T A N, TARİH EDEBİYAT SANAT FOLKLOR, 1968, İSTANBUL. გვ., 146-162.

² ინტერვიუ ჩაწერილია სტამბოლში, 2016 წელს.

³ ჩვენებური, კულტურული კრებული, ნომ. 1, 1977, გვ., 23-25; გვ., 26-28.

„ჩვენებურის“ შემდეგ ნომერშიც (2-3, 1977) დაბეჭდილია ჰაირის რამდენიმე სტატია და თარგმანი თურქულად: „საქართველოს კალენდარი“, „ქართველი ერი“, „ქართველთა გმირი ცოტნე დადიანი“, „ლაზური ამბები“, „ქართული ანდაზები“. ეს პუბლიკაციებიც გამოქვეყნებულია „ხინკილადის“ გვართ¹.

გაერთიანებულ მეოთხე-მეხუთე ნომერებში (1978 წ.) გამოქვეყნებულია ჰაირის მიერ მომზადებული სტატია დიდგორის ომის შესახებ; ისტორიაში ცნობილი ქართველი ქალები; წერილები: „ხაზართა სასძლო შუშანიკი“, „მარიამ დედოფალი“, „მართა – დედოფალი ბიზანტიისა“, „რუსუდან დედოფალი“². აქაც ის წერს „ხინკილადის“ გვართ.

მეექვსე-მეშვიდე ნომერებში გამოქვეყნებულია ჰაირის ინტერვიუ გივი თევზაძესთან: „საქართველოს მიმართულებით გახსნილი ახალი გზები“; ნაწყვეტი მ. ვანილიშისა და ა. თანდილავას „ლაზეთის ისტორიის“ თარგმანისა; ნაწყვეტი აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკის“ თარგმანისა; სტატიები კონიის დედოფლის თამარისა და სალომე ქართველის შესახებ; ნაშრომები: „ეთნოგრაფია და მოსახლეობათა ცვლილებები საქართველოში“, „საქართველოს შიდა და გარე არქეოლოგიური სამუშაოები“³.

1980 წლის 5 ივლისს ახმეთ მელაშვილი მოკლეს. ეს დიდი ტრაგედია იყო თურქეთელი ქართველებისათვის. გარკვეული ხნით შეფერხდა „ჩვენებურის“ გამოცემაც. კრებული, როგორც უკვე ითქვა, აღდგა 1993 წელს.

აღდგენილ „ჩვენებურის“ პირველ (მერვე) ნომერებში გამოქვეყნებულია ახმეთ მელაშვილის ვრცელი ბიოგრაფია, რომელსაც ერთვის ჰასან თაჰსინ საიგილის (ბეჟანბის) მიერ ახმეთისადმი მიძღვნილი ლექსი, თურქულად თარგმნილი ჰაირი ჰაიროღლუს მიერ⁴. (ეს ლექსი განმეორებით გამოქვეყნდა უფრო გვიან „ჩვენებურის“ იმ ნომერში, რომელიც ახმეთ მელაშვილის ხსოვნას მიეძღვნა 2005 წელს (ნომერი 56-57). იმავე ნომერში დაბეჭდილია „მასალები ქართული ხალხური სიტყვიერებიდან“, თარგმნილი ასევე ჰაირის მიერ⁵. შემდეგ გვერდებზე გამოქვეყნებულია ჰაირის მიერ მომზადებული წერილი: „ქართული გამოცანები“ და „თამარ დედოფალი“⁶; აგრეთვე, ემიგრანტ ქართველთა გამოცემიდან – „თავისუფლების ტრიბუნა“ (პარიზი, 1989) – თარგმნილი წერილი „დიდი შოთას ერთი ტაეპი“⁷. „ჩვენებურის“ ამ ნომერში განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ჰაირი ჰაიროღლუს წერილი: „დემაგოგის სპეციალისტები“, რომელშიც იგი აკ-

¹ ჩვენებური, კულტურული კრებული, ნომ. 2-3, გვ., 12-15; 16-18; 27-28; 34-36; 40-43.

² ჩვენებური, კულტურული კრებული, ნომ. 4-5, გვ., 20-22, გვ., 23-34.

³ ჩვენებური, კულტურული კრებული, ნომ. 6-7, გვ., 3-4; 18-21; 22-23; 24-28; 29-35.

⁴ ჩვენებური, კულტურული კრებული, ნომ. 1 (8), 1993, გვ., 7.

⁵ ჩვენებური, კულტურული კრებული, ნომ. 1 (8), 1993, გვ., 11.

⁶ ჩვენებური, კულტურული კრებული, ნომ. 1 (8), 1993, გვ., 12-15.

⁷ ჩვენებური, კულტურული კრებული, ნომ.1 (8), 1993, გვ., 18.

რიტიკებს თურქ მეცნიერთა ნაშრომებს¹. წერილის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ის სრულადაა შეტანილი ამ წიგნში. ამავე ნომერში დაბეჭდილია ჰაირის მიერ თარგმნილი იროდიონ ევდომვილის თხზულება და ბოლოს – ქართული ხალხური სიტყვიერებიდან თარგმნილი კიდევ ერთი ლექსი². ჟურნალის 44-ე გვერდზე დაბეჭდილია ანოტაცია ჰაირის მიერ თარგმნილი და მომზადებული წიგნისა „ლაზეთის ისტორია“ (ავტორები: მუჰამედ ვანილიში და ალი თანდილავა)³.

განახლებული „ჩვენებურის“ მეორე (მეცხრე) ნომერში გამოქვეყნებულია ნაწყვეტი ნოდარ კახიძის წიგნიდან „მაჭახლის ხეობა“ (1974 წ.), თარგმნილი ჰაირი ჰაირიოღლუს მიერ⁴. აგრეთვე ამ ნომერში დაბეჭდილია ჰაირის მიერ თარგმნილი გიორგი შატბერაშვილის მოთხრობა⁵.

მესამე-მეოთხე ნომერში გამოქვეყნებულია ჰაირის კიდევ ერთი თარგმანი ქართული ხალხური ზღაპრისა⁶.

გაერთიანებულ 22-24-ე ნომერში დაბეჭდილია ჰაირის მიერ თარგმნილი ზღაპარი⁷.

1997 წლის 25-ე ნომერში გამოქვეყნებულია ჰაირის მიერ მომზადებული სტატია: აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მოქცეული ქართული სოფლების შესახებ⁸. ამავე ნომერში დაბეჭდილია სამი კარაიორენის გამოხმაურება-ანოტაცია ჰაირის მიერ თარგმნილი და მომზადებული წიგნის – „საქართველოს ისტორიის“ (ავტორები: ნიკო ბერძენიშვილი და სიმონ ჯანაშია) შესახებ⁹.

26-ე ნომერში გამოქვეყნებულია ჰაირის პუბლიკაცია ფერეიდნელი ქართველების შესახებ¹⁰, იქვე დაბეჭდილია ჰაირის მიერ თარგმნილი შოთა და მადონა ჯურჯვანეების ლექსი და ლადო მრელაშვილის მოთხრობა¹¹.

27-ე ნომერში გამოქვეყნებულია ჰაირის მიერ მომზადებული მცირე მოცულობის წერილი: ქართველთა რიცხოვნობის შესახებ საბჭოთა კავშირში, რომელშიც იმოწმებს ანზორ თოთაძის ნაშრომში წარმოდგენილ სტატისტიკას და კიდევ ერთხელ ამხელს კირზიოღლუსა და სხვა მეცნიერთა არაობიექტურ მიდგომას ქართველთა ეთნოგენეზისადმი, რომლებიც ქართველებს

¹ ჩვენებური, კულტურული კრებული, ნომ. 1 (8), 1993, გვ., 29-33.

² ჩვენებური, კულტურული კრებული, ნომ. 1 (8), 1993, გვ., 35-39.

³ ჩვენებური, კულტურული კრებული, ნომ. 1 (8), 1993, გვ., 44.

⁴ ჩვენებური, კულტურული კრებული, ნომერი 2-3, ბურსა, 1993, გვ. 28-30.

⁵ ჩვენებური, კულტურული კრებული, ნომ. 2-3, ბურსა, 1993, გვ., 35-37.

⁶ ჩვენებური, კულტურული კრებული, ნომერი 4-5, ბურსა, 1993, გვ.30-33.

⁷ ჩვენებური, კულტურული კრებული, ნომერი 4-5, სტამბოლი, 1996, გვ. 39-40.

⁸ ჩვენებური, კულტურული კრებული, ნომ. 25, სტამბოლი, 1997, გვ. 17.

⁹ ჩვენებური, კულტურული კრებული, ნომ. 25, 1997, გვ., 33.

¹⁰ ჩვენებური, კულტურული კრებული, ნომ. 26, 1997, გვ., 23.

¹¹ ჩვენებური, კულტურული კრებული, ნომ. 26, 1997, სტამბოლი, გვ., 34; 35-37.

ბუნთურქებად მიიჩნევდნენ¹.. ეს მცირე წერილიც მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე შეტანილია წიგნში.

28-ე ნომერში დაბეჭდილია ჰაირის წერილი ცნობილი მეცნიერის მუჰამედ ვანილიშის შესახებ².

31-ე ნომერში დაბეჭდილია მასალა ქართული ხალხური სიტყვიერებიდან, თარგმნილი ჰაირის მიერ³.

49-ე ნომერში გამოქვეყნებულია ჰაირის ვრცელი სტატია ბათუმის შესახებ⁴. ეს არის ჰაირი ჰაირიოღლუს ბოლო პუბლიკაცია. ამ წელს იგი გარდაიცვალა. ჟურნალის ნომერს ერთვის ნეკროლოგი და მოგონებანი ჰაირის შესახებ, რომელთა ავტორები არიან მუსტაფა იაკუთი, ოსმან ნური მერჯანი, შალვა თევზაძე, ჰასან აიდინი (სალუქვაძე), ნური ჩელები, სირრი ოზთურქი, აბურაჰმან ჩეთინკაია (ილია ხიმშიაშვილი) და ჰაირის ვაჟი გურჯან ჰაირიოღლუ.

„ჩვენებურში“ მუშაობის პარალელურად ჰაირიმ თურქულად თარგმნა და გამოსცა წიგნი: „ქართული საბავშვო ზღაპრები“. წიგნი ორ ნაწილად დაიბეჭდა და გამოცემისთანავე დიდი პოპულარობა მოიპოვა⁵. აღსანიშნავია, რომ წიგნი დადებითად შეაფასა სახელმწიფო უწყებამაც: თურქეთის განათლების სამინისტრომ იგი ჯერ „ბავშვებისათვის სასარგებლო წიგნად“ გამოაცხადა, ხოლო შემდეგ განათლების სამინისტროდან გასცა რეკომენდაცია, რომ ეს წიგნი გავრცელებულიყო თურქეთის სკოლებში. ეს ჰაირი ჰაირიოღლუს ძალიან დიდი წარმატება იყო. სასიხარულო ფაქტი მნიშვნელოვან კულტურულ მოვლენად იქცა თურქეთელი ქართველებისათვის.



¹ ჩვენებური, კულტურული კრებული, ნომერი 27, 1998, სტამბოლი, გვ., 33.

² ჩვენებური, კულტურული კრებული, ნომერი 28, 1998, სტამბოლი, გვ., 20.

³ ჩვენებური, კულტურული კრებული, ნომერი 31, 1999, სტამბოლი, გვ., 39.


⁴ ჩვენებური, კულტურული კრებული, ნომერი 49, 2003, სტამბოლი, გვ., 13-15.

⁵ *Gürçü masalları, TEMBEL ADAM, HAYRİ HAYRİOĞLU, Resimleyen: K. İğnatovi – O. Çișkaridni; Gürçü Masalları, GÜNEŞİN KIZI, HAYRİ HAYRİOĞLU, ESİN YAYINLARI – 1986, Kazım İsmail Gürkan C. Taşsavaklar Sok. 11 Cağaloğlu – PK. 636 – İstanbul. Tel. : 527 22 96.*

ჰაირი ჰაირიოღლუ, ახმეთ მელაშვილი და სხვა თურქეთელი ქართველი მოღვაწეები მუდამ ცდილობდნენ თურქეთის ლაზების დაახლოებას საერთოქართულ კულტურასთან. მათ სურდათ, რომ ლაზებს ჰქონოდათ სრული და ობიექტური საისტორიო წყაროები თავიანთი წარსულისა და ტრადიციული კულტურის შესახებ. ამ მიზნის განხორციელებისათვის ჰაირიმ წელიწადნახევარი იშრომა: იკვლევდა ლაზთა ისტორიისა და წარმომავლობის საკითხებს, დაამუშავა დიდძალი ლიტერატურა და ბოლოს გადაწყვიტა, რომ ლაზებისთვის ყველაზე სასარგებლო იქნებოდა მუჰამედ ვანილიშისა და ალი თანდილაგას მონოგრაფიის მიწოდება. მუხლჩაუხრელი შრომის შედეგად ჰაირიმ მოამზადა თარგმანი მუჰამედ ვანილიშისა და ალი თანდილაგას მონოგრაფიისა და მათი „ლაზეთი“ წიგნად გამოსცა თურქულ ენაზე¹. ეს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი იყო. ამ წიგნით თურქეთის ლაზებს პირველად მიეწოდათ ლაზთა წარსულისა და კულტურის შესახებ ვრცელი და ობიექტური სამეცნიერო ინფორმაცია. თურქეთის საზოგადოება და თვით ლაზები გაეცნენ ლაზთა ისტორიის, წარმომავლობისა და კულტურის საკითხებს – შესანიშნავ სამეცნიერო მონოგრაფიას. წიგნმა დიდი ინტერესი გამოიწვია მკითხველთა შორის. ამ წიგნის თურქული თარგმანის გამოქვეყნებით ჩაეყარა საფუძველი თურქეთში ლაზთა ტრადიციული კულტურის შესწავლისა და გადარჩენის იდეას. მნიშვნელოვანი იყო წიგნის დედააზრი – ლაზთა კულტუროგენეზის ისტორიის საწყისი საერთოქართველური კულტურიდან. წიგნის ფართოდ გავრცელების შემდეგ თურქეთის ლაზებში ლაზური ინსტიტუტის შექმნის იდეა გაჩნდა. მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ ურთულეობა ცხოვრებას ჰაირის, რადგან ობიექტური ნაშრომის არსებობა ჰაირისადმი ნეგატიურ დამოკიდებულებას ბადებდა გარკვეულ წრეებში. ძალიან მტკივნეულად ასახულა ჰაირის ცხოვრებაზე ლაზთა შესახებ არსებული მეცნიერული წიგნის გამოცემა და გავრცელება. ჰაირი თავის გულისტკივილს გამოხატავს ჩვენამდე შემორჩენილ ერთ წერილში. წერილი გამოგზავნილია საქართველოში. მოგვყავს ერთი აბზაცი ამ წერილიდან: „რაც შეეხება ჩემს მუშაობაზე, მოგიყვით შემოკლებით: საქართველოსთვის მუშაობა ერთ დღესაც არ შემიჩერებია ოცდაათი წელია. 80-იან წლებში გამოცემულმა საბავშვო ზღაპრების ორ წიგნმა და ჟურნალ „ჩვენებურის“ ფურცლებმა არ დამაკმაყოფილეს. ბათუმში შეძენილი „ლაზეთის ისტორია, ეთნოგრაფია და გეოგრაფია ძალიან მნიშვნელოვნად შევაფასე და ეს წიგნი ვთარგმნე. ამ წიგნმა თურქეთში თითქმის მიწისძვრასავით იფეთქა,

¹ Muhammed VANİLİSİ - Ali TANDİLAVA, LAZLARIN TARİHİ, Gürcüceden çeviri Hayri HAYRİOĞLU, „ANT YAYINLARI“, Kurumlu Yokuşu Sokak, No: 24/1 Cihangir-Taksimî Tel. 249 1230. İSTANBUL.


ლაზებმა და თურქებმა გამიჩაღეს მუქარა და ლანძღვა, იმიტომ რომ ვითომ მე ლაზ-ჭანებს ქართველად ვნათლევდი, თავზე ქართველობას ვახვევდი. თურქების მხრიდან მებრძოდენ, რომ შენ ჩვენ თურქ ლაზებს აფხიზლებ და ქართველობას უქადაგებო. არცერთ კუთხეს არ ვარგე და დაჩაგრული დავრჩი¹.



ჰაირი ჰაირიოდლუ ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუშაობდა საქართველოს ისტორიის საკითხებზე. მას სურდა თურქეთის ქართველებისათვის მიეწოდებინა საქართველოს ისტორია თურქულ ენაზე. ხანგრძლივი ფიქრისა და ქართველ მეცნიერებთან კონსულტაციის შემდეგ მან სათარგმნელად ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ბერძენიშვილისა და სიმონ ჯანაშიას „საქართველოს ისტორია“ შეარჩია. რამდენიმე წლის დაუღალავი შრომის შედეგად თარგმნა დაასრულა. ბუნებრივია, პრობლემა იყო საგამომცემლო თანხისა და გამომცემლობის მოძიება. ამ საქმეში ჰაირის მხარდაჭერა ცნობილმა საგამომცემლო სახლმა „სორუნ იაინლარ“-მა აღმოუჩინა, რომელთანაც იგი დააკავშირა ბატონმა გურამ ხიმშიაშვილმა (მუსტაფა იაკუთი). „საქართველოს ისტორია“ თურქულად 1997 წელს გამოიცა და განმეორებით დაიბეჭდა 2000

¹ ჰაირი ჰაირიოდლუს არქივი, წერილების შეკვრა, ნომერი 2.

წელსაც. ამ ბოლო გამოცემას აწერია ივანე ჯავახიშვილის გვარიც¹. წიგნი 305 გვერდს მოიცავს. დღეისთვისაც ეს წიგნი წარმოადგენს საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესახებ არსებულ უმთავრეს გამოცემას, რომლითაც სარგებლობს თურქეთის დაინტერესებული საზოგადოება.



ჰაირის მიერ 1996 წელს დაწერილი ერთი კერძო წერილიდან ცნობილი ხდება, რომ ამ წიგნზე მუშაობის პარალელურად მას დაუწერია კიდევ ორი ვრცელი ნაშრომი, რომელთა ამჟამინდელი ადგილსამყოფელი ჩვენთვის უცნობია, რადგან მის საოჯახო არქივში ეს მასალა არ შემონახულა: „შემდეგ გავამზადე კიდევ ოთხი წიგნი: პირველია – **„დასაწყისიდან დღემდე ქართული ისტორია“**, მეორე არის ნიკო ბერძენიშვილისა და სიმონ ჯანაშიას **„საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მე-19 საუკუნის დასაწყისამდე“**. ეს წიგნი არის 1943 წელს დასტამბული. მესამე წიგნი არის **„ოსმალების საქართველოში შემოსევების ისტორია 1614-1625“**. მეოთხე წიგნია **„ქართული საბავშვო ზღაპრები და მოთხრობები“**.

¹ NIKOLOZ BERDZENİŞVİLİ, SİMON CANAŞİA, GÜRCÜSTAN TARİHİ (BAŞLANGIÇTAN 19. YÜZYILA KADAR), Türkçeye çeviren: Hayrı Hayrioğlu, Sorun Yayınları, 1997. Baş Musahip Sokak. No: 3/2 Çağaloğlu –İstanbul – 34410, Telefon: (0212) 511 08 29; Fax: (0212) 519 05 60.

მაგრამ რაკი მე გლახათ შემნიშნეს, ეშინიათ გამომცემელ ფირმებს, რომ რამე თურქეთისათვის არ იყოს დამამცირებელი სტრიქონები და თავი საფრთხეში არ ჩავიგდოთო. დიდი ხანია ამ წიგნებს სტამბოლში ვაჩვენებ და ვთხოვ გამოსცენ, მაგრამ ზუსტი პასუხი ჯერ არაა. თუ მანდ თბილისში მოხერხდება, გადმოგცემთ და დაბეჭდეთ. „ქართული ისტორია“ და „საქართველოს დაპყრობა ოსმალთა მიერ“, ქალბატონ ლია ჩლაიძესთანაა, ორივე ერთად არის შეკრილი და უნდა გავაცალკევოთ. არ მოუხდა ისე შეერთებული. ჩემი ყველანაირი მუშაობა საქართველოზე კარგათ იცის ლია ჩლაიძემ. მას შარშან გადავეცი ზუსტი ცნობები და მატერიალური საბუთები. აუარებელი სტატიები მაქვს საქართველოს სასიკეთო მომავლისათვის და წარსულის გაშუქებისათვის“¹.

ჩამოთვლილ, გამოსაცემად მომზადებულ წიგნთაგან არც წიგნად შეკრული „ქართული საბავშვო ზღაპრები და მოთხრობები“ შემონახულა სრული სახით არქივში. არქივში არის მხოლოდ რამდენიმე მოთხრობისა და ზღაპრის თარგმანი, ნაწილიც გამოქვეყნებულია სხვადასხვა დროს „ჩვენებურში“.

ქართული კულტურის პოპულარიზაციას ეძღვნება ჰაირი ჰაირიოღლუს მიერ მომზადებული, შედგენილი და თურქულად თარგმნილი კიდევ ერთი განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე წიგნი სახელწოდებით: „ტრაპიზონიდან აფხაზეთამდე – აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ხალხების ისტორია და კულტურა“². ნაშრომი წარმოადგენს რამდენიმე ცნობილი ავტორის პუბლიკაციების ნაკრებს, ამონარიდებს მათი ცალკეული შრომებიდან და წარმოდგენილია კომპლექსური-კრებითი წიგნის სახით. ვახტანგ მალაყმაძეს (ჰაირი ჰაირიოღლუს) ძირითადად გამოყენებული აქვს შემდეგ ავტორთა შრომები: იაკობ გოგებაშვილი, ალექსანდრე მანველიშვილი, მიხაკო წერეთელი, მარიამ ლორთქიფანიძე, იური სიხარულიძე, წათე ბაწაში, ბიჭი თეხელიშვილი. რასაკვირველია, წიგნში შესულია ვახტანგ მალაყმაძისეული მეცნიერული ანალიზიც ამა თუ იმ საკითხის გარშემო. წიგნი გამოცემულია გრიფით – „სერია: ხალხთა ისტორია და კულტურა“. გამომცემელია კვლავ „სორუნ იაინლარი“ (სორუნის გამომცემლობა). პირველი გამოცემა შედგა 1998 წელს, ხოლო მეორე – 2005 წელს. საყურადღებოა გა-

¹ ჰაირი ჰაირიოღლუს არქივი, წერილები.

² YURI ŞIHARULIDZE, ALEXANDRE MANVELAŞVİLİ, İ. GOGEBASHVİLİ, TSATE BATSASHI, İVANE JAVAHİŞVİLİ, BİÇİ TEZELİŞVİLİ, MİHAKO TSERETELİ, MARIAM LORTKİPANIDZE, TRABZON'DAN ABHAZYA'YA DOĞU KARADENİZ HALKLARI TARİH VE KÜLTÜRLERİ, Derleyen ve Gürcüceden Türkçeye Çeviren: Hayri Hayrioğlu, „Sorun Yayınları“, 1998, Baş Musahip Sokak No 3/2 Çağaloğlu-İstanbul-34410, Telefon: (0212) 511 08 29, Fax: (0212) 519 05 60.

მომცემლობის წინასიტყვაობაც, რომელსაც „სორუნ იანლარის“ კოლექტივი აწერს ხელს: „ეს კრებული შავიზღვისპირეთის რეგიონში მცხოვრები და კავკასიის ხალხების ერთი ნაწილის ისტორიას და კულტურას ეძღვნება. ჰაირიოდღემ ცხრა სხვადასხვა ავტორის ნაშრომი თარგმნა და შეადგინა კრებული. ცხადია, ამ ნაშრომს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთისა და კავკასიის ხალხების ისტორიისა და კულტურის სრულყოფილი წარმოჩენა მიზნად არ დაუსახავს. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მსოფლიოში ჯერ კიდევ მიმდინარეობს ასიმილაციური პროცესები და არ არსებობს აბსოლუტურად თავისუფალი მეცნიერება, ეს მკვლევარი შეეცადა წარმოედგინა შედარებით ობიექტური სამეცნიერო ხედვები შავიზღვისპირეთის ხალხების ეთნიკური ისტორიისა და კულტურის შესახებ“¹.

წიგნში წარმოდგენილია ჭანების/ლაზების, მეგრელების, სვანების ტრადიციული ყოფისა და კულტურის საკითხები, ასევე მოწოდებულია ზოგადად საქართველოს ისტორიისა და კულტურის გაბმული თხრობა უძველესი დროიდან მეოცე საუკუნის შუაწლებამდე. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ჰაირის მიერ მიერ თურქული წყაროებიდან ამოკრებილი ინფორმაცია. მაგალითად, „ისლამური ენციკლოპედიის“ ცნობა ლაზთა ქართველური წარმოშობის შესახებ („ლაზები ქართველთა ერთ-ერთი შტოა“) და სხვ. ცალკე უნდა აღინიშნოს სვანეთის ტრადიციული ყოფის ამსახველი თავი, რომელშიც მოცემულია უაღრესად მართებული, არგუმენტირებული ანალიზი სვანეთის ხალხური დღესასწაულების, ეპოსისა (ბეთქილის ციკლი) და ზოგადად ყოფის შესახებ. კრებულში ქართველთა გვერდით წარმოდგენილია საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფთა – აფხაზთა და ოსთა – ისტორია და ყოფა, ასევე თურქეთის აღმოსავლეთშავიზღვისპირეთში მცხოვრებ სხვა ეთნიკურ ჯგუფთა ისტორიისა და კულტურის საკითხებიც.

სამეცნიერო საქმიანობის პარალელურად ჰაირი ჰაირიოდღე (ვახტანგ მაღაყმაძე) იყო აქტიური საზოგადო მოღვაწე. იგი ქართული იდენტობისა და კულტურის გადარჩენისკენ მიმართული ყველა კეთილი წამოწყების მონაწილე, მხარდამჭერი, ხშირ შემთხვევაში, ინიციატორიც გახლდათ. ახმეთ მელაშვილის ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ ეროვნულ-კულტურული მოძრაობის წარმართვის მთელი სიმძიმე სწორედ მან იტვირთა. ჰაირის რჩევებითა და თანადგომით შეძლო ქართველ მოღვაწეთა მომდევნო თაობამ დიდი ახმეთ მელაშვილის მიერ დაწყებული კულტურული მოძრაობის გაგრძელება.

¹ იქვე, გვ. 9-11.

ჰაირი ხშირად მოგზაურობდა იმ ადგილებში, სადაც ქართველები კომპაქტურად ცხოვრობდნენ. სტამბოლში ყოფნისას ხშირად სტუმრობდა ქაზიმ ირემადის (იიემ) ოჯახს, რომლის მეუღლეს ნეზაკეთ გივიამე (უსტა-ლოღლუ/აიდინ) ჰაირის ნათესავად ერგებოდა. აქ ჰაირი იბარებდა ქალაქში მცხოვრებ ქართველ ახალგაზრდებს და ცდილობდა მათთვის ქართული კულტურის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. მანვე ასწავლა ამ წიგნის თანაავტორს, გიორგი ირემადეს ქართული წერა-კითხვა. გიორგი ირემადის მონათხრობიდან: „1978 წელს 13 წლის ვიყავი და ჰაირი აბი გვესტუმრა. ახალგაზრდებსაც გვესაუბრა, არ გინდა შენი ენა ისწავლოო? მინდოდა. მომცა გაცრეცილი „დედაენა“, რომელშიც მისივე ხელით ქართულ ანბანზე მიწერილი იყო ლათინურის შესატყვისები. ის დამე გავათენე, გადმოვწერე ანბანი და დილას უკვე ყველა ასო ვიცოდი. ძველი „დედაენა“ იყო, შავ-თეთრი, ისეთი „დედაენა“ მერე არსად მინახავს. როცა ნახა, რომ ის „დედაენა“ უკვე აღარ მჭირდებოდა, მთხოვა, დამიბრუნეო, ახლა სხვას ვასწავლიო. დავუბრუნე. ამის შემდეგ დავიწყე პირველი წიგნის კითხვა. ეს იყო ნოდარ დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“. წიგნიც ჰაირი აბიმ მაჩუქა. ძალიან გამიხარდა, რომ ამ წიგნში ყველაფერი გავიგე. შემდეგაც სულ მოდიოდა და გვასწავლიდა. ორ-სამ წელიწადში უკვე მე ვაკითხავდი ინეგოლში“.

ჰაირი ჰაირიოღლუ იყო ერთ-ერთი ინიციატორი და მხარდამჭერი 1977 წელს ინეგოლში დაარსებული საზოგადოებისა. ამავე დროს ის უწყვეტად თანამშრომლობდა ახალგაზრდა ქართველ მოღვაწეებთან, რომელთა დიდი გარჯით 1986 წლიდან დაწყებულ იქნა სამზადისი ბურსის ქართველთა ეროვნულ-კულტურული საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად. საზოგადოება ოფიციალურად შეიქმნა 1987 წელს. მის სათავეებთან იდგნენ ადგილობრივი ქართველი მოღვაწეები: იბერია ოქჩანი/მელაშვილი, მეჰმეთ შევალი, ჰასან აიდინი, რაგიფ ათაი, ისმაილ ერენი, ეუფ უზუნი. ჰაირი მუდამ აძლევდა ახალგაზრდებს მართებულ რჩევას და მიმართულებას. ამ საზოგადოების თაოსნობით ჩამოყალიბდა ქართული ხალხური სიმღერებისა და ცეკვის ანსამბლი. მასწავლებლად მუშაობდნენ იბერია მელაშვილი და აბდულლაჰ ზორლუ (არჩილ ზოიძე). ბურსის საზოგადოება მართავდა ერთგვარ პიკნიკებს, რომლებზეც მარმარილოს ზღვის რეგიონის ქართველები ოჯახებით იკრიბებოდნენ, საუბრობდნენ, ასრულებდნენ ქართულ ხალხურ ცეკვებს და სიმღერებს. ბევრს ტრადიციული ქართული სამოსიც ეცვა. სწორედ აქ ჩამოაყალიბა იბერია მელაშვილმა ანსამბლი „კაფდალი“, რომელიც დღესაც არსებობს და მისი წევრები, სხვადასხვა თაობისანი, ამჟამადც სათავეში უდგანან თურქეთის ქართველთა ეთნიკური კულტურის განვითარების საქმეს: ეიუფ უზუნი, ემრეფ შენტურქი (კირკიტაძე), დოღან ილმაზი (მახარაძე), ქენან იაშარი (ურგებაძე) და სხვები.



ბურსის ქართველთა საზოგადოების მოღვაწეობის ამსახველი ფოტოები

ჰაირის არქივში დაცულია ერთ-ერთი ადგილობრივი (ბოლაზქოი, წარმოშობით იმერხევიდან) მოღვაწე ქართველის, ქალბატონ ნეჯლა მახარაძის (ილმაზ-აკგუმუში) მიერ მიწოდებული ლექსი. ნეჯლა, თავიდან ოჯახური ტრადიციის მიხედვით და შემდგომ საკუთარი სურვილითაც, აქტიურად მონაწილეობს ყოველ ქართულ ღონისძიებაში. ის მუდამ მხარში ედგა ჰაირის. ნეჯლას მიერ ჰაირისათვის მიწოდებული ლექსი:


„ტყვილი ხარ თუ მართალი

არსიანის ტყიები, საზგირეთის ველები
ერთი ორი დავწერო ჩვენებური ლექსები...

კონჩხი თავში წყალი დგას, წყალის შიგან ნაძვი დგას
თქვენ რომ ჩემთან მოხვედით, ჰალა თვალეზში მიდგას...

მალლა მალლა მიფრინავს ყვავია თუ ყართალი
მერომ თქვენ დაგინახე, ტყვილია თუ მართალი..?

ნეჯლა თამარ მახარაშვილი
3/3/1983. ბურსა¹.



ნეჯლა ილმაზ-აკგუმუში (მახარაძე).

¹ ჰაირი ჰაირიოდლუს არქივი, ლექსები, ნომ.4.

ჰაირი სხვა მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან ერთად ყოველწლიურად 5 ივლისს აწყობდა ახმეთ მელაშვილის ხსოვნის დღეს, რა დროსაც სოფელ ჰაირიეში ახმეთის საფლავთან იკრიბებოდნენ ქართველები თურქეთის სხვადასხვა მხარეებიდან. მათ მასპინძლობდა სოფელ ჰაირიეს მოსახლეობა. ჰაირის არქივში დაცულია ახმეთისადმი მიძღვნილი და სასაფლაოზე წაკითხული რამდენიმე ლექსი. მათ შორისაა თვითონ ჰაირის ლექსიც – „ჩემი გულის ჩირაღდანო“, გულიდან მომსკდარი სტრიქონებით:

*„ჩვენო მუხავ მელაშვილო,
ანგელოზო, თაფლზე ტკბილო,
ჩემ სიცოცხლეს შევწირავდი,
შენი სახე რომ ვიხილო.*

*ზედ გაჩნდა ოქროს გული,
დიდი ადამიანების გამონათქვამებს ყურადღებით ისმენდა და ინიშნავდა. კარგი ჯგუფები იყო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან: აფრიკიდან, ამერიკიდან, უფრო სწორად, შვიდი კონტინენტიდან. ყველაზე დიდი ჯგუფი ჩვენ ვიყავით: ბატონი ჰაირი, ფაქირ ბაიქურთი, ჰაიათი ასილიაზიჯი, აზიზ ჩალიშლარი, თაჰსინ სარაჩი და სხვა ძვირფასი ადამიანები, რომლებიც ამავე დროს სხვადასხვა ჯილდოს მფლობელებიც იყვნენ. ბატონი ჰაირი თავისი ღიმილიანი სახითა და სითბოთი იქაურობას სილადეს მატებდა. მოსკოვიდან თბილისში მიმავალ თვითმფრინავში ერთად დავსხედით. ყველას ესაუბრებოდა, ეკითხებოდა. შევამჩნიე, რომ მუდმივად მოსმენილი ისტორიებიდან მისთვის საინტერესო ადგილებს ინიშნავდა. თბილისში რომ ჩავედით, სახელმწიფო დახვედრა მოგვიწყეს. ყველაფერს გვიხსნიდა და გვიყვებოდა. მივხვდი, რომ ბევრი ცოდნის მქონე და კარგი მასწავლებელი იყო.

გარდაცვლილი ადამიანის შესახებ ბევრ რამეს წერენ და ამბობენ, მაგრამ მე მარტო ამას ვიტყვი, რომ ბატონი ჰაირის ადგილს ვერავინ შეავსებს. ამას დიდი ძალისხმევა დასჭირდება. მისი მსგავსი ნიჭიერი ადამიანები ძალიან მცირეა თურქეთში. მისი დაკარგვა ძალიან მტკივნეულია და გაუსაძლისი. დანაკლისი ძალიან დიდია, ძალიან.

ძალიან დიდი ადამიანი დაკვარგეთ, ქართული ისტორიის თარგმანების, წიგნებისა და სტატიების ავტორი დაკვარგეთ.

ძვირფასო ბატონო ჰაირი, ყოველთვის ჩვენს გვერდით იქნებით და ყოველთვის გვემახსოვრებით. ყოველთვის იქნებით ჩვენს მოგონებებში, როგორც ბატონი აჰმეთ მელაშვილი.

ცათა სასუფეველი დაგემკვიდროს. „ნახვამდის“, ჩვენო ძმაო ჰაირი!“

თავი III

ჰაირი ჰაირიოღლუს (ვახტანგ მაღაყმაძის) ურთიერთობა საქართველოსთან

ჰაირი ჰაირიოღლუს (ვახტანგ მაღაყმაძის) მოღვაწეობით, მისი თარგმანებითა და ნაშრომებით საქართველოს კულტურული საზოგადოება თავიდანვე დაინტერესდა. ჰაირი ჰაირიოღლუ საქართველოს დაუკავშირდა ახმეთ მელაშვილის დახმარებით. კავშირი ხორციელდებოდა პროფესორ ოთარ გიგინეიშვილისა და მისი ჯგუფის – თვალსაჩინო ქართველ მეცნიერთა და მწერალთა მეშვეობით. ორგანიზაციას ეწოდებოდა: „უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოება“. მისი თავმჯდომარე იყო პროფესორი ოთარ გიგინეიშვილი.

პროფესორი ოთარ გიგინეიშვილი მრავალმხრივი მოღვაწე იყო. ის გახლდათ ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე. ოთარ გიგინეიშვილმა 1940 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, 1947 წელს კი – სსრკ-ს საგარეო საქმეთა სამინისტროს უმაღლესი დიპლომატიური სკოლა. 1947 წლიდან გარდაცვალებამდე კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე. 1947-1954 წლებში მუშაობდა სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროში ატაშედ, ასევე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ექსპერტ-კონსულტანტად და მინისტრის თანაშემწედ. 1956-1958 წლებში იყო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პირველი მდივანი. 1958 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაშია: იკვლევდა თურქეთის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ისტორიას; თურქეთის, ირანისა და რუსეთის პოლიტიკას საქართველოს მიმართ; თურქეთში მიმდინარე ეთნო-რელიგიურ პროცესებს. 1968-1990 წლებში იყო „უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების“ პრეზიდენტის თავმჯდომარე. გარდაიცვალა 1990 წელს¹.

¹ https://www.tsu.ge/universteteli_avtorebi/biografia.php?id=385



პროფესორი ოთარ გიგინეიშვილი (1916-1990 წწ.).

„უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოება“ ახორციელებდა კავშირს უცხოეთში მცხოვრებ, მათ შორის თურქეთელ ქართველებთანაც. ოთარ გიგინეიშვილის ყურადღება და გულისხმიერება დიდად საგრძნობი იყო თურქეთელი ქართველებისთვის. ამ საზოგადოების მეშვეობით ისინი სამშობლოსაც სტუმრობდნენ. „საზოგადოების“ წევრები ეხმარებოდნენ თურქეთელ ქართველებს ცოდნის შეძენაში, ქართულ გამოცემათა შედგენასა და დაბეჭდვაში. სწორედ ამ „საზოგადოების“ მიწვევით პირველად ჩამოვიდა ჰაირი საქართველოში 1978 წელს. შემდეგაც რამდენიმეჯერ იმყოფებოდა სამშობლოში. მონაწილეობდა ქართული ლიტერატურისადმი მიძღვნილ სიმპოზიუმებში, ილიასა და აკაკის საიუბილეო საღამოებში, ბოლოს, „ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესს“ ესწრებოდა 1994 წელს.

მემედ-ემინ ქაიას (მაკარაძე) მონათხრობით, ბატონი ოთარი 1970 წელს ყოფილა ინეგოლში: „1970 წელზე ოთარ გიგინაშვილი მოიდა ჩვენ სოფელში. გიგვიხარდა, მალე არ გუშვით. მოწონდა გიგინაშვილსა ჩვენი სოფელი. – ეს ნალია, ბელელი არ დაანგრიოთო, – გვითხრა; – ხის სახლები, ფიცრისა, არ დაანგრიოთო, – ასე დაგვაბარა“¹.

ჰაირის არქივს შემორჩა 1985 წლის 9 მარტით დათარიღებული წერილი, გაგზავნილი ბატონ ოთართან. წერილი თვალსაჩინოდ ავლენს პროფესორ ოთარ გიგინეიშვილის დამოკიდებულებას თურქეთელ ქართველებთან. წერილში ის ჩანს, როგორც ძალიან ახლობელი და მზრუნველი ადამიანი ჰაირისა და ყველა სხვა მოღვაწე ქართველის მიმართ:

„პატივცემულო ოთარბატონო, გამაჯობათ...

მოგწერეთ რამდენიმე წერილი ჩვენი ახმედ ალთუნის საშუალებით. ალბათ მიღებული გექნებათ.

როგორ ბრძანდებით და როგორ მოგიკითხოთ. ქალბატონი ჩვენი ძვირფასი ძალი როგორ ბრძანდებიან. გისურვებთ სულ მუდამ ბედნიერებას, ჯანმრთელობას და კარგად ყოფნას. სალამები გადაეცით ჩემს დებს ირინე და გულნარა ქალბატონებს, ჩემს ძმას გურამს. არ მავიწყდები, გურამ, როგორ ცრემლი ვღვარეთ მცხეთის გზებში, სალობიეში, გაიხსენე...

ეკონომიურად დავსუსტდი და არ შემიძლია მანდ ჩამოსვლა. ძლიერ მსურს ჩამოსვლა. საჭიროც კი არის ჩვენი შეხვედრა.

ნესტანი დავნიშნეთ ერთ კარგ ქართველ ბიჭზე. ახლოს არიან ჩვენი თან. მეზობლები ვიმყოფებით. ბიჭს აქვს ხელობა (ავეჯის მკეთებელი ოსტატი). კაი ხელფასი აქვს. სალამები ჩემს მეუღლიდან ზაჰიდედან და ნესტანიდან. სალამები ვინც პირადად გიცნობს თქვენ.

ერთ რამეს გეხვეწები, ბატონო, თუ გამოქვეყნდა ჩემი პატარა ნაშრომის (თემბელ ადამ) შესახებ რაიმე „სამშობლო“-ში, გადმომეცით. „სამშობლო“ აღარ მომიდის სამწუხაროდ. მიეცით სტამბაში ჩემი ახალი და ზუსტი მისამართი. არ გაიგზავნოს ძველ და მცდარ მისამართებზე.

ინეგოლში განთქმული ადვოკატი ქართველი მეჰმეთ ალემდაროლი იმყოფება. ქართველი და კაი პატრიოტი ადამიანი. მას სურს მისი მამის რეჯეფ ალემდარზადე ქემალისძე მყავანაძეს ბიოგრაფიის გამოქვეყნება ქართულ ენციკლოპედიაში. ეს მეც მსურს და თუ შეგიძლიათ გადაეცით ეს მატერიალი ენციკლოპედიის რედაქციას. გავალეზთ ამასაც რომ თუ იპოვნება რაიმე სხვა დოკუმენტი რეჯეფ ალემდარზადე ქემალისძე

¹ შუშანა ფუტყარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993, გვ., 153.

მყავანადის შესახებ, გადმოგვცეთ. ეს შეუძლიათ ბატ. ფრიდონ ხალვაშს, მუხამედ ვანილიშს და ალი თანდილავას შეადგინონ. ცოდნას ველოდები ახმედ ალთუნის საშუალებით.

როგორც დაჟინებით გთხოვთ ქართული ენციკლოპედიის სრული ტომების შექმნას და გადმოცემას, აქ კვლავ ვიმეორებ. აუცილებლად საჭიროა ეს და არ დაზარდეთ ამ საქმეში. ენციკლოპედია მომწოდეთ სრულიად...

აბა, კარგათ და კარგათ ბრძანდებოდეთ. სალამი და სიყვარული ყველა ქართველებს და მანდ მცხოვრებ მეგობრებს. ალექსი არ დაივიწყოთ და სალამი გადაეცით ჩემგან... თვლებში კოცნით...

**მარად თქვენი ძმა: ჰაირი ჰაიროღლუ
იგივე: ვახტანგ ხინკილაძე.
პ.ს. ცოდნა მომწოდეთ ტაძრის შესახებაც¹.**

ჰაირის სამშობლოში პირველი ჩამოსვლის ისტორია მოგვითხრო მისმა უმცროსმა მეგობარმა, ბატონმა ერგუნ ათაბაიმ (გურამ ქოქოლაძემ):

„ჰაირიელი ვარ, მაგრამ ბატონი ჰაირი გვიან გავიცანი, რადგან ის თურქეთის სხვადასხვა ადგილებში მსახურობდა. ერთხელ ავტობუსით მივდივარ ინეგოლამდე და უკნიდან მესმის, რომ ერთი კაცი ხმამაღლა და ძალიან საინტერესოდ საუბრობს. ყველაფერი ასე კარგად როგორ იცის, მიკვირდა გულში. თან პოლიციელია (ფორმა ეცვა), ნეტავ, სად შეიძინა ეს ცოდნა, – ვფიქრობდი. მერე გავიცანი, დავახლოვდით. ძალიან უშიშარი და ღონიერი კაცი იყო. გულიც ჰქონდა ასეთი, რომ ყველაფერს გაუძლებდა. მას ამიტომ უშვებდნენ სამუშაოდ რთულ ადგილებში. პირში მთქმელი კაცი იყო, თავის უფროსებს სულ ეჩხუბებოდა, მაგრამ მაინც ყველას უყვარდა სუფთა გულისა და სიმართლისათვის. მისი გაგება ყველას არ შეეძლო. იმან იმდენი იცოდა, რომ სულ მიკვირდა. მერე აქ რომ წამოვედით ერთად, უფრო შემიყვარდა და დავაფასე, რადგან მისი ცოდნა საქართველოშიც გაუკვირდათ. 1978 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ვეწვიეთ სამშობლოს. უკან კი ბატონი ჰაირი მოსკოვიდან დაბრუნდა თვითმფრინავით. ჰაირის მისი შვილი ნესტანიც ახლდა. ჩვენ ახალგაზრდები საქართველოში წამოსასვლელად ახმეთ მელაშვილმა მოგვამზადა, 15-მდე ახალგაზრდა ერთად უნდა წამოვსულიყავით, მაგრამ ბოლოს დავრჩით ბატონი ჰაირი, მისი ქალიშვილი ნესტანი, მე, მეჰმეთ შევალი (მერაბ ფუტყარაძე), შევექეთ შირინი (შალვა დავითაძე). მოვიდა მოწვევა

¹ ჰაირი ჰაიროღლუს არქივი, პირადი წერილები, წერილი ნომ.3.

„გოქსიდან“. გზა ასეთი იყო: ყარსი-ლენინაკანი. ლენინაკანიდან მატარებლით ჩამოვედით. ვასიკო მაჭავარიანი დაგვხვდა და ჩამოგვიყვანა თბილისში. დაგვაბინავეს „ივერიაში“, მერე „თბილისში“. ის პირველი კვირა სულ ერთად ვიყავით ყველანი. ვნახეთ ყველაფერი: თბილისი, მცხეთა, გორი, ვიყავით მუზეუმებში. ერთხელ დაბადების დღეზე დავგვატიყეს. 70 კაცი იყო სუფრასთან. ბატონი ვახტანგი დასვეს სუფრის თავში თამადად. პროფესორივით ლაპარაკობდა, თან უხაროდა, თვალეზი უბრწყინავდა. არ შეიმჩნია, რომ წინ ღორის თავი დაუდეს. მერე აჭარაში წაგვიყვანეს. მოვიარეთ აჭარა. ოთარ გიგინეიშვილის ინსტიტუტმა მოგვიწყო ექსკურსიები. ვიყავით ხელნაწერთა ინსტიტუტში. იქ ჰაირი ელენე მეტრეველს ესაუბრა. ჰაირის უხაროდა, რომ საქართველოში ქართული ყველამ იცოდა, ბავშვებიც რომ ქართულად ლაპარაკობდნენ, სიხარულისგან ტიროდა. ილია ჭავჭავაძის იუბილეზე წაგვიყვანეს საგურამოში. ჩვენ ახალგაზრდებს გვიჭირდა ქართულად ლაპარაკი. ჰაირი წყალივით ლაპარაკობდა“.

მეჰმეთ შევალი (მერაბ ფუტყარაძე): „მე პირველად საქართველოში 1974 წელს მოველ. ბატონ ვახტანგთან ერთად ჩამოვედი მეორედ. საქართველოში შემოვედით 1978 წლის 11 სექტემბერს. ეს დღე კარგად მახსოვს. დეპეშას დავაწერეთ: 11 ენკენისთვეს“.

იმ დღეებში თურქეთელი ქართველების ერთ-ერთი მასპინძელი ბატონი ალექო ბურჯანაძეც იყო. მისი მონათხრობი: „ვახტანგმა ნახა, რომ აქ ქართველი ერი არ იყო გადაშენებული, რომ ვცოცხლობდით, კულტურას ვქმნიდით. უნდოდა, რომ უფრო გავმრავლებულიყავით. ძალიან უშუალო კაცი იყო. ყველას ეკითხებოდა, – რამდენი შვილი გყავს? სულ ჩხუბობდა, – ერთი რა არის? სახლი გაქვს, კარი გაქვს, ერთს რომ ინახავ, ხომ აჭმევ, მეორესაც, უნდა გამრავლდეთ!“ ბოლოს თქვა, ქართველ ერს გადაშენება არ უწერიაო. უხაროდა, რამხელა კულტურული ავტონომია გაქვთ, ეკონომიკაც. კონცერტებზეც გვყავდა. ქართული ცეკვისა და სიმღერის ნახვით ძალიან ბედნიერი იყო“.

ერგუნ ათაბაი (გურამ ქოქოლაძე): „ერთხელ მცხეთაში სალობიეში ვართ, ლობიოს მივირთმევთ, თან ვსვამთ ცოტ-ცოტას. ისეთი კარგი საუბარი წავიდა იქა, ისე თავისუფლად ლაპარაკობდა ბატონი ვახტანგი, რომ ყველა უსმენდა დიდი ინტერესით, ყველა თემაში ერკვეოდა. ძვირფასი საღარო იყო მისი ტვინი. როგორ ისწავლა ამდენი? ჯერ ხომ პოლიციელი იყო, როგორ მოასწრო ამდენი სწავლა. იქ ჩვენთან ერთი მწერალი მოვიდა. ყველამ გაიგო, რომ ჩვენ თურქეთიდან ვიყავით. ყველას უხაროდა. მოდიოდნენ, ხელს გვართმევდნენ. ჰაირის ეს ძალიან

უხაროდა, ყველას სათანადო პასუხს აძლევდა, თავისი განათლებით ყველა მოხიბლა. ხმამაღლა საუბრობდა და მთელი ხალხი ჩვენ შემოგვეხვია გარს“.

ალეკო ბურჯანაძე: „არ დამავიწყდება ვახტანგის ერთი საქციელი: ვახტანგი თვალში მოგხვდებოდა, ისეთი ახოვანი და ლამაზი კაცი იყო, გამვლელნი თვალს აყოლებდნენ. მივდივართ რუსთაველზე და უცებმ ვხედავ, დაიხარა და ძირს დაგდებული სიგარეტის კოლოფი აიღო. გამიკვირდა, შევცბუნდი. შემატყო გაკვირვება და ამიხსნა, აი, ეს გადაგდებული კოლოფი თურქეთში უნდა წავიღო და იქაურებს ვაჩვენო, რომ საქართველოში ქართული ენა არ მომკვდარა; რომ სიგარეტის კოლოფზეც კი ქართული წარწერაა; იმდენი აქვთ ქართული წარწერები, რომ ქუჩაშიც კი ყრიანო. არ ყოფილა საქართველო მონა, ვითარდება საქართველოო“.

ერგუნ ათაბაი (გურამ ქოქოლაძე): „თბილისიდან ბათუმში გაგვიშვეს თვითმფრინავით, ბატონი ვახტანგი კი თავისი მანქანით წაიყვანა ბატონმა ოთარმა. ჯერ ქუთაისში წაიყვანა, მერე ბათუმში ჩამოიყვანა. ჩვენ მათზე ადრე ჩავედით ბათუმში. დილით ვნახე ბატონი ვახტანგი. მთელი ღამის უძინარი, პირს იბანდა, მაინც ძალიან მხიარულად იყო. იქ ისეთი პურ-მარილი დაგვახვედრესო, ახლა ჩამოვედითო. მერე იბრაჰიმ გორაძე მოვიდა, მერე ფრიდონ ხალვაში. ბათუმში „გოქსის“ უფროსი ფრიდონ ხალვაში იყო. ვახტანგზე ფრიდონმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ფრიდონმა ვახტანგი სოფელში წაიყვანა, აჭარის სოფლის ყოფა აჩვენა, თამბაქოს ჩვენც ასე ვჭრით, ერთი და იგივე ხალხი ვართო, სამზარეულოშიც შეიყვანა. ჩვენ ვერთობოდით, ბატონი ვახტანგი კი მუშაობდა, იწერდა, იმახსოვრებდა. ასე გაგრძელდა სამი დღე. მერე ისევ თბილისში დაგვაბრუნეს და ოჯახებში დაგვაბინავეს“.

1987 წელს ჰაირი დაესწრო ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 150 წლის იუბილეს. ჰაირის არქივში შემორჩენილია საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის, გიორგი ციციშვილის წერილი, რომლითაც ჰაირის აცნობებენ, რომ იგი მიწვეულია ილია ჭავჭავაძის საიუბილეო ღონისძიებებზე დასასწრებად საქართველოში¹. ჰაირი მიიწვია საქართველოს მწერალთა კავშირმა, მისმა იმდროინდელმა თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ციციშვილმა და ღონისძიების თანაორგანიზატორმა, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა. ჰაირის არქივში დაცულია ბატონ გიორგი ციციშვილის წერილი:

¹ ჰაირი ჰაიროღლუს არქივი, პირადი წერილები.

**„Турция, инегол-буриса,
Кафка афт №114/4
Хаири хаириоглу махмудие махаллеси
Суиоли джадеси**

Союз писателей Грузии и Институт грузинской литературы имени Ш. Руставели Академии наук Грузинской ССР приглашают Вас на юбилейные торжества, посвященные 150-летию со дня Рождения великого грузинского писателя и общественного деятеля Ильи Чавчавадзе, и на международную конференцию: «Судьбы современной цивилизации и литературы мира», так же посвященную И. Чавчавадзе, которые проводятся в Тбилиси с 19 по 27 октября 1987 года. Юбилейный вечер состоится 25 октября в Большом зале Груз. гос. Филармонии.

Вы будете иметь возможность присутствовать на праздновании юбилея И. Чавчавадзе и в других городах и регионах Грузии. Для пожелавших остаться в Тбилиси, будет организована культурная программа.

Все расходы, связанные с дорогой и Вашем пребыванием в Грузии, Союз писателей Грузинской ССР берет на себя.

Прошу Ваше согласие на приезд подтвердить телеграфно до 5 октября. Сообщите также о Вашем желании (если оно возникнет) выступить на конференции (регламент – до 10 минут) и тему этого выступления.

**С уважением
Секретарь Правления Союза писателей СССР,
председатель Правления Союза писателей Грузии
Член-корр. АН ГССР,
Г. Ш. ЦИЦИШВИЛИ¹**

ამ ამბის გაგრძელება ასახულია ჰაირის არქივში არსებულ მეორე წერილში, რომელიც 1987 წლის 25 სექტემბრითაა დათარიღებული და ადრესატია ბატონი ენზა. ბატონი ენზა, ჩვენი აზრით, იყო იმ წლებში საბჭოთა საკონსულოში მომუშავე ენზა სოხაძე, რომელიც დიდ ყურადღებას ავლენდა თურქეთელი ქართველებისადმი და ცდილობდა მათ დაახლოებას ისტორიულ სამშობლოსთან.

„გამარჯობათ, პატივცემულო ჩემო ბატონო ენზა...“

საქართველოდან ილიას იუბილეზე მოწვევის ბარათი ჩამომივიდა. ჩემგან პასუხს ელოდებიან თურმე 5 ოქტომბრამდე. უბრალო მისამართებთან წერილების მისვლა-მოსვლა ძალიან გვიან და ნელა ვითარდება. გეთყვება, დრო მეტად ცოტაა და დახმარება გამიწიეთ. გადაეცით ჩემი გადაწყვე-

¹ ჰაირი ჰაირიოდლუს არქივი, წერილები.

ტილება გ. შ. ციციშვილს საქართველოს მწერალთა კავშირის მისამართით შემდეგი ჩემი საპასუხო სიტყვები:

1. სტამბოლ-მოსკოვის მარშრუტით მოვდივარ (თვითმფრინავით).
 2. გამოვალ სიტყვით (ილია ჭავჭავაძეზე)
 3. გთხოვთ ვიზა უფრო მეტი დღის იყოს.
- სალამი. ხაირი ხაირიოღლუ.

ბატონო ენზა, თვითმფრინავის ბილეთი იქნებ ჩემ ადრესზე გვიან მოვა და კვლავ თქვენი მისამართით ჩამოვიდოდეს ჯობია. ანდა ოსმან ნურის მისამართით. უკან დაბრუნების მარშრუტს და დროს თბილისში შევადგენთ შემდეგ...

ყველაფერი ვითარება ოსმან ნურიმ შემატყობინოს ტელეფონით...

სალამი და კარგად ყოფნა თქვენ ყველას.

ვახტანგი მალაყმაძე (ჰაირი ჰაირიოღლუ)¹.

ილიას საიუბილეო ღონისძიებისთვის ჰაირის მოუმზადებია მოხსენების ტექსტი, რომლის ნაბეჭდი ვერსია დაცულია მის არქივში:

„ბარათი ილია ჭავჭავაძეს

თურქეთელი ქართველისაგან

იეთიმ გურჯი ამბობდა:

„გამარჯობა, ჩემო თბილის ქალაქო,

დაკარგული შენი შვილი მოვედი,

საქართველოს მიწა, წყალო, ალაგო,

თორმეტი წლის გატანჯული მოვედი...“

დიახ, გამარჯობა, ჩემო თბილის ქალაქო და ქართველი ერის დიდებულნო: მეფე ფარნავაზ, ვახტანგ გორგასალო, დავით აღმაშენებლო, თამარ მეფე, ერეკლე მეორე და კიდევ მრავალნო... გამარჯობათ, შოთა რუსთაველო, ჩახრუხაძე! ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელო, ვაჟა ფშაველა, იაკობ გოგებაშვილო, ყაზბეგო და კიდევ მრავალნო ენით ჩამოუთვლელნო მამულიშვილნო ... გამარჯობათ, ოთხასი წლის დაკარგული და გატანჯული თქვენი შვილი გაეხელით... თქვენი ღვიძლი შვილი, მარა სამწუხაროდ სულით, სხეულით და ზნე-ჩვეულებით გადაგვარებული, სამშობლოსგან გაცლილ-ჩამოშორებული... იმიტომ პირველად მოგახსენებთ ბოდიშს, რომ, სამწუხაროდ, არ შემიძლია ჩემი ისტორიული, ზღაპრული დედაენით სუფთად, ფაქიზად, მოხდენილი სიტყვებით მოგმართოთ... მაპატიეთ ჩემი დამახინჯებული და იქნებ რომ მცდარი სიტყვები...

¹ ჰაირი ჰაირიოღლუს არქივი, პირადი წერილები.

პატივცემულო ილიავ: გული მტკივა იმიტომ, რომ საქართველოსი და შენი არსებობა ამ ქვეყანაზე ძალიან გვიან გავიგე... მარა კიდევ ბედნიერი უნდა ვიყო, რომ მაინც შემთხვევით, კეთილი გულით გაგიცანით...

აჰა, ოთხასი წლის შემდეგ გულის ფანცქალით მოვედი და აი, რა ვნახე... ჩემო ილიავ... თვალში მელანდება ოთხმოცი წლის სიღრმიდან ამოდებული შენი მკვლევლობის მძიმე ტრადედია... თვალში მელანდება საგურამოს გზაზე მიმავალი კოხტა ფაიტონი და შიგ ამაყად მოწყობილი დიდი ილია და მისი საყვარელი ოლღა... შემდეგ აი ოთხი ლულა, წიწამურში ოთხი ჩახმახი, ოთხი წყეული თითი და უგუნური ოთხი მხეცის თავი ბრმა რვა თვალით ... შემდეგ საზარელი და ოჯახდამაქცეველი გრიალი ეშმაკის ლულებისა... აი, მესმის სიზმარსავით შენი უკანასკნელი სიტყვები, ილიავ.

„რას შვრებით უბედურნო, არ მესროლოთ, მე ილია ვარ“-ო...

მესმის შენი საყვარელი ოლღას თრთოლით და ძრწოლით კვილ ტირილი, აუტანელი ვაება.

გასაგებია, რა უნდოდა შენთან ცარიზმის მონა მორჩილებს... გასაგებია, მარა ამაზე ლაპარაკი ჩემი უფლება არ იქნება და ჩემი საგანის გარეშე... მაგრამ ამას მაინც ვიტყვი: შენ რომ ადამიანური სიყვარულით აღსავსე გულს ატარებდი და გიყვარდა სტუმართ მასპინძლობა, ლხინი გამართული, გქონდა გულუხვად ქართული სუფრა, საუბარი შენ საკუთარ ოთახ დარბაზებში, ტკბილი თბილი და ალალი სუფრა... შინაურ და შორეულ სტუმრებისათვის... ხალისიანად, ღია გულით, მომღიმარე პირით და კეთილი გრძნობებით.

საქართველოს უკანასკნელო უგვირგვინო მეფევ! ქართული ეროვნული აზრის წარმომადგენელო, უბადლო პოეტო, ძლიერო ავტორო, სამართლიანო ჟურნალისტო და თავდადებულო საზოგადო მოღვაწევ, ცოტაოდენ დაღონებული ყოფილხარ თურმე შენ ცხოვრების უკანასკნელ დღეებში... ამის მანიშნებელია შენი საყვარელი ქართული ხალხური სიმღერის ეს სიტყვები: „სული მიწუხს, გული მასთან ღონდება, თვალს ავახელ, ცრემლები არ მშორდება“.

ჩემო ილიავ: ჩვენ უდიდეს პოეტს, აკაკის უთქვამს სიტყვა ჩვენ ძმა ებრაელ-ქართველის სიკვდილზე... ეს გულის სიღრმიდან ამოდებული სიტყვები განა მართო ებრაელი ქართველის სიმწარეს აგვისახავს... არამედ შენ დალოცვილ განსვენებულ სხეულსაც დაგვისახავს თვალის წინ... აი აკაკის სიტყვები:

„ახა ნარინჯო ნარინჯო
შე ბროწეულო იავო,
პირი ზურგისკენ გიქნია,
კისერი მოგგრეხიაო

აღარა ყვაავი ვარდივით
რა ფერი დაგდებიაო...
დაგიკრეფია ხელები
მოგელის ბნელი სამარე
საფლავის კარი ღიაო...
საიდან მოხველ სად მიხვალ
ჯერეც ვერ გაგვიგიაო.
ახა ნარინჯო ნარინჯო
შე ბროწეულო იაო...
დაგიკრეფია ხელები
თვალები დაგხუჭვიაო,
აქ დაგრჩენია რაც გქონდა,
თან ვეღარ წაგიღიაო
ნაცვლად დაგხვდება იმ ქვეყნად
სამოთხის კარი ღიაო...
და ათასკეცად ის კარგი
რაც აქ ვერ მიგიღიაო...
ჩვენ კი მაგ შენმა დაკარგვამ
გულები დაგვისიაო.
მშვიდობით ახა ნარინჯო
შე ბროწეულო იაო...

გულზე მაცვივა და მწვავს ქართველი ერის და შენი საყვარელი ოლ-
ღას ნადენი მდუღარე ცრემლები... მტკივა გული, მიწუხს სული: როგო-
რც შენი სხეულის ერთ-ერთი ასო და შენი საღვარავი სისხლის ერთი ნა-
წვეთი...

შენი ღვიძლი ძმა და შვილი... საქართველოს ერთგული, მიჯნური,
თურქეთელი ჭეშმარიტი ქართველი...

დასასრულს ამას გეტყვი: აღარ სუფევდეს მსოფლიოში შიში, აღარ
იყოს ხალხთა შორის ერთაშორის სიძულვილი, მტრობა, მუქარა, შუღლი...
იყოს ხალხთა და ერთაშორის კეთილი მეზობლობა, მეგობრობა, სოლიდა-
რობა, მიშველება და შეწევნა...

მშვიდობით ჩემო ილიავ, მშვიდობით სამშობლოვ, მშვიდობით ჩემო
თანამემამულენო, გაუმარჯოს მომავალ უფრო და უფრო ბრწყინვალე საე-
რთაშორისო მეგობრობას.

**ხაირი ხაირიოდლუ
ე.ი./ვახტანგ მალაყმაძე/
თურქეთი“.**

არქივში დაცული ეს წერილი გამოქვეყნებულია ორგანო: პარიზში ემიგრანტულ გამოცემაში – ქართული პოლიტიკის პერიოდული ორგანო უცხოეთში „გუშაგი“ და შუშანა ფუტკარაძის მონოგრაფიაში¹.

„გუშაგში“ გამოქვეყნებული წერილი მთავრდება ამ წინადადებით: „მშვიდობით ჩემო ილიავ, მშვიდობით სამშობლოვ, მშვიდობით ჩემო თანამემამულენო, გაუმარჯოს მომავალ უფრო და უფრო ბრწყინვალე საერთაშორისო მეგობრობას.“ წერილს ერთვის სარედაქციო მინაწერი: „ამ ბარათის ავტორი, ბ-ნი ვახტანგ მალაყმაძე, პასპორტით ხაირი ხაირიოდლუ, ეკუთვნის თურქეთში მცხოვრებ ქართველ მოღვაწეთა იმ ჯგუფს, რომელსაც თურქ ნაციონალისტთა მიერ მხეცურად მოკლული, ახმედ ოზკან-მელაშვილი თავკაცობდა და რომელიც თავდადებულად იღვწოდა ქართული კულტურისა და ეროვნული მეობის მის თანამემამულეთა შორის დასანერგავად. ახმედ მელაშვილის მკვლელობის შემდეგ ეს საქმიანობა შეფერხდა, მაგრამ არ შეწყვეტილა. ხ. ხაირიოდლუ ახ. მელაშვილის მარჯვენა ხელი იყო მის სიცოცხლეში და მერეც ორმაგი მონდომებით აგრძელებს ნაყოფიერ კულტურულ საქმიანობას: თურქულად თარგმნის ქართულ მწერლობის საინტერესო ნიმუშებს, მონაწილეობს პერიოდულ გამოცემა „ჩვენებურებში“, ხელს უწყობს დედაენისა და წერა-კითხვის გავრცელებას და ჩვენი ხალხური სიმღერებისა და ცეკვების დანერგვას და ა.შ. და ბოლოს, მჭიდრო საქმიანი ურთიერთობა აქვს სამშობლოსთან და მის გარეთ მცხოვრებ ქართველებთან. ვახტანგ მალაყმაძე შარშან მიწვეული იყო საქართველოში ილია ჭავჭავაძის იუბილეში მონაწილეობის მისაღებად და ეს ბარათიც მას განზრახული ჰქონდა წაეკითხა საზეიმო საღამოზე, მაგრამ უკანასკნელ წუთში, როცა ის ტრიბუნაზე მიწვევას ელოდა, მისთვის ამის ნება არ მიუციათ. თურქეთში დაბრუნებულმა გამოგვიგზავნა ამ მიმართვის ტექსტი და გვთხოვა: თუ მიზანშეწონილად მიგაჩნიათ, გამოაქვეყნეთო, რასაც ვუსრულებთ“².

ცნობილია, „გუშაგი“ აგრძელებდა „თავისუფლების ტრიბუნის“ ეროვნულ-კულტურულ ხაზს. გიორგი წერეთელი (1917-1993 წწ.) დამსახურებული მოღვაწე იყო: ჟურნალისტი, პუბლიცისტი, პოეტი. მათი გამოცემები აღწევდა ახმეთისა და ჰაირის ბიბლიოთეკამდე. თსუ ემიგრაციის მუზეუმის ხელმძღვანელმა რუსუდან კობახიძემ მოგვაწოდა გიორგი წერეთლის წერილი გამოგზავნილი იბერია და თამარ მელაშვილებთან.

¹ ჰაირი ჰაირიოდლუს არქივი, სამეცნიერო სტატიები და მოხსენებები; ქართული პოლიტიკის პერიოდული ორგანო უცხოეთში „გუშაგი“, პარიზი, ნომ. 15, მარტი, 1988. რედაქტორი გ. ი. წერეთელი, გვ. 74-76; შუშანა ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993. გვ., 359-360.

² ქართული პოლიტიკის პერიოდული ორგანო უცხოეთში „გუშაგი“, პარიზი, ნომ. 15, მარტი, 1988. რედაქტორი გ. ი. წერეთელი, გვ. 76.

ქართ. 10 მაის 1980 წელი.

ყველანაირი შეზღუდვა ვაშის და იტყისა!

აქვინ ვეჩი მანძირებთ აუ ზოგის ვაშისა აქვინა
მწვინები ქარხანათა დახლირთა შეხილქმა. აქვინ ქვე-
მანობარ აშანდოქმა აქვინ ~~აქვინ~~ დოქვინ და ხელი-
ქანაპრობისა ვინ ბაივსოქერ ლხილქ - "აშანდ" და
"იტყინა". ზოგა აქვინი მანძირებთ ამ ლხილქელ
ქანაპრობას, მაშინ ზოგის მანძირებთ ზანაშელ აქვინს
და ან ვიქვინ ვაშანდოქმა. აქ, მანძირთ აქვინთ
სანძირებთ ვაშანდოქმა ყოველიყოს ამ აქვინთ ხელილქმა.
აქვინთ სანძირებთ მანძირთ და მანძირებთ მანძირებთ
აქვინთ იტყინ და მანძირთ (მანძირთ აქვინთ, მანძირთ ხელილქმა,
ხელილქმა ლხილქ და მანძირთ ხელილქმა).

ამ იტყინებთ, ზოგის მანძირებთ და ლხილქ
აქვინ აქვინთ მანძირთ. იტყინა: ზოგის ლხილქ აქვინ მანძირთ.
მანძირთ ვეჩით მანძირთ მანძირთ. ზოგის ამ მანძირებთ
აქვინთ მანძირთ ვეჩით მანძირთ. აუ მანძირთ აქვინთ მანძირთ
მანძირთ მანძირთ მანძირთ და მანძირთ მანძირთ მანძირთ
და აქვინთ მანძირთ მანძირთ.

აქვე სანძირებთ მანძირთ-მანძირთ, მანძირთ-მანძირთ
აქვინთ, ამ მანძირებთ, მანძირთ მანძირთ და მანძირთ
ვი მანძირთ მანძირთ, მანძირთ მანძირთ მანძირთ
აქვინთ მანძირთ. მანძირთ მანძირთ მანძირთ ამ მანძირთ.

აქვე მანძირთ მანძირთ მანძირთ, მანძირთ მანძირთ,
მანძირთ მანძირთ მანძირთ და მანძირთ მანძირთ მანძირთ
მანძირთ მანძირთ მანძირთ, მანძირთ მანძირთ, ზოგის
მანძირთ მანძირთ მანძირთ.

აქვე მანძირთ მანძირთ, აქვინთ მანძირთ
მანძირთ მანძირთ მანძირთ

სამწუხაროდ, ჰაირის არქივის დიდი ნაწილი ხანძარმა გაანადგურა, თუმცა შემონახულ მასალებში მოიპოვება კიდევ რამდენიმე წერილი, რომლებშიც ასახულია მისი ურთერთობა საქართველოსთან. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ჰაირის წერილი გამოგზავნილი საქართველოს პრეზიდენტთან ბატონ ზვიად გამსახურდიასთან¹.

¹ ჰაირი ჰაირიოღლუს არქივი, წერილები.

9/4/991 წ.თარიღით

ჩვენი ერის და ჩვენი საბჭოების მეტად პატივცემულ პირობებში
გვირგვინს განსაზღვრავს. გამარჯობათ...


მე და ჩემი წიგნი გახდა ვართ 1878 წლიდან ოსმალეთში გაქმნილად იმდენ
რელიგიური და ნაბეჭდილი ავტორული ქართული წიგნები. კეთილი ბედის წყალობით და ღმრთი
ხვედრით გავიყარეთ ჩვენი წინაპრების სისხლით მოწყვდილი დაღმარებული მიწა
საქართველო. შემდეგ გავიგეთ რომ გვიქონია მწვენიერი ქართული ენა და მი
სი კონტა დაბეჭდილობა. შევუძღვით მისი სწავლას. ვისწავლეთ და ჩემი
გვებში იქმნა და წავადგინე პირობებში. 970-იან წლებში ჩამოვიყვანე მაგ
მღაპრულ მიწაზე. ვემთხვიეთ. მაქვს და ჩემი ღმერთი რომ ღმერთი მასთან გვაქვს
თბილისი და სოციალისტური წესები კავშირი.

სულ თვალის და ყური თქვენთან გვაქვს. შეგროვებული გვაქვს ყველა
მომხდური უბედურება ქართველი ხალხის წინაშე საბჭოებში. შეგროვებული
გვაქვს რომელიმე ბედნიერებასთან გაახარა ქართველი ხალხი საბჭოებში. კეთილი
მა ბედმა ერეკლე II-ს ოსმალეთში გზით ნოე შორს წავიყვანე და შემდეგში
ჩამოვიყვანე ჩამოვიყვანი ჩვენი კობის საფეხურის აწევაში აღმოჩნდება თქვენ
მაქვს ბედს უწევს. საქართველოში ავიდა ბურჯა. 9 აპრილ 1991 წელს კი
გამოხედა და ვისი მისაღებად მანქანა ხალხს. ვიღობათ ამოხდება ძნელი მანქანა
გზით მოპოვებულ ამოხდება. ვუღობათ საქართველოს მისაღებად მოვიყვანე და
სულ ბედნიერი ყოფილიყოს მისი მომავალი. ვამბობთ ღმერთი მხეცებისგან
დაღვრილი ქართული სისხლებს. და გაირკვეთ მზადა ვართ შევწირეთ ჩვენი
აღალი სისხლი სული და სხეული ჩვენს დაღმარებულ საბჭოების საქართველოს.

როგორც უახლოესი შურისძიების შეკრებით პასუხად (საპასუხოდ) გან
საზღვრავს (არა აქვს თურქული ქართველებს არა ერთი ერთგული უმცირესობის
უფლებები) და მაგალითი მოუბანეთ ოსების და სხვა უმცირეს ხალხების
უფლებები ჩვენ აგვაღვივებს ჩვენმა სახელის მოხსენებაში თქვენ მიერ. და ჩემი
მაქვს საქართველოს ინტელიგენციას და პირდაპირ რომ ხშირ ხშირად იხსენ
ნივთზე შევნიშნე ქართველებს. მაგრამ ვერ ვხედავთ თურქული მიღობით
თ ქართველის სახელს. ეხლა ქვეყანა ძველი ბნელთაქვს მჭვრეტეა ვიქვეყ
ნა აღარ არის. აფრიკის ბიჭველი ღმერთი ხალხებთან უკვე მიიღეს ახალი
უფლებები. ჩვენ თურქული ქართველები რომლებიც ძველის ძველი განვითა
რებულნი უმაღლესი კულტურის მატარებელი ინტელიგენციის მესხები რაშიმ უნდა
ვებნათ ვეყარათ უნივერსიტეტი. ნამდვილი ქართველი ხალხი ე.ი. ვანები რაშიმ
უნდა იქვენი გახადვარების გზაზე. ვიმეჯობთ რომ მომავალი იქნება
ჩვენზე დაპირაკები ოფიციალურად...

ვუღობათ დაღმარებულ ძველისძველს მაგრამ განახლებულ ნაწილს
მწვენიერი ასოს საქართველოს. ვიღობათ და ვისურვებთ ახალ ახალ წარმა
ტებებს! ჭანთველებს! ბედნიერებას და ძალ ღმერთს.

"ღმერთო ღმერთო ჩარი ქენი
ჩვენი მტერი მკვლარი ქენი" ამინ.

 თქვენი: ხაირი ხაირი ღმერთო. ე.ი.
(გახსენებ მაღალმადე)

საქართველოს უახლესი ისტორიისათვის მნიშვნელოვანი წყაროა საქართველოს განთავისუფლების შემდგომი მიმოწერა ჰაირისა და „უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოებისა“. როგორც ჩანს, საქართველოს მიმე ვითარება (1991-1993 წწ.) აისახა უცხოეთში მცხოვრებ ქართველებთან ურთიერთობაზე და ეს პროცესიც შენელდა. მაგრამ როგორც კი ოდნავ სტაბილური მდგომარეობა შეიქმნა, „საზოგადოების“ საქმიანობა კვლავ გააქტიურდა. ამის დასტურია საქართველოდან ჰაირისთან გაგზავნილი ქვემოთ მოყვანილი წერილი:

„უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება“.

6 ოქტომბერი, 1993 წელი

გამარჯობათ, ბატონო ვახტანგ,

ულრმესი პატივისცემით მოგესალმებით კახაბერ აბაშიძე უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების რეფერენტი.

ბატონო ვახტანგ, მე გავეცანი თქვენს მიმოწერას. აღტაცებული ვარ თქვენი მოღვაწეობით და იმ ერთგულებით, რაც თქვენს ცხოვრების წესად აქციეთ.

ჩვენი დუმილის მიზეზი საქართველოში მიმდინარე მიმე პოლიტიკური მოვლენები იყო. ახლა, როდესაც საქართველო უმძიმეს პერიოდს განიცდის, მას კიდევ უფრო მეტად ესაჭიროება კავშირი დიდებულ ერისკაცებთან. გთხოვთ, პირფერობაში არ ჩამომართვათ, მაგრამ თქვენმა მოღვაწეობამ იმ პერიოდში, როდესაც ეს არცთუ უსაფრთხო იყო, ნამდვილად უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე.

ჩვენს საზოგადოებას ახალი თავმჯდომარე ჰყავს, ალ. ნონეშვილი. იგი პროფესიით ისტორიკოსია (არქეოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, გამოჩენილი ქართველი პოეტის იოსებ ნონეშვილის შვილი).

ბატონო ვახტანგ, გთხოვთ, მოგვწეროთ, ჩვენთვის მნიშვნელოვანია თქვენი აზრის ცოდნა, გვაინტერესებს, თუ რას მოღვაწეობთ, გვაინტერესებს თქვენი ჯანმრთელობა. გისურვებთ ყოველივე კარგს, რათა კვლავ მრავალი წელი მიუძღვნათ ქართულ საქმეს და ამით ხელი შეუწყოთ ჩვენი ეროვნული სულის შენარჩუნებას, აგრეთვე დიდი სამსახური გაუწიოთ საქართველოს კეთილმეზობლური ურთიერთობების განმტკიცებას.

საზოგადოების უფ. რეფერენტი: ვ. აბაშიძე¹.

¹ ჰაირი ჰაირიოდლუს არქივი, ურთიერთობა უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოებასთან.

შემოგვეჩვენა ჰაირისთან „საზოგადოების“ რეფერენტისგან გაგზავნილი მეორე წერილიც, რომელიც დაწერილია 1996 წლის 4 აპრილს:

„საქართველოს რესპუბლიკა

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება

4 აპრილი, 1996 წ.

გამარჯობათ, ბატონო ვახტანგ,

მოგესალმებით, უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების უფროსი რეფერენტი მამუკა სარალიძე.

ბატონო ვახტანგ, მე გავეცანი თქვენს მიმოწერას ჩვენს საზოგადოებასთან და მოხიბლული ვარ თქვენი საქართველოსადმი დამოკიდებულებით. ორი თვის წინ თქვენთან გამოვვ ზავნეთ წერილი და გვანტერესებს, მიიღეთ თუ არა. ჩვენთვის ცნობილია, რომ თქვენ თარგმნით თურქულ ენაზე ქართულ ზღაპრებს. გთხოვთ მოგვწეროთ, ამჟამად თუ ეწევით მთარგმნელობით მუშაობას, რათა შეძლებისდაგვარად აღმოგიჩინოთ თანადგომა.

ბატონო ვახტანგ, ალბათ გაიგებდით, რომ სამსუნის 19 მაისის სახელობის უნივერსიტეტის ლიტერატურის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ბილალ დინდარმა (მიქელაძე) თურქულ ენაზე თარგმნა და გამოსცა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“. თუ თქვენ გაეცანით ამ თარგმანს, გვანტერესებს თქვენი აზრი. აგრეთვე გვანტერესებს, თუ რა გამოხმაურება ჰპოვა ამ ფაქტმა როგორც ჩვენს თანამემამულეებში, ასევე თურქ მკითხველებში, რომლებიც პირველად ეცნობიან „ვეფხისტყაოსანს“ თურქულ ენაზე.

ბატონო ვახტანგ, გთხოვთ მოგვწეროთ წერილში, თუ რა ლიტერატურა გჭირდებათ, რათა თქვენი მოღვაწეობა უფრო ნაყოფიერი გახდეს, რაც ესოდენ საჭიროა დღეს ჩვენი ქვეყნისათვის.

მოგიკითხათ პრეზიდენტის თავმჯდომარემ ალექსანდრე ნონეშვილმა.

გისურვებთ დღეგრძელ სიცოცხლეს მთელი თქვენი ოჯახის შემადგენლობით.

საზოგადოების უფროსი რეფერენტი: მ. სარალიძე¹

ჰაირის პასუხი ამ წერილზე:

22/5/1995 ქ. ინეგოლი, ბურსა.

ღრმად პატივცემულო ჩემო ბატონო მამუკა სარალიძე, გამარჯობათ...

¹ ჰაირი ჰაირიოდლუს არქივი, წერილები.

მივიღე თქვენი გამოგზავნილი წერილი, რომელმაც მეტად გამახარა და კვლავ ამაღელვებელი კერძოდ იმან ამაღელვებელი, რომ ნეტაი საქართველო ნელ-ნელა თვალს ახელს {...}“ მეთქი. არ გამამტყუნოთ, გეთაყვა, მე უკვე იმედი ამოწურული მაქვს ყველა სიკეთის მიმართ. იქნებ ცვდები ჩემ საწარვეთილებაში, ღმერთმა ქნას.

მე სამწუხაროდ ძალიან ძნელ დღეებში ვიყავი საქართველოში. ეს შემთხვევით არ იყო სრულიად. ჩემმა გულის ტკივილმა მომიყვანა მანდ. რა ხდებოდა და რა ტრიალებდა ჩვენს უბედურ სამშობლოს თავზე კიდევ მეთქი. ყველაფერი გავიგე და ბევრიც თვალთ ვიხილე. გულ დაწყვეტილი დავუბრუნდი თურქეთს. ჩემმა თბილისში ყოფნამ არაფერი ინტერესი არ გამოიწვია თქვენს საზოგადოებაში. ესე იგი თქვენს ბიუროში, იქ მშრომელები ყველა თავის ბედზე ზრუნავდა და არ ქონდა შეძლება სხვა-სთან თვალ ყურის მიგდებისათვის. ყველაფერი ჩემთვის ზუსტად გასაგებია, ვინმეს არ ვამტყუნებ...

მაპატიეთ და რომელმაც თქვენ დაგაინტერესა ჩემმა წერილმა ზოგი ადამიანები მეტად გააბრაზა. კინაღამ პროტესტიც გამომიცხადეს. საქმე იმაში იყო, რომ მე ვერ ვიტანდი საქართველოს და მის მკვიდრ ქართველ ხალხის გვარების ლანძღვა გინებას და აბუჩად აგდებას. {...} საქართველოს დამცირებას, ქართველ ხალხის აბუჩად აგდებას ვერ ვეგუები. ვერც ვაპატიებ ასეთ სულელებს. გამიგეთ რა, გეთაყვა... {...}.

რაც ეხება სამსუნიში შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნას. მე გამოვთქვამ ჩემს წუხილსა: {...} ბილალჯ დინდარმა მიეკუთვნა თურქულ ნაციონალურ აზრის მატარებელ ზეინედ აბიდირ მაქასს და წიგნის შესავალში, მესამე გვერდის ბოლოს ასეთი სტრიქონები ჩასვა: „ახალციხე, რომელიც თურქების უძველესი სამშობლოა, იქ დაიბადა შოთა რუსთაველი“. ო, ეხლა მერა ვუყო ამ {...}, თავის სიცოცხლეში არ ურკვევიათ მესხეთ ჯავახეთი ან თაო კლარჯეთი ანდა სამცხე ჯავახეთი. მე ასეთ დინდარს როგორ ვუწოდო „დინდარი“ (ღრმა მორწმუნეს ნიშნავს). წიგნი ისეთი წარმატებით ნათარგმნი არ არის, მაგრამ თურქმა და ქართველმა მკითხველებმა დიდათ დაინტერესდნენ ამ წიგნით. ინგოლის ბიბლიოთეკაში სამი გზის მოიპარეს ეს წიგნი მკითხველებმა, ვინ იცის, რა ერის ხალხმა...

აი უფრო საინტერესო ცნობა მოგცეთ „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ: ქალაქ ბურსის ბიბლიოთეკაში აღმოვაჩინე ერთი „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც დიდი ხნის წინ (ალბათ 1930 წლებში) უთარგმნია ქალაქ ადანას ლიცეს მასწავლებელს ჰალის ქორთურეს, რომელიც გერმანული ენის მასწავლებელი ყოფილა და წიგნი უთარგმნია გერმანულ ენიდან. ალბათ

წიგნი უთარგმნია გერმანელ ფელიქს ფესინოს. სამწუხაროდ წიგნის პასპორტში წერია „ვეფხის ტყაოსანი“ რუსული განყოფილების 831.53 რიგი დასახელებული წიგნი მთლიანათ არ არის ნათარგმნი. შემოკლებით და შინაარსის ზღაპრული მოთხრობის ფორმითა. წიგნს თარიღი არ ასვია. „ქართული პოეზია“...

რასაც შეეხება ჩემს მუშაობაზე მოგიყვით შემოკლებით: საქართველოზე ერთ დღესაც არ შემიჩერებია 30 წელია. „80“-იან წლებში გამოცემულმა საბავშვო ზღაპრების ორ წიგნმა და ჟურნალ „ჩვენებურის“ ფურცლებმა არ დამაკმაყოფილეს. ბათუმში შეძენილი „ლაზეთის ისტორია, ეთნოგრაფია და გეოგრაფია“ ძალიან მნიშვნელოვნად შევაფასე და ეს წიგნი ვთარგმნე. ამ წიგნმა თურქეთში თითქმის მიწის ძვრასავით იფეთქა. ლაზებმა და თურქებმა გამიჩაღეს მუქარაც და ლანძღვა-გინებაც იმიტომ, რომ ვითომ მე ლაზ ჭანებს ქართველათ ვნათლავდი, თავზე ქართველობას ვახვევდი. თურქების მხრიდან მეზრძოდენ, რომ შენ ჩვენ თურქ ლაზებს აფხიზლებ და ქართველობას უქადაგებო. არც ერთ კუთხეს არ ვარგე და დაჩაგრული დავრჩი. შემდეგ გავამზადე კიდევ ოთხი წიგნი. პირველია დასაწყისიდან დღემდე „ქართული ისტორია“; მეორე არის ნიკო ბერძენიშვილის და სიმონ ჯანაშიას „საქართველოს ისტორია“ უძველეს დროიდან 19 საუკუნის დასაწყისამდე. ეს წიგნი არის 1943 წელს დასტამბული. მესამე წიგნი არის „ოსმალების საქართველოში შემოსევების ისტორია 1514-1625“; მეოთხე წიგნია „ქართული საბავშვო წიგნები და მოთხრობები“. მაგრამ რაკი მე გლახად შემნიშნეს, ეშინიათ გამომცემელ ფირმებს, რომ რამე თურქეთისთვის არ იყოს დამამცირებელი სტრუქტურები და თავი საფრთხეში არ ჩავივდეთ. დიდი ხანია ამ წიგნებს ქ. სტამბოლში ვაჩვენებ და ვთხოვ გამოსცენ, მაგრამ ზუსტი პასუხი ჯერ არაა. თუ მანდ თბილისში მოხერხდება, გადმოქცემთ და დაბეჭდეთ. „ქართული ისტორია“ და „საქართველოს დაპყრობა ოსმალთა მიერ“ ქალბატონ ლია ჩლაიძესთანა. ორივე ერთად არის შეკრული და უნდა გავაცალკეოთ. არ მოუხდა ისე შეერთებული...

ჩემი ყველანაირი მუშაობა საქართველოზე კარგათ იცის ლია ჩლაიძემ. მას შარშან გადავეცი ზუსტი ცნობები და მატერიალური საბუთები. აუარებელი სტატიები მაქვს საქართველოს სასიკეთო მომავლისათვის და წარსულის გაშუქებისათვის. თუ ლიას დაუკავშირდებით, უფრო გაიგებთ, რა ხდება ჩემს მხრივ...

მე არაფერ წყაროს აღარ გთხოვთ. რაც გამზადებული მაქვს, ისინი გამოუშვით, ძალ ღონე შევაერთოთ და შევძლოთ ეს სასიკეთო საქმე. ქართველმა ემიგრანტმა, კერძოთ თურქეთში მცხოვრებლებმა გაი-

გონ თავისი წარსული და უბადლო, საამაყო ჩვენი წინაპრების უნარი და შეძლება. ეს მეტად საინტერესოა, რომ ზოგ მუსლიმან ქართველებს გული და სიყვარული არ აქვთ დედა სამშობლოსთვის, რომლებიც რელიგიას და თურქობას აიგივებს და უარს ამბობს თავის ქართველობაზე. ნახეთ რა დღეში ვიმყოფებით. ბევრი სულელი ქართველიც არის აქა, ქართველს და რუს ქრისტიანობას და კომუნისტობას აიგივებს და ზიზღს და სიძულვილს გამოთქვამს. დამეხმარეთ რა ამ საშვილიშვილო საქმეში. გადაგვარჩინეთ მილიონობით ქართველი დაღუპვის უფსკრულიდან. უფრო მონდომებით მოჰკიდეთ ხელი ამ საქმეს...

სალამი და სიყვარული თქვენ ყველანს. ბტ. ნონეშვილს, გ. აბაშმაძეს და კიდევ სხვა ამხანაგებს. არ დამივიწყოთ. მე აქ ჯერ ჯერობით სულს ვატარებ ქართულად და მიწაში ჩავძვრები ქართული სულით და სხეულით... უნდა ჯვარი დამაწერონ და უნდა არაბული ყურანი ჩამიკითხონ, სულ ერთია ქართველი კაცისთვის...

პატივისცემით...

მარად თქვენი ძმა

ვახტანგ მალაყმაძე (ჰაირი ჰაირიოღლუ)

მისამართია: Hayri Hayrioglu

Hamidiye Mah. Suyolu cad.





Kafkas Apt.No:114/4


16410-inegol/bursa

ტელეფონი: 0224.713 36 36 ინეგოლი/თურქეთი¹

ბატონ ვახტანგ მალაყმაძეს ახლო მეგობრობა აკავშირებდა იბრაჰიმ გორაძესთან, მუჰამედ ვანილიშთან, ალი თანდილაგასთან, ლია ჩლაიძესთან, ოთარ და თამაზ ჭილაძეებთან, მარიამ ლორთქიფანიძესთან, ფრიდონ ხალვაშთან, წათე ბაწაშთან, გურამ გალოგრესთან, შალვა გაბესკირიასთან, ჯუმბერ კოპალიანთან, გურამ ლორთქიფანიძესთან, ოთარ ფუტკარაძესთან და ქართველი საზოგადოების სხვა თვალსაჩინო წარმომადგენლებთან.

¹ ჰაირი ჰაირიოღლუს არქივი, წერილები.





ოთარ ფუტკარადის მიერ მომზადებული რეპორტაჟი:

„ჩვენებურები (Cveneburebi) – მოთხრობები თურქეთელ ქართველებზე

1 აგვისტო, 2014.

თხრობა მეცამეტე ვახტანგ მალაყმაძე (Hairi Hairioglu): „ჩემი სურვილია, დავანახო თურქეთის საქართველო, მისი წარსული, დღევანდელი“.

ჰაირი ჰაირიოღლუ – ვახტანგ მალაყმაძე – თურქეთის რესპუბლიკის ბურსას ვილაეთის ქალაქ ინეგოლში მოღვაწე მწერალი და მთარგმნელია. მასთან საუბრის ეს ჩანაწერი გავაკეთე 1988 წელს, როცა ბატონი ვახტანგი ილია ჭავჭავაძის იუბილეზე თბილისს მოიწვიეს და დედაქალაქიდან ბათუმსაც ესტუმრა. გარკვეული მიზეზების გამო ეს ინტერვიუ აჭარის რადიოს ეთერში სამი წლის დაგვიანებით, 1991 წელს გადაიცა.

– **ბატონო ვახტანგ, ჩვენთვის ცნობილია, რომ თქვენ ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობას ეწევით თურქეთ-საქართველოს ლიტერატურული და კულტურული ურთიერთობების გაღრმავება-განმტკიცებისთვის. გვიამბეთ თქვენს ამ საქმიანობაზე.**

– წარმოშობით მაჭახლის ხეობიდან ვარ. ჩემი წინაპრები 110 წლის წინათ წასულან თურქეთში, ოსმალისა და რუსის ომის დროს. ქართველობა თურქეთში მიყრუებული იყო ბოლო ხანებამდე. ბევრი არაფერი ვიცოდით ჩვენი სამშობლოს შესახებ. მიზეზი კი ჩაკეტილი საზღვარი იყო, არ იყო ერთმანეთის ურთიერთობა, თითო-ოროლას თუ გვექონდა წარმოდგენა ჩვენს სამშობლოზე. მე ადრე ვიყავი დაინტერესებული და დავიწყე მუშაობა საქართველოს ისტორიაზე, ქართულ ლიტერატურაზე, ფოლკლორზე. არხატაში (არქადაშ (თრქ.) ამხანაგი (ო. ფ.) მყავდა, ახმედი, იმან გამიღვიძა ეს ინტერესი...

– **ახმედ მელაშვილი, არა?**

– დიახ, აქაც მოსულა მისი სახელი... მე და ახმედმა გადავწყვიტეთ, დაგვეარსებინა ჟურნალი და მასში დაგვებეჭდა ჩვენი შეგროვილი ცნობები საქართველოს შესახებ, რათა ყველას შეესწავლა – საქართველო რა არის, როგორია მისი ისტორია, ენის ხასიათი, რით განსხვავდება ანატოლიურისგან და ასე შემდეგ... დავაქვით „ჩვენებური“.

– **ეს სახელი რატომ შეურჩიეთ?**

– ჩვენ დიდხანს ვიფიქმანეთ, რა დავარქვათ ჩვენს ჟურნალსო. საქართველო ისე ცნობილი არ იყო თურქეთში, რომ ეს სახელწოდება ყველას გაეგო. თურქეთელ ქართველებს შორის გავრცელებულია გამოთქმა – „ჩვე-

ნებური კაცი“, „ჩვენებური ლაპარაკი“ და ჩვენ ვიფიქრეთ, რომ ეს სახე-
ლწოდება უფრო გასაგები იქნებოდა ჩვენებურებისთვის და ჟურნალსაც
„ჩვენებური“ დავარქვით.

– როგორც ვიცი, ამ ჟურნალის სულ რვა ნომერი გამოვიდა...

– დიახ, სულ რვა ნომერი გამოვიდა. მეხუთე და მეექვსე ნომრები
სტოკჰოლმში დავბეჭდეთ. იქ გვყავდა მდიდარი თანამემამულე – შალვა
თევზაძე, სინოპიდან, და ის გვეხმარებოდა. მეშვიდე და მერვე ნომრებიც
მას უნდა დაებეჭდა, მაგრამ ბევრი ხარჯი უნდოდა და შემოგვითვალა:
მეტს ველარ ავიტან, გიბრუნებთ მატერიალებს და რაც გინდათ, ის უქე-
ნითო. ბოლო ორი ნომერი ერთად გამოვეცით სტამბოლში. მერე ჩემი ამხა-
ნაგი მოკლეს ანარქისტებმა – რჩეული თურქი ადამიანების ერთად. ჩვენც
შევწირეთ ქართველი ბოძი კაცი და საქმე შეფერხდა.

ახმედი ხშირად მეტყოდა: ვახტანგ, ახლო მომავალში იზმირში იქნება
საბავშვო ჟურნალების საერთაშორისო გამოფენა და შენ უნდა ეცადო, ქა-
რთული ზღაპრები ან მოთხრობები თარგმნო და იქ შეჯიბრებაში გავიტა-
ნოთო. ახმედის სურვილი შევასრულო-მეთქი, ვიმუშავე ამაზე – ქართუ-
ლი ზღაპრები გედევიტანე თურქულზე. პირველმა ჩემმა წიგნმა დიდი
ინტერესი გამეიწვია თურქეთის განათლების სამინისტროში...

– დიახ, ჩვენამდეც მოაღწია ამბავმა, რომ თქვენი ნათარგმნი ზღაპრე-
ბი თურქეთის განათლების სამინისტრომ სასკოლო პროგრამაში შეიტანა...

– მათში გადმოცემულია კარგი ზნე-ჩვეულებები, კეთილშობილი
ადამიანების მაგალითი და ყველა მოსწავლემ შეისწავლოსო. სამინისტ-
რომ ურჩია, დასაწყის კლასებში ესწავლებინათ. ამან წამახალისა და გავა-
გრძელე მუშაობა. შემდეგ გამოვეცი „გუნეშინ ქზი“ – „მზის ასული“. მასში
ექვსი ზღაპარია ქართული. ამან დიდი პოპულარობა მეიწვია... მაქვს მზად
მოთხრობებიც, მალე გამოვა. საქართველოს უძველესი ნაწილის, ლა-
ზისტანის შესახებ ცოტა რამეა ნათქვამი თურქულ ლიტერატურაში. ბათუ-
მში პირველად რომ ჩამოვედი, შევიძინე „ლაზეთი“ – მიხეილ ვანილიშის
და ალი თანდილაგას წიგნია. ვთარგმნე და მისი გამოცემა იკისრეს თურ-
ქეთელ ლაზებმა, ახლა სტამბაშია და მალე გამოვა სათაურით: „ლაზისტა-
ნის ისტორია და ეთნოგრაფია“. თბილისში ერთმა ამხანაგმა გამიმზადა
კავკასიური ორთოდოქტონი ხალხების ეროვნება, მათი ენა, ჩაცმულობა,
ზნე-ჩვეულებები, ფოლკლორი... ძალიან ვრცელი წიგნია და ამაზე მინდა
ვიმუშაო. ეს უფრო მეტს გამოადგება – აფხაზებს, ჩერქეზებს, დადესტნე-
ლებს, რომლებიც ჩვენი ორთოდოქტონია, ქართველების... თურქულ-ქა-
რთულ ურთიერთობებს დიდი ამაგი დასდო იბრაიმ გორაძემ. მან თარგმნა
ქართულად „გველების შურისძიება“, „ჭორფლიანი ქალი“, „ინჯე-მემედი“,

„ქალბატონის მამული“, „უცნობი ქალი“. ასევე იბრაიმმა თურქულზე გადმეიტანა „დიდი მოურავი“ – გიორგი სააკაძის შესახებ. ეს წიგნი ეხება სამ ერს – საქართველოს, ოსმალეთს, სპარსეთს...

– **ალბათ, დიდი ინტერესითაც კითხულობენ...**

– დიდი ინტერესით შეხვდა თურქი ხალხი და ახლა ჩვენთან ძალიან შეყვარებული წიგნია. კიდევ თარგმნა „ჩაუმქრალი კერა“ – იუსუფ ფაღვასი. ჩვენი იბრაიმის ნათარგმნი კიდევ გვაქვს ჩაბარებული სტამბაში მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობები და სხვა წიგნები. თბილისში ძალიან დიდი ხელშეკრულება დადეს თურქმა ცნობილმა პოეტმა თახსიმ სარაჯმა „ვეფხისტყაოსნის“ თურქულად გადატანაზე. ბჭკარედი აქ გამზადდა, თბილისში (სამწუხაროდ, ვერ მოესწრო). თუმცა მოგვიანებით რუსთაველის უკვდავი პოემა თურქულად აამეტყველა და გამოსცა სამსუნის უნივერსიტეტის პროფესორმა ბილალ დინდარი-მიქელამემ. ცალკეული თავები თარგმნა აგრეთვე ახმედ მელაშვილმა და თავის ჟურნალ „ჩვენებურში“ გამოაქვეყნა. სამწუხაროდ, „ვეფხისტყაოსნის“ ბოლომდე თარგმნა არ დასცალდა (ო. ფ.). მე და ახმედმა გავამზადეთ ნაშრომი – „გურჯისტანი“. ეს ძალიან ფართო ნაამბობია საქართველოზე, მის ისტორიაზე, ფოლკლორზე...

– **ბათუმში თქვენ გვეწვიეთ თბილისიდან, სადაც ილია ჭავჭავაძის დღეებში მონაწილეობდით. შთაბეჭდილებები გაგვიზიარეთ.**

– დიახ, მე საქართველოს მწერალთა კავშირმა მომიწვია დიდი ილიას 150 წლის იუბილეზე. სიტყვით გამოვედი სხვადასხვა დარბაზებში, ვილხინეთ, ვიქეიფეთ... კახეთშიც ვიყავით... თბილისი, საქართველო... მე ცხრა წლის წინათ ვიყავი... ახლა სულ განსხვავებით ვიპოვე... განვითარებული... ადამიანებზე ბევრი ავტოები ქუჩებში... ადამიანები – სულ ახალგაზრდები, მოხუცები... კეთილი ყველა, ლამაზად ჩაცმულ-დახურული, კოხტად გამოწყობილი... ამყად დადიან, საუბრობენ, ყიჟინობენ, ყანწებს წევნ. მე მგონი, საქართველოში სულ ბაირამი ყოფილა... სხვანებიც ამბობენ, თურქეთიდან ჩამოსული – ჩვენ რომ ვიტყვით ჯენნეთიო (სამოთხე), ალბათ, აქაურობა არის, საქართველო არისო, ამბობენ. ამერიკელი ქართველოლოგი კიმი ჩემი ამხანაგია. შემჩვილა, ეს საქართველოს როგორ გუდუფხადოთო, ამდენი ხარჯი რომ გასწია ჩვენზეო. მე ასე ვიზამო: ლექციებ გავაკეთებ უნივერსიტეტებში, ამერიკის სხვადასხვა შტატებშიო; ფოტოებს ვაჩვენებ, სლაიდებს ვაჩვენებ, კულტურულ მატერიალებს ვაჩვენებ... შენ რა უნდა გააკეთო, მკითხა. მე შემიძლია შენზე მეტი გავაკეთო-მეთქი, – ვუთხარი. სახლში დიდი საწიგნე მაქვს, 40 წლის მოგროვილი მატერიალები მაქვს და ყველა დარგი შემიძლია ვაჩვენო თურქეთს – საქართველოს წარსულიც და დღევანდელიც და ამით გადავუხდი იმ დიდ

ამავს, რაც ჩემმა სამშობლომ ჩემთვის გასწია. ამ სურვილით ვემშვიდობები ჩემს ქვეყანას...

1988 წ. ჩაიწერა ოთარ ფუტკარაძემ¹.

ჰაირის დიდი სიხარული ეწვია 1996 წელს, როდესაც თურქეთში სტუმრად იმყოფებოდნენ სასიქადულო ქართველი მწერლები: ოთარ და თამაზ ჭილაძეები, მეცნიერები: ლია ჩლაიძე და წათე ბაწაში. მათ სტამბოლში ბატონი გურამ ხიმშიაშვილი (მუსტაფა იაკუთი) მასპინძლობდა. ისინი შეხვდნენ ქართველებს სტამბოლში, იზმირსა და ბურსაში². ბუნებრივია, რომ ძვირფას სტუმრებს სიხარულით შეეგება ჰაირიც.



თამაზ ჭილაძე, ვახტანგ მალაყმაძე, იუქსელ მელაშვილი, ლია ჩლაიძე, ოთარ ჭილაძე

¹ ოთარ ფუტკარაძე <https://www.facebook.com/notes/239195259589386/>

² მუსტაფა იაკუთი (გურამ ხიმშიაშვილი). „თამაზ და ოთარ ჭილაძეები თურქეთში“. – ჟ. „ჩვენებური“, დეკემბერი, 1996.

ძალიან გახარებია ჰაირის თურქეთში ცნობილი ოქრომჭედლის მანაბა მაჰომედოვას სტუმრობაც 1989 წელს. ქალბატონი მანაბა ინეგოლში გიორგი ირემამემ ჩაიყვანა და მასთან საზეიმო შეხვედრა შედგა ინეგოლის ქართულ საზოგადოებაში. უკანა გზაზე გიორგიმ ქალბატონი მანაბა იალოვას გზაზე დაღესტნელთა სოფელშიც მიიყვანა. ამ სოფლებში დაღესტნელებმა გიორგის და მანანას უთხრეს, რომ ზემოთ მალა ქართული სოფელიც არისო. გიორგი ირემამე: „ავედით ამ სოფელში. ჩაიხანასთან ორი მოხუცებული იჯდა. ისეთი ქართული სახეები ჰქონდათ, რომ მივხვდი, ქართველები იქნებოდნენ. მანქანიდანვე დავუძახე: გამარჯობათ, ბიძაებო! ორივე ფეხზე წამოხტა, ჩვენებურო, საიდან მოხველო. გადაგვეხვივნენ და ცოტა ხანს ვისაუბრეთ“.



*მანაბა მაჰომედოვა, ვახტანგ მაღაყმაძე,
ეკა ირემამე-მელაშვილი, ნინო ირემამე,
მამია დუმბაძე და სხვები.*

ვახტანგ მალაყმაძე (ჰაირი ჰაირიოღლუ) მორწმუნე მუსლიმი გახლდათ, მაგრამ ნებისმიერი საზოგადოებრივი შეხვედრის ან დისკუსიის დროს მკაფიოდ ავითარებდა აზრს, რომ მთავარი ქართველების ერთიანობაა, მიუხედავად რელიგიური განსხვავებულობისა. ეს მომენტი ფრიად საყურადღებოა, რადგან ქართველებმა ჩვენი შემდგომი ეროვნული განვითარება სწორედ ასეთ ხედვაზე უნდა ავაგოთ.

არქივის მოწესრიგების დროს ჩვენი ყურადღება მიიქცია ვახტანგ მალაყმაძის წერილთა ერთმა ჯგუფმა, რომელიც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორისადმია გამოგზავნილი 1984-1990 წლებში.

წერილები დიდი სულიერი მუხტითაა დაწერილი მორწმუნე მუსლიმი კაცის მიერ, რომელიც პატივს სცემს ქრისტიანულ რელიგიას და ქრისტიან ქართველთა სულიერ მამას საკუთარ „მამად“ აღიქვამს. ერთ-ერთ წერილს ასეც იწყებს: „თქვენო უდიდესობა და უწმიდესობა, ჩვენო მამავ... გახლავართ თურქეთელი ქართველი მუსლიმანი ჰაირი ჰაირიოღლუ, რომელმაც გინახულეთ 1978 წელს თქვენს დიდებულების ტახტზედ და ვისაუბრეთ“.

წერილი საკმაოდ ვრცელია. მასში გამოსჭვივის დიდი ტკივილი, გამოწვეული სტამბოლის ქართველთა კათოლიკური სავანის მდგომარეობით და იგი სთხოვს დახმარებას უწმინდესს, რათა მან რეკომენდაცია გაუწიოს ქართველი კათოლიკე მღვდლების მომზადებას და ჩასვლას სტამბოლში სამოღვაწეოდ, რითაც გადარჩება სამონასტრო კომპლექსიც და ბიბლიოთეკაცო. ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც თვალსაჩინოა ვახტანგ მალაყმაძის ეროვნული ხედვის ძირითადი ასპექტების თანხვედრა წმიდა ილია მართლის ეროვნულ კონცეფციასთან.

არქივში დაცული სხვა წერილი სრულად მოგვყავს, რადგან იგი მრავალმხრივ საყურადღებოა:

„ჩვენი ერის უწმიდესო მამავ, პატივცემულო ილია II.

უპირველეს ყოვლისა გემთხვევით ხელებზე და უდიდესი პატივისცემით და მამა შვილურ სიყვარულით...

მსოფლიომ აშკარად ნახა, რა მოუვიდა ქართველ ერს 9 აპრილს და შემდეგ შავზნელ დღეებში... ყველაფერი თავის დროზე ვათვალყურეოდ თურქეთელმა ქართველებმა, რაც შევძელით. მაგრამ დღემდე ამის საწინააღმდეგო ხმა ვერ მოგაწვდინეთ სამწუხაროდ. მტერის საწინააღმდეგო პროტესტები ვერ გამოვაცხადეთ... ამის მიზეზი არის ჩვენი მდგომარეობის პირობები...

ქართველი ერის ცხოვრებაში ისეთი დღე არ თენდება, რომ გულდამწყვეტი ამბები არ ჩამოგვივიდეს... დღეს კი ოთარ გიგინეიშვილის სიკვდილის ამბავი მივიღეთ სამწუხაროდ... ცხონებული და უბადლო მამუ-


ლიშვილი ოთარი თურქეთელ ქართველების შორ ძალიან კარგათ ცნობილი და შეყვარებული იყო. მეტად ვწუხვართ... პირველი და უკანასკნელი იყოს ამოდენა ტირილი ქართველი ერისა... ისტორია გვაჩვენებს, რამოდენი ასეთი მწარე დღეები განუცდია ჩვენ ერს თავის ცხოვრებაში... აღარ ყოფილიყოს მომავალში ასეთი უბედური დღეები... ამინ...

ჩვენო უწმიდესო მამავ, ღმერთის შეყვარებული ქართველი ერი კეთილი და სასიამოვნო დღეების ღირსიც ხომარა... აჰა წავიკითხეთ თურქულ ჟურნალებში ასეთი საბედნიერო ამბავიც. თურმე დალოცვილა და მოგნიჭებიათ ის ყველაზე მაღალი ტიტული, თურქულად რომ ვთქვათ პატრიკის უზენაესი ადგილი.

გილოცავთ ახალ ტიტულს და გამჩენ ღმერთს ვთხოვთ არასოდეს არ დაგაკარგვინოს არც წუთისოფელში და არც საიქიოს. სულ მაღალ ადგილზე იყოს თქვენი წარმატებულობის ადგილ სამყოფელი. ამინ.

მსურს 1990 წელს აკაკი წერეთლის საიუბილეო ცერემონიას დავესწრა. თუ მოვახერხებ ამას, შევხდებით და ვიხარებთ, ვისიამოვნებთ ღმერთით... ხელეებზე კოცნით...

**მარად თქვენი კეთილის მსურველი
ვახტანგ მალაყმაძე/ჰაირი ჰაირიოღლუ
ჩემი მისამართი: თურქეთი¹.**



ვახტანგ მალაყმაძე ანჩისხატში მამა რევაზ ტომარაძესთან და მონაზვნებთან ერთად

¹ ჰაირი ჰაირიოღლუს არქივი, წერილები.

- Haydi güreşçiler meydana çıksın bakalım, diye buyurdu. Halk merakla minderin etrafına iyice sokularak beklemeğe başladı. O tarihlerde güreş sporu Tatarlarda olduğu gibi Gürcülerde de bilinir, yapılırdı. Peikar-Han güreşi çok sever, her güreşte bulunur, ilgiyle izlerdi. Ünlü pehlivanlar ırk, din, dil farklı gözetmeksizin birbirleriyle kıran kırana yarışarlardı. Fakat Kaheti'de genellikle Tatarlarla Gürcüler rekabet eder, güreş tutarlardı. Tatar güreş geleneğine göre kendi pehlivanları belden yukarı çıplak, vücutları yağlı olarak sahaya çıkarlardı. Bu durum rakiplerin tutunmasını güçleştirirdi. Gürcü güreş geleneğinde ise çıplaklık yoktu. Sahaya özel güreş giyişiyle çıkılırdı. Ama buna rağmen genellikle Kaheti'de galibiyet Gürcü güreşçilerin olurdu. İki gün önce KOZMANİŞVİLİ adlı Gürcü pehlivan Tatarların ünlü pehlivanlarından birini kötü hırpalamış, omuzunu kırmıştı. Bu durum Tatarları fena kızdırmıştı. Hatta bizzat Peykar-Han da üzüntüsünü gizleyememiş, bu defa ABDUŞAHİL adlı bir insan azmanını getirtip;

- Gürcülerle güreşe tutuşmak ister misin Abduşahil? Hadi, soyun, onlara iyi bir ders ver, diye emretmişti. Abdulşahil denen adam asaletsiz, ünvensiz bir ailedendi, fakat kendi özel gayretiyle rütbe alıp Peykar-Hanın süvari ordusuna komutan olmuştu. Artık bu rütbe sahibi Abduşahili'e güreşe çıkmak yaraşmazdı, ama Han'ın hatırını kıramayıp bunu kabul etmek zorunda kaldı. Abduşahil soyunup meydana çıktı. İlk bakışta bu adam insan değil, alamet bir siyah mermer heykeli andırıyordu. Simsiyah sakalları geniş göğsüne dökülmüş, pala bıyıkları iki çam dalı gibi yana uzanmıştı. İri kara gözleri, gür ve karanlık kaşlarının gölgesinde alev alev yanıyordu. Çalgıcılar artık güreş havasını çalıyorlardı. Abduşahil kendisinden beklenmeyen çeviklikle meydanda hoplayıp zıplayıp gösteriye başladı. Bir ara iki avucunu semaya kaldırıp bir şeyler mırıldandı, belli ki Tanrıdan zafer diliyordu. Sonra yere kapanıp minderi üç defa öptü, O

¹ *ÇVENE BURI Kafkasioloji Dergisi*/"ჩვენებური". კავკასიოლოგიური კრებული, #6-7, სტამბოლი, 1979. გვ. 22-23.

heybetli görünüşü ile meydanın etrafında el çırparak kesik kesik sıçramalarla ayak parmak uçları üzerinde yaylana yaylana tura başladı. Bir yandan da derin derin nefesler alarak kıllı göğsünü şişiriyor, ciğerlerine talim ettiriyordu. Tek dizi üzerinde çöküp etrafını dikkatle inceledi, gözüyle Gürcü rakibini arıyordu. Tatar seyircilerin sabrı tükendi, fakat Gürcü pehlivan henüz bir yerlerde görünmüyordu. Abduşahil sahada bir tur daha attı, etrafına gene bakındı fakat hayır, hala gelmemişti.

-Ey Gürcüler, hani nerede o sizin galip pehlivanınız Kozmanişvili, diye sordu Han. Kalabalık arasından Kozmanişvili:

-Adamla güreşirim, böyle insan azmanıyla değil, diye cevap verdi Han'a.

-İyi öyleyse, siz bilirsiniz, yenilgi ve utanç sizindir, diye mırıldandı Han, tatlı tebessümle ardından;

-Meydanda üçüncü turunu da atıp öyle giyin, adet yerine gelsin, dedi Tatar pehlivanına. Güreşçi, Han'ın dediğini yaptı ve gururla meydandan ayrılacağı sırada Tatarlar sevinçle sakallarını sıvazlayıp bıyık altından gülüştüler. Gürcüler arasında bir fısıltı başladı, kısa süre sonra tiz bir ses ortalığı çınlattı;

-Meydanı terk etme Abduşahil, çalgıcılar güreş havasını vursun, diye haykırdı. Abduşahil şaşkın yerinde çakılı kaldı, merakla etrafına bakındı. Karşısına ince yapılı, uzunca boylu, dağınık saçlı meçhul bir genç kaplan gibi atılıp çıktı. Tatar pehlivanı, rakibini görünce tekrar çevik hareketlerle yerinden sıçramağa başladı, kollarını iki yana açarak dikkat kesildi. Meçhul Gürcü genci aniden Abduşahilin bacaklarına dalıp onu meşe kütüğü gibi yere yuvarladıktan sonra, sahanın kenarına çekildi.

-Hayır, hayır olmadı, öyle olmaz, diye feryadı basıtlar Tatarlar. Şaşkınlık içinde bulunan Abduşahil toparlanıp ayağa kalktıktan sonra;

-Ben daha dua ediyorum, usulsüz saldırdı, bunu kabul etmem, diye itiraz etti. Gürcü gencini zorla tekrar sahaya çıkardılar. Meçhul genç, Abduşahile:

-Ey pehlivan müsveddesi tamamla duanı haber ver öyle tutuşalım, diye seslendi. Abduşahil manda gibi öfkeyle Gürcü gencine atıldı, fakat bu sıska çevik genç bir türlü ele geçmiyor, saldırıları başa çıkıyordu. Bu iş bir süre böyle sürdü. Öfkesini yenemeyen Tatar, Gürcü gencinin boş yanını kolluyordu. Bir ara Gürcü'nün, Tatarın kolunu kapmasıyla çuval gibi sırtına olması ve yere çalması bir oldu. Böyle boylu boyunca uzanıp kalmıştı bir süre kıpırdayamadan. Başı-Açuk adıyla ünlü Gürcü genci aceleyle Abduşahil'in göbeğine basıp atlayarak halkın içine daldı. Gürcü seyirciler gülüşürken Tatarlar;

-Şeytan, şeytan o, diye söylendiler.

Gürcüler gülüşürken, Tatarlar üzüntüyle Abduşahili kollarından tutup kaldırarak oradan uzaklaştırdılar.

DEMAGOJİ UZMANLARI¹

Tarih ve sayısını belirleyemediğim „KARTEPE“ dergisinden alıntı olduğu anlaşılan „GÜRCÜLER“le ilgili sözde „ARAŞTIRMA“ bir yazı elime geçti. Bu yazıyı ibret ve hayretle okudum. Bu kadar ciddi bir konuda bu denli sorumsuzca yazılar yazmak talihsizliktir.

Öteden beri Gürcü Tarihini, coğrafyasını, etnonomisini, tofonomisini tahrif ve saptırma hususunda uzmanlaşmış bazı isimler mevcuttu. F. Kırzioğlu, H. Göktürk, M. A. Özder bunların başında geliyordu. Bunlara şimdi bir yenisi daha eklendi. Kendisin'e „Araştırmacı, eğitimci, yazar“ sıfatını yakıştıran M. Bhçecidir bu. Kartepe dergisi hiç değilse ansiklopedik kaynaklara başvursa, bu karanlık isimleri kaynak edinmese sanırım daha bilimsel yola girmiş olurdu. Şu da inkar edilemez ki: bu derginin Gürcüler hakkındaki yazısında samimi ve sevecen olduğu sayfalarında Türkçe açıklamalı Gürcüce Alfabe vermesinden anlaşılmakta. Ne var ki baştan sonra yanlış olan bu araştırma yazısıyla birlikte gürcü alfabesi de yanlışlarla doludur.

Ben burada KARTEPE dergisinin yanlışlarını düzeltmeğe çalışırken Demagoji uzmanlarını da tarih sayfalarında bir nebzecek dolaştırmak istiyorum.

1. LARTEPE dergisinde:

„GÜRCÜLER ORTAASYA'DAN GÖÇ EDİP ARTVİN DOLAYLARINA YERLEŞEN TÜRK İSKİT BOYLARIDIR“ denmektedir.

DOĞRUSU ŞÖYLEDİR: Yer küresi üzerinde yaşayan insanlar OTOKTON (Yerli) ve (AKINCI, İSTİLACI) olarak ikiye ayrılabilir. Gürcüler şimdiki yurtlarında OTOKTAN olarak yaşayan milletlerden biridir. Hiçbir yerden göçüp gelmedikleri gibi kimsenin topraklarına da akınlar yolaıyla yayılmamışlardır.

Gürcüler: Kuzeybatından güneydoğuya doğru yatay bir çizgi çizen büyük Kafkaslar silsilesi ile batıda Trabzon, Gümüşhane, Erzurum, Van yarım ayı çizgisi içerisinde kalan sahanın yerli insanlarıdır. İlk ataları olan KARTLOS, NUH tufanından sonra orada görülmüş o topraklara adını vermiştir.

Gğrcüler Hamitik ya da Samitik grubun akrabalar değildir. Onlar YAFETİK grubunun en büyük üyesidir ki bu grubu oluşturan halklar şunlardır. KARTVEL ailesinin üyeleri: Güneyde Gürcüler, Megreller, Tçan-Lazlar, Svanlar. Kuzeyde: Adıge ailesinden: Kabardey-Çerkesler, Absuva-Abhazlar. Çeçen-İnguşlar, Avarlar, Lezgiler. Şimdiki yerleri Azerbaycanın elinde bulunan Albanlar ve bunların alt grupları.

Gürcüler ortak milli ad olarak KARTLOS atanın adını kullanırlar. Yabancı uluslar onlara değişik isimler verirler. Antik çağ Elen'leri Gürcüstan'a ilk ayak bastıkları zaman gördükleri manzara karşısında onlara (GEORGİA) yani (TARİM ÜLKESİ) demişlerdi. Tüm Avrupa dillerine işte bu eski Elence kaynak


¹ ჩვენებური კულტურული კრებული, ნომ. 1 (8), 1993, გვ., 29-33.

olmuş, Türkler, İranlar ve Araplar da bu ismi kendilerine özgü biçimiyle kullanmaktadırlar...

Tarihin babası sayılan Herodot zamanında Gürcüler (APER, SASPER, İBER) adıyla anılıyorlardı. Bu isim bugün Erzurum ilinin İSPİR ilçesi adında yaşamını sürdürmektedir. Kutsal Tevrat'taki TEKVİN süresinde belirtildiğine göre Gürcüler MUSA PEYGAMBER zamanında (MOSOİ, MESEH, MESHİ) adıyla anılıyorlardı. Osmanlı Generali tarihçi Yusuf İzzet Paşa (Kafkas Tarihi)'nin GÜRCÜSTAN bölümünde bunu pek güzel anlatmaktadır.

Tarih boyunca GÜRCÜ ÜLKESİ üzerinden sayısız istilalar sel gibi geldi geçti. Romalılar, İranlar, Araplar, Moğollar, Ruslar, Osmanlar ve İslama girdikten sonra Osmanlıların kıskırtmasıyla Dağıstanlılar vb. Ama hiçbir istilacı güç onları yurtlarından söküp atmağa, asimile etmeğe muvaffak olamadı. Sadece Ahaltsihe çevresinde kimsen islamaşıp Türkleşen MESHİ GÜRCÜLERİ hariç...

Gürcü milleti yeryüzünde kendi özel alfabesiyle okuyup yazan, edebi anıtlar oluşturan 14 yüksek kültür sahibi uluştan biridir. Üstelik milli alfabesi süreç içinde üç evrim geçirmiş, bugünkü şeklini almıştır. Her üç alfabe de yerine göre işlevini sürdürmektedir.



KAFKASYANIN YERLİ (Paleolitik) HALKLARI İLE YABANCILAR ŞEMASI. KAYNAK : Milliyet BÜYÜK ANSİKLOPEDİ Cilt 7. Sayfa 2745.

2- KARTEPE Dergisinde:

“GÜRCÜ DİLİ ERMENİCENİN ÇOK KABASIDIR” denmektedir.

DOĞRUSU ŞÖYLEDİR:

Gürcü dili Kafkas Otaktan (yerli) dil ailesinin en büyük ve zengin olanıdır. Bu dil ailesinin bağlı bulunduğu ocak YAFETİK DİLLER ocağıdır. Ermeni dili ise HİNT – AVRUPA dil ocağına bağlı olup İsa’dan epey önce Balkanlar üzerinden gelip İzmit, Konya, Ermenek, Toroslar, Sis (Kozan), Van atlama basamaklarıyla Anadoluyu baştan sona geçip Ararat çevresine yerleşmiştir. Ermeni dili bir Avrupa dili olmasına rağmen diğer bir ARİ dil olan Farsçanın o kadar etkisi altında kalmıştır ki bugün İran dil ocağına bağlı Farsça, Kürtçe, Asetince ile birlikte bir şube oluşturmaktadır. Ermeniler henüz Avrupa’daki yurtlarından çıkıp doğuya yönelmeden önce Gürcüler kendi orijinal dilleriyle konuşur, okur yazarlardı. İsa’dan önce IV. yy da Gürcü Kralı Parnavaz henüz Gürcü alfabesini icad etmeden Gürcüler yabancı komşu milletlerinin alfabelerinden yararlanmışlardır. Eski Elen ve Süryani (Arami) alfabeleri bunlar arasında sayılabilir.

3- KARTEPE dergisine göre:

„MEGRELLER ORTA ASYADAN GÖÇ ETTİKLERİNDE İSKANDİNAV ÜLKELERİNE GİDİP YERLEŞMİŞLER“.

DOĞRUSU ŞÖYLEDİR: Megreller Kartvel soy ve dil ailesinden MEGREL-LAZ, ÇAN alt grubunu oluştururlar. Başka bir deyişle Megreller, LAZ (çani) ailesinin Hristiyan kesimi insanlardır. Bu halk tarih boyunca şimdi yaşamakta oldukları Gürcüstan’ın GURYA, İMERETİ, SVANETİ, ABHAZETİ çemberi içinde kalan SAMEGRELO bölgesinden bir adım uzaklaşıp başka bir yere göç etmediler. Megrel, Laz, (Çani) Krallığı Absuva (Abhaz)ları da kapsayan saha içinde kuzeyden CİKETİ, Güneybatıdan Trabzon’u da içine alan kıyı şeridi boyunca İsa’dan çok önceleri kurulmuş KOLHETİ (Kolhida) adıyla pek ünlü idi. Antik Yunanlılar’ın ARGONAT (Altın post) öyküsü burada yaşanmıştı. Bu krallık salgıncı Roma ve İran sürtüşmeleri nedeniyle büyük nüfus kaybına uğramış İsa’dan önce I. yy’la doğru yıkılmıştı. Yerine LAZİKA kuruldu.

4- KARTEPE dergisine göre:

„GÜRCÜCE İLE LAZCA’NIN BENZERLİKLERİ VARDİR. GÜRCÜCEDEKİ „CO“ SÖZÜ LAZCADA „CE“ OLARAK TELAFFUS EDİLİR. BU DA ARKADAŞ ANLAMINDADIR“.

„DOĞRUSU ŞÖYLEDİR:

Yukarıda da söylediğimiz gibi LAZCA, MEGRELCE ve SVANCA ile birlikte KARTVEL (Gürcü) dil ocağının bir üyesidir. „ÇO“ sözcüğü her iki dilde aynen telaffuz edilir. Bu da „BİÇO“ kelimesinin kısaltılmış biçimidir. „Erkek, oğlan“

sözcüğünün karşılığıdır. Kızlara „GOGO“ dendiği için bazen bunun kısaltılmış şekil olan „GO“ da denmektedir. Bu da dişilik sıfatıdır. (Kız) sözcüğünün karşılığıdır. „Arkadaş“ anlamı taşımaz.

5- KARTEPE dergisinde (Selçuk Balaban) ağızdan:

„GÜRCÜSTANLI ŞAİR ŞOTA RUSTAVELİ'DEN bir MISRA SÖYLEYEBİLİRİM“ denmektedir ve ardından da „BİTZ AMODİ AMODİ NU EPAREBİ HONOZE“ Anlamı „Güneş doğ doğ saklanma duvarların arkasına“ imiş.

DOĞRUSU ŞÖYLEDİR:

Büyük Gürcü şairi ŞOTA RUSTAVELİ 12. yy da yaşamış. TAMAR DEDOPALİ'ye maliye bakanlığı yapmış „VEPHİS TKAOSANİ“ „Kaplana postu giymiş kahraman“ adlı manzum öykünün yazandır. KARTEPE dergisinde söz konusu edilen mısra ise RUSTAVELİ ile ilgili olmayıp, ondan 2000 yıl kadar önce henüz göksel dinler gelmeden. Gürcüler Güneşe, Aya, yıldızlara taptıkları dönemde Güneş Tanrıya söylenmiş yakarış sözleridir. Bu efsunlu sözlerin tamamı ve doğrusu şöyledir:

„Mze amodi amodi
Nu eparebi gorasa
Sitsives katsi mouklavs
Satzkali ager goravs“

„Mze dedea çemi
Mtvare maaaa çemi
Motsimtsime varskvlavebi
Da da dzmaa çemi“

Anlamı:

„Ey güneş doğ doğ
Saklanma dağların ardına
İşte soğuk adamı öldürmüş
Zavallı şurada yatmakta“

„Güneş anamdır benim
Ay babamdır benim
Panldayan yıldızlar
Bacım, kardeşimdir benim“

6- KARTEPE dergisine göre:

„BAGRATLI HANEDANI ESKİ OĞUZ BOYLARINDAN OLUP 575'DEN SONRA ÇORUF BOYLARINDAN ÇIKIP YUKARI ARAS BÖLGESİNDE HAKİMİYET KURMUŞLAR“.

DOĞRUSU ŞÖYLEDİR:

İsa'dan önce IV-III. yy. larda birleştirici Kral olan PARNAVAZ'dan önce ve sonra Gürcü Kralları herhangi bir aileye bağlı olmayıp yeteneğini kanıtlamış genellikle askeri kişiler boşalan kral tahtına otururlardı. O çağlarda tüm dünya milletlerinde olduğu gibi Gürcüstan'da da küçük küçük. Yerel krallıklar, derebeylikler vardı. İsa'dan sonra bu krallıklar FEODAL KRAL ünvanı aldılar.

Tarih İsa'dan sonra 826'yı gösterdiği yıl Tahta geçen Gürcü Feodali AŞOT (Kurapalat rütbell) 876 yılında ölünce yerine oğlu BAGRAT I. Kral oldu. Bagrat I.'in ölümünden sonra tahtı başkalarına bırakmayan çocukları artık geleneksel bir BAGRATION DİNASTİSİ (Hanedanı) kurmuş oldular. Bu Dinasti Gürcüstan'ın son Kralı DAVID XI.'e kadar yani 1801'e kadar idareyi sürdürdü.

Bagration hanedeni bir ara ülkeyi üç prensliğe bölerek bağımsız üç Gürcistan neydana getirdi. Bir bölümü merkezi Gürcistan, ikinci bölümü Samtshe-Saatabago (Meshet-Cavahet), üçüncü bölümü de Somhet (Ermenistan) topraklarını kap sıyordu. Osmanlıların 16. Yüzyıl ortalarına vardığına son verdikleri „ÇORUHBOYLU HİRİSTİYAN GÜRCÜ KVARKVARE HANEDANLIĞI“ Samtshe-Saatabago'nun uzantısı idi. Uyanık geçiren bazı fanatikler bu Hıristian Gürcü Kvarkvare hanedanlığının şeceresini çıkarıp bunların Oğuz Türklerinden olduklarını, kendilerinin de bu Hıristian Oğuz Atalarının torundan olduklarını iddia ediyorlar. Anadolu topraklarında hıristian Oğuz Krallığı görülmüş, duyulmuş şey midir? Bu karanlık fikirli adamlar Koskocaman, evrenselleşmiş Türk tarihçiler I. Hami Danişmendi, Prof. Osman Turan'ı, Yılmaz Öztuna'yı okumuyorlarmı? Tarihçi Profesör Sayın Faruk Sümer'in ANADOLU DA OĞUZLAR eserini görmediler mi? Görmedilerse ben onlara haber vereyim. Faruk Sümer Anadolu'ya yerleşmiş tüm Oğuz boylarının yerleşim birimlerinin isim listesini vermiş. Bu isim listesinde kuzey-doğu Anadolu bölgesinde hiçbir yer Oğuz boylu adını taşımamaktadır. Gürcüce: Kiraz'ı (arı balı), Demiri (Sarıklı Türk), Kaya dibini (Saka-Hazar), Bahçecitini (Moğol Türkü). Kraliçeyi (Dudu dilli, bal yuzlu kadın), Gölköy'ü (Tibet Türkü), Pehlivan güreşini (Çita, kargi oyunu) olarak çeviren demagoglar Faruk Sümer'i mutlaka okumalıdır.

BAGRATION AİLESİNİN MENŞEİNE GELİNCE: Bu hanede kralları Türk ve dünya kaynaklarına göre: Bir irani krallık olan „AHAMENİDLER'in yıkılmasıyla çevreye dağılan prenslerinin Gürcüstan'a sığınıp yerleşmeleri zaman içinde devlet idaresinde yüksek rütbe kazanıp KRALLIK düzeyine çıktıkları. 826 yılında da BAGRATION DİNASTİSİ'ni kurdukları anlatılmaktadır. Başka bir ahamenid Prensi MİTRİDAT'ın Doğu Karadeniz sahillerinde PONTUS'u kurması gibi.. Diğer bir söylentiye göre Bagration Kralları sık sık şöyle öğünürlermiş: „BİZİM AİLE DAVUD PEYGAMBERİN SOYUNDAN GELMEKTEDİR. ALLAH BİZİ GÜRCÜSTAN'A GÖNDERDİ Kİ ADİL DÜZEN KURALIM, HALKI

MUTLU EDELİM DİYE“ derlermiş. Tarihçi Profesör Şemsettin Günaltay ve bazı batı kaynakları bu sözlerden şu anlamı çıkarıyorlar. Bagratlılar halk arasında ULUHİYET (Kutsallık) kazanıp sevilirler, sayılırlar diye kökenlerini Musevi peygamberlerine bağlıyorlar. Böylece halk arasında Azizler payesi kazanmağa çalışıyorlar.. Menşeleri ne olursa olsun Bagrationlar örnek birer Gürcü. Saygın birer politikacı olarak Gürcü milletinin gönlünde taht kurmuşlardı. Bugün İspanya ve İtalya’da yaşamakta olan Bagration Prenslarını Gürcüstan’a getirip Tahta oturmağa çalışanlar bile vardır.

7- KARTEPE dergisi (Keramettin Gençtürk’ün ağzından) „ARTVİN VE BATUM YÖRESİ GÜRCÜLERİ 1893 YILINDA BATIYA GÖÇ ETMİŞLER“ demektedir.

DOĞRUSU ŞÖYLEDİR: 16. Yüzyıl içinde Osmanlı Orduları Gürcüstan sınırlarına dayanıp önce Lazistan’I sonra da “ÇORUH BOYU HİRİSTİYAN GÜRCÜ KVARKVRE HANEDANLIĞINI” ortadan kaldırıncaya Osmanlı idaresine giren Kars, Artvin, Şavşet, Açara, Ahalsiye, Lazistan, Erzurum’un bir bölümü Gürcüleri 270 yıllık bir süreç içinde İslamiyeti kabul ettiler. Bir yandan İran, diğer yandan Osmanlı egoizmi Gürcü milletini yokolmanın eşğine getirmiştir.

Buna dayanamayan Gürcü Kralı İRAKLİ II. 1790’lı yıllarda en yakın dindaşı Rusyaya muracaatla yardım istedi. Alman asıllı Rus generali TOTLEBEN askeriyle Gürcüstan’agelerek akla, hayale gelmedik taşkınlıklar, rezaletler yapmağa başladı. Buna dayanamayan Gürcü Kralı İrakli II. Savaşta aldığı yaraların da etkisiyle öldü. İraklinin çocukları Rusların da kışkırtmalarıyla taht kavgasına düştüler. Bunu bahane edinen hayırsız müttefik Ruslar Gürcü sarayına baskın düzenliyerek Tüm hanedanı hazineleriyle birlikte Petersburga taşıdılar. Gürcüstan’ı da Rusya’nın bir vilayeti olarak ilan ettiler. 1917 yılına kadar aslında hiçbir bölgeyi idareleri altına almayı başaramayan Ruslar 1877 yılında Balkanlarda Osmanlıya karşı açıkları savaş cephelerine Gürcüstan’ın AÇARA bölgesinden de bir cephe eklediler. Tüm cepheelerde savaşı kaybeden Osmanlılar sınırlarını daraltmak zorunda bırakıldılar. Bu arada eski Gürcü topraklarından AÇARA da Osmanlılardan koparılmış oldu. 270 yıllık bir süreç içinde islamiyeti kabul eden AÇARA gürcüleri karşılarında yeni patronları olarak Rusları görünce onlarla birarada yaşamaktansa Osmanlı ülkesine göçü yeğlediler. 1878, yani Hicri 1293 yılına raslayan bu göç (93 savaşı göçmenleri ya da) Kırım Savaşı göçü olarak ün yaptı.

Bugün Gürcü ulusu o felaketli günleri geride bıraktı. Türk ulusları gibi yabancı boyunduruğu boyundan sıyrınp attı. Gürcüler’in bağımsızlığını ilk tanıyan ülkelerden biri de Türkiye’dir. Bugün Türk-Gürcü ilişkileri sevgi ve güven temelleri üzerinde yükselmektedir. Bu dostuk ve kardeşlik havasından solumak hepimizin hakkıdır sanırım.

Hayri HAYRİOĞLU (Malakmadze)

უცხო ენების გავლენა ქართულ ენაზე¹

მსოფლიოს სხვადასხვა ერების სამეცნიერო, ტექნიკური და კულტურული ურთიერთობები ხდება მიზეზი ენებში ახალი, უცხო სიტყვების წარმოშობისა. იმ ქართველებისთვის, რომლებიც დიდი ხნის წინ მოსწყდნენ დედა-სამშობლოს და რომელთაც არ ჰქონდათ შესაძლებლობა თვალ-ყური ედევნებინათ თანამედროვე ქართული ლიტერატურისთვის, დიდ ინტერესს იწვევს ქართულ ენაში შემოსული უცხოური სიტყვები.

დედა ენა რომ დიდი სიწმინდით უნდა იყოს დაცული, ამის შესახებ ყურადღება გაამახვილა ბელგიის ქართველმა მოქალაქემ დავით ბერეკაშვილმა. მან გახეთ „სამშობლოს“ რედაქციისთვის გაგზავნილ წერილში მკაცრად გააკრიტიკა არსებული მდგომარეობა და სურვილი გამოთქვა, ქართული ენა დაეცვათ უცხო ენების თავდასხმებისგან.

ჩვენი თანამოქალაქის სურვილებსა და რჩევებზე არაფერია სათქმელი. ამასთან დაკავშირებით მას რედაქციამ მადლობაც გადაუხადა, თუმცა შეუძლებელიც კი არის მისი ყველა სურვილის განხორციელება და არც აუცილებლობა მოითხოვს ამას. მან ამ საკითხთან დაკავშირებით სრულყოფილი პასუხი მიიღო. მისი მოსაზრებებისა და სურვილების შესახებ საქართველოს ენათმეცნიერების ინსტიტუტის პროფესორს, ლექსიკოლოგ მიხეილ ჯობაშვილს ვაცნობეთ. ქვემოთ გთავაზობთ მიღებულ პასუხს:

ქართველ ხალხს თავისი ისტორიის განმავლობაში ძალიან ბევრ უცხო ერებთან უწყვედა პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები. ამ ურთიერთობებმა ქართულ ენაში უცხო სიტყვების შემოსვლას საფუძველი ჩაუყარა. დროთა განმავლობაში უცხო სიტყვები გაქართულდა. დღესდღეობით ბევრმა ქართველმა უკვე აღარ იცის, რომ ბევრი სიტყვა – საათი-Saat, სუფრა-Sofra, ხანჯალი-Hançer – არაბული სიტყვებია; ასევე ბალიში-Yastik, ბამბა-Pamuk, ქამარი-Kemer, ბულბული-Bülbül, ფანჯარა-Pencere – სპარსულიდან არის შემოსული. უკვე ყოველგვარი გაუცხოვების გარეშე ჩვენს მიერ გამოყენებული სიტყვები – კალამი-Kalem, მეღანი-Mürekkep – ბერძნულიდან, ოდა- Oda, ქურქი-Kürk – თურქულიდან არის შემოსული. ასევე ქართულში დამკვიდრებული სხვა სიტყვების – Bay-Bey-Ağa-ს ნაცვლად „მფლობელის“ მნიშვნელობით ვიყენებთ სიტყვა „ბატონს“. რაც შეეხება სიტყვა „პატრონს“, ლათინური სიტყვა Patronus, Patron-იდან მოდის.

გარდა ამისა, დღევანდელ ქართულ ლექსიკონში არის ისეთი უცხოური წარმოშობის სიტყვები, რომელთაც არც ვთმობთ და არც ვითავისებთ. მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ ზოგმა სიტყვამ ერთი კონკრეტული

¹ ÇVENE BURI Kültürel Dergi/“ჩვენებური“. კულტურული კრებული, მარტი, N1, სტოკჰოლმი, 1977. გვ. 23-25.

ერის ენაში კი არა, არამედ სხვადასხვა ენაში დაიმკვიდრა ადგილი, მათ საერთაშორისო სიტყვების სტატუსი უნდა მიენიჭოს (უნდა აღვიქვათ, როგორც საერთაშორისო სიტყვები).

მათი უმრავლესობა ბერძნული ან ლათინურია. დიდი ქართველი ლექსიკოლოგი სულხან-საბა ორბელიანი თავის ლექსიკონში საკმაოდ ხშირად იყენებს სიტყვებს: ისტორია, მათემატიკა, გეომეტრია, თეატრი, კატეგორია და სხვ.

მე-19 საუკუნეში მსგავსი უცხოური წარმოშობის სიტყვები იმდენად დიდი რაოდენობით შემოვიდა ქართულ ლიტერატურაში, რომ დამხმარე ლექსიკონის შედგენა გახდა საჭირო. ამ მიზეზით 1904 წელს ცნობილმა ქართველმა ენათმეცნიერმა იოსებ იმედაშვილმა „უცხო სიტყვათა ლექსიკონის“ სახელით ნაშრომი გამოაქვეყნა.

ქართულ ენაში უცხო სიტყვების დამკვიდრება ასე აიხსნება:

1-უცხო ძლიერი ლიტერატურიდან თარგმანის საშუალებით;

2-ყოველდღიური გაზეთების, აქტუალური ჟურნალების, მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონების რადიოსა და ტელევიზიების საშუალებით;

3-დროთა განმავლობაში გაზრდილი სამეცნიერო და ტექნიკური გამოგონებების საშუალებით;

ბოლო ოცი წლის განმავლობაში ჩვენს ენაში შემოსულ უცხოურ სიტყვებს, – რომელთაც ქართულში ანალოგი არ მოეპოვებათ, – როგორიცაა მაგ., კიბერნეტიკა, ელექტრონიკა, ტელეკომუნიკაცია, ტელევიზია და სხვ., ქართულ ენაში შესაბამისი სიტყვები არ გააჩნიათ და არც არის საჭირო.

დაახლოებით ოცი წლის წინ ქართულ ენაში დამკვიდრებული ყველა უცხოური წარმოშობის სიტყვების ქართული ვერსიების შექმნასთან დაკავშირებით კლევა ჩატარდა. ეს კლევა ნაწილობრივ წარმატებული აღმოჩნდა. გთავაზობთ რამდენიმე მაგალითს: ვაგონი (Vagon) – რონადა, ტელეფონი (Telefon) – ელსმენი, მეტრო (Metro) – ვოგზალი, ელექტრონული ლოკომოტივი (Elektrikli lokomotif) – ელმავალი და სხვ. ქართულ ენაში ჩატარებულმა კვლევებმა მკვეთრად აჩვენა, რომ სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინების გამოხატვა ბევრ სხვა უცხო ენაზე უკეთესად შეიძლებოდა. განსაკუთრებით დადებითად შეხვდა ქართველი ხალხი „თბო“-Tbo თავსართით ნაწარმოებ სიტყვებს, როგორიცაა, მაგალითად, თბო-მავალი-Dizel motoru და სხვ.

დღესდღეობით არც ერთ ერში არ მოიძებნება ენათმეცნიერი, რომელიც ქვემოთ მოცემულ სიტყვებს თავის ენაზე ანალოგს მოუძებნის: ამისთვის არც ძალისხმევა ეყოფა, არც გამბედაობა და არც საჭიროდ ჩათვლის. ესენია: ავტომობილი, ტრამვაი, ტრაქტორი, რადიო, ტელეგრაფი, ექსპრესი, მეტროპოლიტენი და სხვა მრავალი. გვინდა თუ არა, აი ასე, გაუაზრებლად არის უცხოური სიტყვები ჩვენს ენაშიც შემოსული.

ცნობილმა ქართველმა ენათმეცნიერმა, პროფესორმა არნოლდ ჩიქობავამ თავისი რედაქტორობით 1964 წელს დაასრულა მუშაობა რეატომიან ლექსიკონზე, რომელიც 112 949 სიტყვას მოიცავს. მასში უცხოური სიტყვები საკმაოდ დიდი ოდენობით არის წარმოდგენილი. ასეთი სიტყვები მსოფლიო ერების ლექსიკის სიმდიდრედ უნდა ჩაითვალოს. რაც შეეხება ჩვენ, ქართველებს, ეგების, რომ ყველა უცხოური სიტყვის ქართული ანალოგის მოძებნამდე ყოველგვარი ქედმაღლობის გარეშე გამოვიყენოთ ეს არაქართული სიტყვები.

ქართველი ერი¹

ქართველი ხალხის, როგორც ერის ჩამოყალიბების ისტორიამ საკმაოდ ხანგრძლივი ეტაპები გაიარა. ეს ეტაპები დასაბამიდან კაპიტალიზმის ჩამოყალიბებამდე გრძელდებოდა. გარდა ამისა, ქართველი ერის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში დიდი როლი ითამაშა ენამ, გეოგრაფიულმა მდებარეობამ, ეკონომიკურმა ცხოვრებამ და კულტურულმა ერთობლიობამ. ძველ წარსულში ქართველი ერის თვითგანახლებამ, გაახალგაზრდავებამ და სიცოცხლისუნარიანობამ განვითარების შესაბამისად გარკვეული ფაზები და ეტაპები გაიარა.

ქართული ენა ჯერ კიდევ მე-8 საუკუნეში მთელი საქართველოს სახელმწიფო დამწერლობად და სასაუბრო ენად ითვლებოდა. ეს ენა მთელი ქართული ეთნიკური ჯგუფებისთვის საერთო ენად მე-12 საუკუნიდან უფრო ცხადად იკვეთება, რადგან ამ პერიოდში ახალი ქართული ლიტერატურული ენა თავის სხეულს დაუბრუნდა და ყველა ფენისთვის საერთო-ეროვნულ ენად იქცა.

საქართველოს გეოგრაფიულ მთლიანობასაც ღრმა ფესვები აქვს. ეს გეოგრაფიული მთლიანობა საქართველოს ძლიერ ხელისუფლებასა და ერთმანეთთან ჰარმონიულ ურთიერთობებზე მიუთითებს. მაგალითად, მე-12 საუკუნეში დღევანდელი საქართველოს ყველა მხარეს „საქართველოდ“ მოიხსენიებდნენ. საქართველოს გეოგრაფიული მთლიანობა ქვეყნის გაძლიერებისა და სამეფო-სამთავროების ჩამოყალიბების პროცესშიც არ დარღვეულა. ასეთ პერიოდშიც კი სამეფო-სამთავროები საქართველოს შემადგენელ ნაწილებად მიიჩნეოდა.

ქართველი ერის ეკონომიკური სტაბილურობა ერთბაშად არ ჩამოყალიბებულა: მე-12 საუკუნეში საქართველოს სხვადასხვა მხარეებში ეკონომიკური განვითარების განსხვავებული სურათი იყო. ეს განსხვავება განსაკუთრებით ხელოვნებაში, საშინაო და საგარეო ვაჭრობაში შეიმჩნეოდა.

¹ *ÇVENE BURI Kafkasioloji Dergisi/“ჩვენებური“ კავკასიოლოგიური კრებული, N2-3, სტოკჰოლმი, 1977. გვ. 16-18.*

დროთა განმავლობაში ახალი ქალაქები, ცენტრები და საშინაო ბაზარი ჩამოყალიბდა. სხვადასხვა კუთხეთა ხალხებს შორის ეკონომიკური სხვაობა აღმოიფხვრა. დაიწყო ცხოვრების დონის ამაღლება. ეროვნული სიმყარის გასაძლიერებლად საჭირო ეკონომიკური ღონისძიებები ტარდებოდა, მაგრამ დიდძალ გარეშე მტერთა ხშირი თავდასხმები ამას ხელს უშლიდა და დადებითი შედეგების მიღწევის პროცესებს ანელებდა. აქედან გამომდინარე, ხალხის ეკონომიკურ ცხოვრებაში ახალ პრობლემებს ჰქმნიდა, მაგრამ ქართველი ხალხის ეროვნულ-ეკონომიკური ცხოვრების აღორძინებასა და სტაბილურობას მთლიანად ვერ ანადგურებდა.

ქართველი ერის სულიერი არსებობა – მისი დამახასიათებელი ტრადიციები, კულტურა, ზნე-ჩვეულებები და სხვ. – საუკუნეთა მონაპოვარია. ქართველი ხალხის კულტურა ყოველთვის მდიდარი და მრავალფეროვანი იყო. მაგრამ მთელი საქართველოს სხვადასხვა კუთხეთა დიდმნიშვნელოვანმა კულტურამ მხოლოდ შუა საუკუნეებში მოახერხა გაერთიანება. ეს ერთობა მუდამ მეგობრული და საერთო განწყობის მატარებელი იყო ქართველთა დამახასიათებელ თვისებებთან ერთად, როგორცაა: სიმამაცე, ვაჟკაცურობა, თავაზიანობა, გულწრფელობა, პატრიოტობა, თავისუფლების სიყვარული, სამშობლოს სიყვარული, მტრის სიძულვილი და მოყვასის მიმართ პატივისცემა, სიკეთე, სტუმართმოყვარეობა და შემოქმედებითი ფანტაზიის უნარი. ერის წარმომადგენლებისთვის ეს პრიორიტეტები ყოველთვის ერთ სიმაღლეზე იდგა გეოგრაფიული მდებარეობისა და ეთნიკური სხვაობის მიუხედავად. საერთო კულტურა, ხელოვნება, ტრადიციები და ქართველი ხალხის იდეოლოგია სულიერი და ფიზიკური კავშირის ორიგინალური გამოვლინებაა.

ზოგიერთი ისტორიული მოვლენა ხვედრი და ბედისწერა იყო საქართველოსთვის. შუა საუკუნეების ბედკრულობით შევიწროებულ ხალხს ახალ, გარდამავალ პერიოდში, კერძოდ მე-18 საუკუნის შუა ხანებში კვლავ დიდი განსაცდელი ელოდა. შუა საუკუნეებამდე ჩასახულმა ქართულმა ეროვნულმა სულმა ამ განსაცდელებს ღირსეულად გაუმლო. ამის შემდგომ, ფეოდალური სისტემის პირობებში, ქართველმა ხალხმა ეროვნული სულისკვეთების გაძლიერება დაიწყო. ამ დროისათვის ევროპის რამდენიმე ქვეყანასა და ასევე აღმოსავლეთ ქვეყნებში გავრცელებისათვის მებრძოლი კაპიტალიზმი საქართველოში ნაკლებად იგრძნობოდა. ამჯერად კვლავაც ფეოდალიზმისა და გარეშემოტევების მკაცრ პირობებში უხდებოდათ ქართველებს ცხოვრება. შექმნილმა ვითარებამ საქართველოს მმართველები აიძულა რუსეთის ქვეშევრდომობა და მასთან შეერთება ეთხოვა. მიუხედავად ამისა, ქართველი ხალხის მდგომარეობა რადიკალურად არ შეცვლილა. ეს მდგომარეობა მე-19 საუკუნის 30-40 წლებში კიდევ მეტად გართულდა, 60-90-იან წლებში კი ქართული ბურჟუაზიის წარმოშობას შეუწყო ხელი.

ქართველი ხალხის შემადგენელი ნაწილები

ეროვნება „ქართველი“ ნაწილობრივ წარმომავლობით ქართველებისგან, ნაწილობრივ კი არაქართული ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებისგან შედგება, რაც გამოწვეული იყო მთელი ისტორიის განმავლობაში გეოგრაფიული სიახლოვის, ბედის ერთგვარობის, ისტორიული კავშირის, ურთიერთსაქმიანობისა და ურთიერთავადცვის ჩვეულებისგან. ძირითადად საქართველოში უმრავლესობა ყოველთვის ქართველურ ეთნიკურ ჯგუფებს წარმოადგენდა (ქართლები, კახელები, იმერლები, მესხები, გურულები, აჭარლები, რაჭველები, ლეჩხუმელები, ფშავ-ხევსურები, მთიულები, მოხევეები და ინგილოები, ასევე მეგრელები და სვანები). გარდა ამისა, უძველეს დროში საქართველოში მცირე რაოდენობით უცხო ერის წარმომადგენლებიც სახლობდნენ, რომლებიც დახმარებას უწევდნენ ქართველ ხალხს. შემდგომ შემცირდნენ, შეერივნენ ქართველ ხალხს და გაქართველდნენ.

ამის მიზეზი ის იყო, რომ ვერც ერთ ავტოქტონურ ჯგუფს საქართველოს ვერც ერთი მხარე ვერ დაუკავებია და ისინი იძულებული გამხდარან სხვადასხვა მხარეში ეცხოვრათ. მათგან აფხაზები და ოსები ორ მხარეში საკმაოდ თვალში მოსახვედრად მჭიდროდ დასახლებულან და ქართველებთან თანაცხოვრების პარალელურად საკუთარი ხელისუფლებაც შეუქმნიათ. საქართველოს გაძლიერების პერიოდში ამ ხალხებმა ქართველებთან ერთად დიდ წარმატებებს მიაღწიეს.

ბიბლიოგრაფია:

- ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ მე-სხია, ვ. რატიანი. „საქართველოს ისტორია“. დამხმარე სახელმძღვანელო. 1958. გვ. 94-100; 523-526.
- ა. ჩიქობავა, ილია ჭავჭავაძე. „ენის შესახებ“. 1938. გვ. 3-7; „ქართული ენის ზოგადი დახასიათება“. იხ. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“. 1.1950. გვ. 018-019; აგრეთვე 008.

ქართველი გმირი ცოტნე დადიანი¹

მე-13-ე საუკუნეში მონღოლებმა საქართველო დაიპყრეს და ქართული სამეფო გააუქმეს, ხელისუფლება კი თვითონ გადაიბარეს. მონღოლებმა მოკლე დროში გაატარეს საგლეხო რეფორმა. მათ მძიმე გადასახადები დააკისრეს ქართველებს. ქართველი ხალხი ძალიან შეწუხდა. საჭირო გახდა სამშობლოს გადარჩენა, მაგრამ ეს მისია მეტად რთული შესასრულებელი იყო, რადგან მათ წინაშე ძლიერი მტერი იდგა.

¹ *ÇVENE BURI Kafkasioloji Dergisi/ჩვენებური კავკასილოგიური კრებული, N:2-3, სტოკჰოლმი, 1977. გვ., 27-28.*

სამშობლოს გადარჩენისთვის თავგანწირული აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შვილები ახალციხის მისადგომებთან ყველაზე ცნობილი მამულიშვილის, ცოტნე დადიანის თაოსნობით შეიკრიბნენ და საქართველოს გადარჩენის გეგმა შეადგინეს. მათ ქართველი მოხალისეები უნდა შეეკრიბათ და დიდი პარტიზანული ჯგუფი ჩამოეყალიბებინათ, შემდგომ კი თავს დასხმოდნენ მონღოლებს, ასევე ხალხის სახელით მონღოლთა წინააღმდეგ უნდა აჯანყებულიყვნენ.

ცოტნე დადიანმა ყოველივე ამის განხორციელება სამეგრელოდან დაიწყო. რაც შეეხება მის თანამონაწილეებს, ისინი შტაბში იცდიდნენ. ამასობაში მონღოლთა რაზმები მათ თავს დაესხა და ქართველი მებრძოლნი ტყვედ ჩაიგდეს, რომლებიც სომხეთის დედაქალაქ ანისში მყოფ მონღოლთა მთავარსარდალს წარუდგინეს. მთავარსარდალის ბრძანებით ქართველი მებრძოლები გააშიშვლეს, ზედ თაფლი წაუსვეს, ხელ-ფეხი შეუკრეს და შუაგულ მზეზე ხეებზე მიაბეს, რათა მწერებს დაეკბინათ.

როდესაც ცოტნე დადიანმა სამშობლოსმოყვარული ქართველი ვაჟკაცების სასტიკი დასჯის ამბავი გაიგო, რომლებიც მწერებით დაკბენილნი მწველი მზის ქვეშ ეყარნენ და დიდი ტანჯვით იტანდნენ ამ გაუსადმლის ტკივილს, მაშინვე გაემგზავრა ანისისკენ მონღოლი მხედართავარის წინაშე წარსადგენად. მესხეთ-ჯავახეთი გაიარა და ანისში ჩავიდა. დიდ მოედანზე ხელ-ფეხშეკრული, გაშიშვლებული, ტანზე თაფლწასმული, მწველი მზის ქვეშ გაემწკრივებინათ ქართველი ახალგაზრდები, რომლებიც ასე უხმოდ ეწირებოდნენ სამშობლოს თავისუფლებისთვის ბრძოლას. უშიშარი და მამაცი ცოტნე ამის დანახვაზე ძალიან აღელდა, ძალიან იმოქმედა ამ სურათმა მასზე. ცოტნე ცხენიდან გადმოხტა, მოედანს მიუახლოვდა, თანამებრძოლებს მიესალმა, ტანისამოსი გაიძრო, ხელები შეიკრა და თავის მეგობრებს შორის დადგა. ცოტნე დადიანის ამ მოქმედებაზე მის თანამებრძოლებს თვალები ცრემლებით და გული სიამაყით აევსოთ.

როდესაც მონღოლთა მთავარსარდალს ცოტნე დადიანის მოქმედების ამბავი მოახსენეს, გაოცდა, მასთან მივიდა და მიზეზი ჰკითხა.

დადიანი:

- ჩემი მეგობრები უდანაშაულონი არიან. თუ თქვენი კანონი უდანაშაულობის დასჯას ითვალისწინებს, მაშინ მეც დამსაჯეთ; თუ არ ითვალისწინებს, მაშინ ყველანი გაგვიშვით.

ამ სამაგალითო საქციელმა მონღოლთა მთავარსარდალს გული მოუღბო, მოუბრუნდა ქართველ გმირს და უთხრა:

- ერთი ქართველი გმირის ასეთი სიმამაცე, თავგანწირულობა, მეგობრებისთვის სიცოცხლის გაწირვა და თავისი ფეხით აქ ჩამოსვლა ჩემთვის დიდი გაკვეთილია. ამ დიდი ადამიანობის საფუძველზე ყველას გათავისუფლებთ, – მიმართა მან და ყველანი გაათავისუფლა. მამაცმა ცოტნე დადიანმა რჩეული ქართველი ვაჟკაცები სიკვდილისგან ამგვარად იხსნა.

ლაგური მოთხრობები¹

ძმრის გადასახადი

მთარგმნელი: ჰ. ხინკილაძე

სტამბოლში, სულთნის სასახლის სათავსოებში, ძმრის ჭურჭლები რადღაც შემთხვევისას დაიმტვრა და ძმარი დაიქცა. ამის შემდეგ სასახლე ძმრის გარეშე დარჩა. მარაგის შესავსებად ფადიშაჰმა ფირმანი გამოსცა, რომლის მიხედვითაც ხალხს „ძმრის გადასახადი“ დაუწესა.

როდესაც სულთნის მსახურები გადასახადის აკრებისას ართვინის სოფელ ჭალაში ერთ ლაზს მიადგნენ და ძმრის გადასახადი მოსთხოვეს, გაკვირვებულმა ლაზმა თქვა:

• რა ძმრის გადასახადი? მერე მე რა შუაში ვარ ფადიშაჰის ძმართან? სად სტამბოლი, სად ჭალა? გაჯიუტდა ლაზი, მაგრამ მოხელეებმა ძმრის გადასახადი მაინც გამოსძალეს.

გაბრაზებული ლაზი სტამბოლს წავიდა. სასახლის ბაღში ერთი ძაღლი აედევნა. ლაზმა მას ცემა დაუწყო. ძაღლის წკმუტუნზე ფადიშაჰი აივანზე გამოვარდა. როცა დაინახა, რომ ლაზი გაუჩერებლად სცემდა ძაღლს, დაუყვირა:

• რა გინდა საწყალი ძაღლისგან, შე დაუნდობელო ადამიანო?
• რას ნიშნავს, რა მინდა? ჭალაში მთელი ჩემი სიმინდები დათვმა შემიჭამა, ეს კი აქ მოსულა და წევს.
• შე უვიცო, ჭალაში დათვმა სიმინდები შეგიჭამა, სტამბოლში ძაღლის რა ბრალია? – დაუყვირა გაბრაზებულმა ფადიშაჰმა.

ლაზმა პასუხი არ დააყოვნა და მიუგო:

• აბა შენ სტამბოლში ძმრის ზარალი ნახე, ჭალაში მყოფი ლაზის რა ბრალია? რა ძმრის გადასახადს სთხოვ?
• ფადიშაჰმა პასუხი ვერ იპოვა და ლაზს მიუგო:
• ოღონდ ძაღლს თავი დაანებე და გადასახადს გავაუქმებ, – და შიგნით შევიდა.

ფადიშაჰი და ერთი ლაზი

მთარგმნელი: ჰ. ხინკილაძე

ერთ ქვეყანაში ცხოვრობდა ძუნწი ფადიშაჰი. ისეთი ძუნწი იყო, ისეთი ძუნწი, რომ მის ცხოვრებაში ხაზინიდან ერთი ოქროც კი არ ჰქონდა დარიგებული ღარიბებისთვის. ერთ დღეს ფადიშაჰმა ძალიან მოიწყინა და

¹ ÇVENE BURI Kafkasioloji Dergisi/“ჩვენებური“. კავკასიოლოგიური კრებული, N 2-3, სტოკჰოლმი, 1977. გვ. 34-36. თურქულიდან ქართულ ენაზე თარგმნა ნატო დვალმა.

გადაწყვიტა რაიმეთი თავი გაემხიარულებინა და ერთი თამაში მოიფიქრა. ხალხში გაავრცელა:

- ვინც ისეთ სამ ტყუილს მოიგონებს, რომელიც აქამდე არავის გაუგონია, იმას ჩემი ხაზინიდან ოქროებით გავამდიდრებო.

ცოტა ხანში ეს ამბავი ერთმა ღარიბმა ლაზმა გაიგო. ბევრი იფიქრა, აწონ-დაწონა და ბოლოს გადაწყვიტა ფადიშაჰისთვის მიემართა:

- სამი დღე მომეცი სამი ტყუილის მოსაფიქრებლად, თითო დღე ერთი ტყუილის სათქმელად. ამბავი გაუგზავნა. ფადიშაჰიც დათანხმდა, ლაზის ამ სულელურ გამბედაობაზე გაეცინა და მხიარულად მიუგო:

- ეს კაცი ჯერ აქამდე გაუგონარ ტყუილს ვერ გვეტყვის, – თქვა და ჩაფიქრდა;

- იაჰუ, თუ მოიგონა და გვითხრა? ბოლოს ვეზირები მოიხმო და უთხრა:

- აქამდე ნათქვამი ყველა ტყუილის სია შეადგინეთ და სასწრაფოდ მაცნობეთო, ბრძანა. ვეზირებმა თუკი რაიმე ტყუილი თქმულა და გაგონილა, შეკრიბეს და ფადიშაჰს აცნობეს. ამასობაში სამი დღეც გავიდა და ლაზი სასახლეში მივიდა. სანდლები გაიხადა, ხელში დაიკავა და ფადიშაჰს ეახლა.

- გვაჩვენე, რა შეგიძლია, რა ტყუილები მოიფიქრე? – ჰკითხა ლაზს.

- როცა მამაჩემი ჯანმრთელი იყო, ორი პატარა მიწის ნაკვეთი ჰქონდა: ერთ ნაკვეთში იმდენ ხორბალეულს თესავდა და იმდენი მოსავალი მოჰყავდა, ერთი ქვეყნის მოსახლეობას ეყოფოდა, – თქვა და გაჩერდა. ფადიშაჰმა გარშემო მიმოიხედა და ვეზირებს მიმართა:

- აქამდე ასეთი ტყუილი თუ გაგიგიათ? – ჰკითხა მათ.

- არა, ჩვენო ფადიშაჰო, – მიუგეს ვეზირებმა.

ლაზმა კარებში გასვლისას იქ დატოვებული სანდლები ჩაიცვა და წავიდა. მეორე დღეს ისევ მოვიდა და როცა თხრობა უნდა დაეწყო, ფადიშაჰმა ისევ მიმართა ვეზირებს:

- აბა, ყურადღებით, რამე მოძველებული ტყუილები არ შემოგვაპაროს და არ გაგვაცუროს, – გააფრთხილა ვეზირები. ლაზმა განაგრძო:

- მამაჩემი მეორე მიწის ნაკვეთში ყოველ წელს კვერცხს თესავდა. ბოლოს იმდენი ქათამი იყო ჩვენს ქვეყანაში, არ ეტეოდა, მძიმე მდგომარეობაში ვვარდებოდით, – თქვა ლაზმა. ფადიშაჰმა ისევ მიმოიხედა გარშემო და ვეზირებს მიმართა:

- მსგავსი ტყუილი გაგიგიათ ვინმეს? – ჰკითხა.

- არა, ჩვენო ფადიშაჰო. ამ პასუხის გაგონებაზე ლაზმა მშვიდად ამოისუნთქა და კარებში როცა სანდლებს იცვამდა, მის ტყუილებზე რას ფიქრობდა ფადიშაჰი, დაინტერესდა და ყურები დაცქვიტა. ფადიშაჰი:

• ხედავთ ვეზირებო, ჩვენი ხაზინა დაცარიელების საფრთხის წინაშეა. ეს რომ თავიდან ავიცილოთ, ლაზს ხვალინდელ ტყუილზე უნდა ვუთხრათ, რომ ეს ტყუილი დიდი ხნის წინ გვსმენია. შენი მოგონილი არ არის, უთხარით და ასე უნდა გადავარჩინოთ ჩვენი ხაზინა, – გააფრთხილა ფადიშაჰმა ვეზირები. თაღლითმა ფადიშაჰმა იმ ღამეს მშვიდად დაიძინა. მეორე დღეს ლაზი ლაღად მივიდა და სანამ მოყოლას დაიწყებდა, ფადიშაჰმა თქვა:

• აბა, მიდი, ლაზის ბიჭო, ისეთი ტყუილი გვითხარი, არავის რომ არ გაუგონია და სინამდვილესთან არაფერი აკავშირებს. გამდიდრდი და ისე წადი აქედან, – დაცინვა დაუწყო ლაზს. ლაზი:

• აწ გარდაცვლილ ფადიშაჰს, მამათქვენს, ბევრი მტერი ჰყოლია. მათთან ხშირად ომობდა. ბევრი იზარალა და ხაზინა გამოაცარიელა. ასეთ დროს მდიდარი მამაჩემი დაცარიელებული ხაზინის დახმარების მიზნით მამათქვენს ოქროებით აჯილდოებდა. ცხონებული ფადიშაჰი როდესაც გარდაიცვალა, მამაჩემის ათასი ქისა ოქრო ვალი დარჩა, – თქვა და როგორც კი ტყუილის მოყოლა დაასრულა, ფადიშაჰმა გარშემო მიმოიხედა და თვალით ანიშნა:

• ასეთი ტყუილი გაგიგიათ ოდესმე? ასეთი შემთხვევა გსმენიათ ოდესმე? – იკითხა. ვეზირებმა ერთხმად უპასუხეს:

• ჩვენო ფადიშაჰო, ეს ამბავი სასახლეში ხშირად გაგვიგია, ამ ადამიანის მოგონილი არ არის. ფადიშაჰმა ლაზს მიმართა:

• ნახე, რაც შენ მოგვიყევი, შენი მოგონილი ტყუილი არ არის.

• მაშინ, როგორც მამათქვენის მემკვიდრემ, ათასი ქისა ოქრო ვალი დამიბრუნეთ. ჯოჯოხეთიდან მარადისობაში რომ გადაინაცვლოს, იხსენით ამ ვალისგან, – მიუგო ლაზმა. ამაზე ფადიშაჰი გაშეშდა, იწრიალა, იწრიალა და პასუხი რომ ვერ მოძებნა, ხაზინედარს მიმართა:

• მიეცით ამ კაცს ათასი ქისა ოქრო, მართლაც დაიმსახურა, – თქვა და ბრძანება გასცა.

ლაზმა დამსახურებული ოქროებით თავისი სურვილებიც აისრულა და ღარიბ-ღატაკებსაც დაეხმარა.

დიდგორის ბრძოლა¹

857 წლის წინ, 12 აგვისტოს, საქართველოს მეფემ დავით აღმაშენებელმა ქართველ რაზმებთან ერთად დიდგორის ველზე სასტიკად დაამარცხა სელჩუკთა რაზმები და ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. ამ ომში მონაწილე მეომრების სახელი გასცდა კავკასიის საზღვრებს და ევროპის ქვეყნებშიც აქტუალური თემა გახდა. მსოფლიოს მწერლებისა

¹ *ÇVENE BURI Kafkasioloji Dergisi/“ჩვენებური“*. კავკასიოლოგიური კრებული, N 4-5, სტოკჰოლმი, 1978. გვ. 20-22.

და სხვადასხვა პოლიტიკოსების ნამუშევრები ქართველების ამ გამარჯვების შესახებ საკმაოდ ბევრ ინფორმაციას გვაწვდიან.

XI საუკუნის ბოლო და XII საუკუნის პირველი ნახევარი საქართველოს ისტორიაში უნიკალურ პერიოდს წარმოადგენს.

დავით აღმაშენებელმა თავისი პოლიტიკის მოწინააღმდეგეები, რომლებსაც ქვეყნის საწინააღმდეგო განზრახვები ჰქონდათ, გარეშე მტრების დასანახად მიზანმიმართულად გაანადგურა. მან ჯერ ქვეყნის შიდა მტრებს აგებინა პასუხი და შემდგომ გარეშე მტრებზე გადავიდა. იმ პერიოდისთვის ქვეყნის რამდენიმე მხარე მტრების მიერ იყო დაპყრობილი. იმ დროსთვის მათი განდევნა დიდი სირთულეების გარეშე ვერც კი წარმოედგინათ, ბრძოლა გარდაუვალი გახდა. 1103 წელს ქართული ლაშქარი თავს დაესხა ზედაზენს და მტრებისგან გაწმინდა ეს მხარე. 1104 წელს ერწუხის ბრძოლაში მოიპოვეს დიდი გამარჯვება, გადავიდნენ ჰერეთში, გამოიხსნეს ეს მხარეც და დედა-სამშობლოს შემოუერთეს, 1110 წელს კი მუდმივმა ქართულმა ლაშქარმა სამშვილდეც აიღო. მუდმივი ლაშქარი ტყუილად არ გვიხსენებია. მისი ხსენებით იმის თქმა გვინდა, რომ მსოფლიოში პირველი მუდმივი არმია საქართველოს მეფე-მთავარმა დავით აღმაშენებელმა შექმნა. 1115 წელს რუსთავი გამოიხსნა, 1117 წელს – გიში და 1118 წელს ლორე-ტაშირი დედა-სამშობლოს შემოუერთა. ამ დროისთვის თბილისი ჯერ კიდევ არაბთა გავლენის ქვეშ იყო.

ბრძოლიდან ბრძოლაში ჩართულმა ქართულმა ლაშქარმა ბრძოლის ველი გააფართოვა და ქართული მიწის საზღვრებს გასცდა: ბართიაში მყოფი სელჩუკთა ჯარები დაამარცხა, რითაც ის ქართველთა ხელში გადავიდა. მოკლე ხანში ქართველებმა ქალაქი ქაბალაც აიღეს. შემდგომში დავითმა თავისი ძალებით შირვანიც აიღო.

თვითონ დავითი უმაღლეს დონეზე განათლებული და მმართველობის დიდი ნიჭით დაჯილდოებული მეფე იყო. ორატორული ნიჭის წყალობით მან იცოდა, თუ როგორ განეწყო მეომრები ბრძოლისთვის და როგორ გაემხნევებინა ისინი მორალურად. ამასთანავე იგი კარგი მებრძოლი იყო. ყოველი ბრძოლის დაწყებამდე ის ლაშქარს მიმართავდა თავისი ძლიერი და დამახასიათებელი ხმის ტემბრით, აძლევდა მითითებებს და შეუდრეკელი ბრძოლისკენ მოუწოდებდა. ყოველი ბრძოლის წინ მეფის ეს მიმართვა განსაზღვრავდა ბრძოლის ბედს და მის გამარჯვებას. ფრანგი ისტორიკოსი გოტიე დავით მეფის ამ მიმართვის ტექსტს ასე გადმოგვცემს:

„ჰეი, ქართველნო მამულიშვილნო, ქრისტიანო მეომრებო, ჩვენი სამშობლოს, ჩვენი ღმერთისა და ჩვენი რწმენის დასაცავად შემართულად უნდა ვიბრძოლოთ არა იმ საბრალოთა მიმართ, ვის სხეულშიც ეშმაკს სძინავს,

არამედ ჩვენ უნდა დავამარცხოთ თავად ეშმაკი სამშობლოსათვის, რწმენისა და მომავლისათვის. თქვენგან ერთ რამეს ვითხოვ: აღმართოთ ხელები და ვუთხრათ ჩვენს შემოქმედს: „უფალო ღმერთო, ჩვენს წმინდა რწმენას თავს შევსწირავთ, მაგრამ უკან არასოდეს დავიხევთ“. „ეშმაკმა რომ არ გაიღვიძოს ჩვენში და არ დავაპიროთ ბრძოლის ველიდან გაქცევა, ამ ვიწრო ხეობას ჩავხერგავთ ქვებით. გავანადგურებთ მტერს, ან ბრძოლის ველზე დავეცემით, სხვა გზა ჩვენ არ გვაქვს. ამაზე ფიქრით წავალთ ამ ქვეყნიდან“.

თავისი ნაწარმოებებით სახელგანთქმულმა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ და ამასთანავე დიდი რეპუტაციის მქონე მწერალმა, გრიგოლ რობაქიძემ დიდგორის ბრძოლის შესახებ დაწერა „საქართველოს სათავენი“, რომელშიც წერს: „დიდო ღმერთო, თითქოს დავით აღმაშენებელი მარტო ერის გადასარჩენად კი არა, ხალხისა და რწმენის დასაცავად მოავლინე ამქვეყანაზე. ლეგენდარული ბრძოლა დიდგორი ჩემთვის სამართლიანობის კიდევ ერთი დასტური იყო“.

ერთი ქართველი მწერლის, გიორგი მერჩულეს უკვდავ ნაწარმოებში – „წმინდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ – დიდი თამარ მეფის შესახებ თხრობისას შემდეგ სტრიქონებს ვკითხულობთ: „დავით აღმაშენებელი ტახტზე ასვლამდე ჯერ ღმერთის სამსახურში იყო, შემდგომ – ქვეყნის სამსახურში. მან საქართველოში „საღმრთო მეფის“ როლი შეასრულა. ისტორიკოსებმა მას „აღმაშენებელი“, „ამაღორძინებელი“, „მშენებელი“ უწოდეს. ისინი მოგვითხრობდნენ როგორც მის სამხედრო, ისე მის რელიგიურ გენიალურობაზე. მას ბრძოლებში ყოველთვის თან ჰქონდა წმინდა წიგნი „ბიბლია“. ერთხელ ბრძოლის დროს ისე შეჰყოლია ბიბლიის კითხვას, ბეწვზე გადარჩენილა, ბრძოლა რომ არ წაეგო და მტრის ხელში არ აღმოჩენილიყო.

მის მიერ მოჭრილ ქართულ მონეტაზე ერთ მხარეს იესოს ჯვარი, მონეტის მეორე მხარეს „ბავშვის“ გამოსახულება იყო. ჯვარი მეფეს განასახიერებდა, ხოლო ბავშვი – იესოს. მისი მმართველობის პერიოდში ის დიდი რელიგიური ლიდერის ტიტულსაც ატარებდა.

მას შემდეგ, რაც ევროპელმა ქრისტიანებმა დავითი ეპოქის უდიდეს რელიგიურ ლიდერად აღიარეს, პალესტინელმა ბერმა ანზელუსმა 1109 წელს პატივისცემის ნიშნად პარიზში დავით მეფის ჯვარი გააგზავნა. ეს ჯვარი ერთ პატარა ბაზილიკაში დიდი პატივით დააბრძანეს. შემდგომში ამ ბაზილიკის ადგილზე ნოტრ დამის (პარიზის ღვთისმშობლის) საკათედრო ტაძარი აშენდა. 1793 წელს მომხდარი რევოლუციის დროს ტაძარი დაზიანდა და დავითის ჯვარიც დაიკარგა.

ცნობილი ფრანგი ბერი კანტორი „ეპისტოლეში“ ამ გვირგვინის შესახებ მოგვითხრობს: „საქართველოს მეფის, დავითის ქვრივმა დავითის ჯვარი სამახსოვროდ მე გამომიგზავნა“. ამ ცნობაში არ უნდა გამოგვრჩეს ერთი

შეცდომა, რადგან 1109 წელს დავითი ჯერ კიდევ ცოცხალია. მაგრამ ჩვენთვის საინტერესო სხვა ფაქტია. კანტორი ამავე ცნობაში მიუთითებს: „საქართველოს მეფე დავითმა, წმინდა „ჯვრის დამცველმა“ და „მზე დავითმა“ გოგ-მაგოგებს კასპთან გზა გადაუკეტა, ალყაში მოაქცია და გაანადგურა“.

სხვა ბერი კი ამ ამბავზე ასეთ ცნობას გვაწვდის: „საქართველოს მეფე დავითი გოგ-მაგოგებს კასპის საზღვართან დაეწია და გაანადგურა. „მზე დავითი“ და „ღვთისგან მოვლენილი მეფე“ – განა სხვა ვინ შეძლებდა ასეთი ბრწყინვალე გამარჯვების მოპოვებას?“ – ამბობს ბერი.

დავით აღმაშენებელმა თავისი ცხოვრების რომელ ეტაპზე გაითქვა ყველაზე მეტად სახელი – ეს ყველასთვის ცნობილია. სირიელები და პალესტინელები ქრისტიანულ სახელმწიფოებში დამკვიდრებისა და თავდაცვისათვის მუსულმანებთან მუდმივ საპირისპირო ბრძოლებს აწარმოებდნენ. მუსულმანები თავის მხრივ შესაძლებლობას არ უშვებდნენ ხელიდან, რომ ქრისტიანები ამ მიწიდან განედევნათ. 1119 წელს ჰალეპის სულთანმა ნედიმეთით ელგაზმა ანტიოქიელი როჟე დაამარცხა. ამ ფაქტმა მუსულმან მმართველებს იმედის სხივი გაუღვივა. მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან იმ დროისათვის ყველასთვის ძლიერი ქრისტიანული ქვეყანა საქართველო მათ თრგუნავდა და მოსვენებას არ აძლევდა. ბოლოს მუსულმანმა მმართველებმა შექმნეს კავშირი და რის ფასადაც არ უნდა დაჯდომოდათ, საქართველოსთვის ჭკუა უნდა ესწავლებინათ და შემდგომ შუა აღმოსავლეთიდან ყველა ქრისტიანი სამშობლოდან უნდა გაეძევიანათ. 1121 წლის აგვისტოში ამ გეგმის განსახორციელებლად ნედიმეთით ელგაზის მეთაურობით ექვსასათასიანი ლაშქარი, რომელიც არაბი, სელჩუკი და თურქმენი მეომრებისგან შედგებოდა, საქართველოს საზღვრებს მოადგა. 14 აგვისტოს დიდგორის ველზე დაწყებულ ბრძოლაში მეფე დავითმა დიდი ოსტატობით დაამარცხა მუსლიმთა გაერთიანებული რაზმები. ნეჯმ ად-დინ ილღაზი მძიმედ დაიჭრა, მეომრები დაიფანტნენ და გაიქცნენ. ამ ბრძოლის შემდეგ მეფე დავითმა თბილისი აიღო, ქალაქი ანისი გაათავისუფლა არაბი დამპყრობლებისგან და განდევნა ისინი.

ეს ბრწყინვალე გამარჯვება ყველა ქრისტიანისათვის რაოდენ სასიხარულო და მნიშვნელოვანი იყო, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს. მეფე დავითის ლეგენდარულობასა და მის გმირობაზე ინგლისელი ისტორიკოსი ასე მოგვითხრობს:

„საქართველოს მეფე დავითს, ქრისტიანობისთვის გაწეული ღვაწლისათვის ხალხმა „იოანე პრესვიტერიც“ კი უწოდა. ქრისტიანობის გავრცელების მეორე ქვეყანა მისი სამშობლო გახდა“. ამ მეტსახელთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ შუა საუკუნეების ევროპაში სახელი – „წინასწარმეტყველი-მეფე“ „Das Hailige Romiseriah“ – ასე წარმოიშვა.

აფხაზთა ხალხური სიმღერები¹

მთარგ. ჰ. ხინკილაძე

აფხაზეთი, საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაზე დამოკიდებული ავტონომიური რესპუბლიკაა. აფხაზები ისტორიულად, დიდი ხნიდან მოყოლებული, საქართველოს დასავლეთ ნაწილში, დღევანდელ აფხაზთა ერის მიწაზე ქართველ ბატონებთან ერთად მჭიდროდ და ძმურად ცხოვრობდნენ.

აფხაზთა ხალხის მუსიკა მრავალფეროვანი, ფერადი და მდიდარია. ეს სიმღერები ტრადიციულად ორხმოვანია: მაღალი ხმა ყოველთვის სოლისტისაა (ზოგჯერ ეს ხმა ფა-სოლ-იგ შეიძლება იყოს). სხვა ხმას რაც შეეხება, ერთხმოვანი ქალის ხმაა. ამის გარდა, აღსანიშნავია შესრულების ერთი ფორმა: კაცის და ქალის დიალოგის ფორმით სიმღერა. თუ ამ ფორმით სრულდება სიმღერა, თან ახლავს ინსტრუმენტი და გუნდის შესრულებაც.

მწყემსობა, ნადირობა, ხვნა-თესვა და მოსავლის თემები, ასევე სიყვარულისა და სახუმარო თემატიკის სიმღერები ცნობილი და პოპულარულია აფხაზეთში. ამას ისიც უნდა დავამატოთ, რომ იმავე პოპულარობით სარგებლობს ქორწილში შესრულებული სიმღერები, ცნობილი ადამიანების გარდაცვალების დროს შესრულებული სამგლოვიარო სიმღერები, ეროვნული საცეკვაო მუსიკა და სამშობლოს მიმართ სიყვარულის გამოხატველი ეპიკური ხასიათის სიმღერები.

კლდეების სიმღერა

(აჰ(ხ)რა, იაზკუ, აშა)

კლდეების ანუ უფსკრულთა სიმღერა აფხაზთა ხალხური სიმღერების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ბალადაა. ეს სიმღერა ორი მონადირე ძმის ტრაგიკულ ისტორიას გადმოგვცემს, რომელიც მათ თავს გადახდათ. ამ ამბის შინაარსი კი ასეთია:

ორი ძმა სანადიროდ ერთად წასულა. მთელი დღე ჯიხვებს დასდევდნენ და ძალიან დაღლილან. ამასობაში დაღამებულა. უფროსი ძმა ციცაბო კლდის წვერზე დარჩენილა. მდგომარეობა კრიტიკული გამხდარა. ერთი პატარა წონასწორობის შეუკავებლობა, ერთი პატარა მოძრაობაც კი სიკვდილის მიზეზი გახდებოდა, უფსკრულში გადაეშვებოდა და ნაწილებად იქცეოდა. უმცროსი ძმა ამ ფიქრებში იყო და თან თავის ძმას უყვებოდა ზღაპრებს, სხვადასხვა ამბებს, უმღეროდა სიმღერებს, რათა დილამდე

¹ *ÇVENE BURI Kafkasioloji Dergisi/“ჩვენებური“*. კავკასიოლოგიური კრებული, N 4-5, სტოკჰოლმი, 1978. გვ. 63-65. თურქულიდან ქართულ ენაზე თარგმნა ნატო დვალმა.

როგორმე გაემლო, მის ძმას რომ არ ჩასძინებოდა. მას რომ ჩასძინებოდა და ყურადღება გაფანტვოდა, უფსკრულში გადაიჩეხებოდა. ამის შემხედვარე ძმამ, სიფხიზლე რომ შეენარჩუნებინა მისთვის, ცუდი გზა აირჩია და ძმას მხიარული ხმით შესძახა:

სიკვდილის ზღვარზე ხარ, დილამდე ვერ გადარჩები, გადაიჩეხები და ნაწილებად დაიშლები, მეც ჩემს მიზანს მივალწევ. მე და შენს ცოლს დიდი ხანია ურთიერთობა გვაქვს. მისი შვილების მამა შენ არ ხარ. ამ საღამოს მოკვდები და ჩვენ მშვიდად გავაგრძელებთ ურთიერთობას.

